პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 26 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 146 (2189)

დღიური

- საბჭოთა მთავრობის პროტესტი ტიანცზინში საბჭოთა კავშირის საკონსულოს გაჩხრეკის წინააღმდეგ.
- დამთავრდა მცირე ანტანტის კონფერენცია.
- ნორვეგიის პარლამენტმა მიიღო კანონი პურზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.
- პრაღის პოლიციამ აკრძალა „წითელი დღე“.
- დაიხურა საზ-ბა „აერო-არკტიკ“-ის კონგრესი.
- საკავშირო ს. მ. უ. ს. ბრძანებით ინჟ. მელიქ-ფაშაევი დანიშნულია რიონჰესის მთავარ ინჟინრად.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

პურის დამზადების საქმე

უკანასკნელი ორი თვის გართულებებმა პურის ბაზარზე საკითხი პურის შესახებ მოაქცია საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია ინტერესი, რომელსაც ის იწვევს განსაკუთრებით ისეთ მომხმარებელ რესპუბლიკებში, როგორიც არის კერძოთ საქართველო. როგორც ცნობილია ჩვენ ქვეყანას ვერ აკმაყოფილებს ის მოსავალი, რომელსაც ის იძლევა. პურის წლიური დეფიციტი უდრის ჩვენში დაახლოვებით ცხრა მილიონ ფუთს (წელს საჭირო შეიქნა 13 მილიონი). ჩვენ უნდა შემოვიტანოთ ამნაირად ეს რაოდენობა, რომ დავიკმაყოფილოთ შინაური მოთხოვნილებანი. ამ გარემოების გამო ესა თუ ის მდგომარეობა, შექმნილი საკავშირო მასშტაბით პურის ბაზარზე, იწვევს ადგილობრივ შესაფერ ეფექტს.

როგორია ამ მხრივ პერსპექტივები? როგორია ნათესების მდგომარეობა? იმ ცნობების მიხედვით, რომელიც საქ. ც. სტატისტიკურ სამმართველოს განკარგულებაშია ივნისის ხუთმეტისათვის ხორბლის ნათესების მდგომარეობა უდრის საქართველოში 3,1—3,2, ქერის 2,8 — 2,9, სიმინდის 3,5, საერთოდ ნათესები საშუალოზე უკეთესია. თითქმის ასევე შეიძლება შევაფასოთ მდგომარეობა მთელი კავშირის სივრცეზე. მიუხედავად ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ საჭირო შეიქნა ხელახლა დათესვა ზოგიერთ რაიონებში, ჭველის გაფუჭების გამო, მდგომარეობა იმდენად გამოსწორდა, რომ მოსავლის პერსპექტივები საბჭოთა კავშირში, და კერძოთ საქართველოშიც, ახლა უკეთესია, ვინემ ეს იყო ამ ორი-სამი თვის წინად. ეს გარემოება, მოსავლის ასეთი პირი, ცხადია უკეთეს პირობებს ჰქმნის პურის დამზადებისათვის, რაც უკვე შესამჩნევი ხდება როგორც ადგილობრივ, ისე დამამზადებელ რაიონებში, კერძოთ ამიერ-კავკასიაში ამ ახლო მომავალში უნდა დამზადდეს 400 ვაგონი პურეული, აქედან საქართველოში — 80 ვაგონი (ორმოც-ორმოცი ვაგონი ხორბალი და ქერი) უკვე ივლისის განმავლობაში. საჭირო სალარო უკვე გამოყოფილია, მუშაობაც ენერგიულადაა დაწყებული სათანადო ორგანიზაციების მიერ და, ჩვენი ცნობით, ეს გეგმა შესრულებული იქნება დაწესებული დროის ფარგლებში. მისი განხორციელება შეიცავს იმ მინიმუმს რომელიც საჭირო იქნება დამატებით იმ ფონდის შესაქმნელად, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება ახალი მოსავლის რეალიზაციამდე საბჭოთა კავშირში.

როგორია არის მდგომარეობა ამ უკანასკნელში? სულაც რომ არ ვილაპარაკოთ ჯერ ახალი მოსავლის დამზადების დაწყების შესახებ აგვისტო-სექტემბერში და მივხედოთ ძველ მოსავალს, უკვე შესამჩნევი ხდება გარკვეული გარდატეხა ამ საქმეში. ორი სამი უკანასკნელი თვის გართულებული მდგომარეობის შემდეგ. „უკანასკნელი ცნობები პურის დამზადების მიმდინარეობის შესახებ — სწერს მოსკოვის „იზვესტია“—მოწმობენ მათი რამოდენიმედ გაძლიერების შესახებ მთელს კავშირში კერძოთ კი ციმბირში, ურალში და კაზაკსტანში. სწორედ ამ რაიონებში უჩანს განსაკუთრებით კარგი პირი მოსავალს. ეჭვს გარეშეა, რომ იქ (ისევე, როგორც პურეულების სხვა რაიონებში) არის კიდევ ბაზარზე გამოსატანი პურის მნიშვნელოვანი მარაგი. არის ობიექტიური პირობები დამზადების გასაძლიერებლად“.

ეს გაძლიერება უკვე შესამჩნევად ხდება. ისევ მოსკოვის გაზეთების ცნობით მიმდინარე ივნისის თერთმეტიდან ხუთმეტამდე ე. ი. ხუთი დღის განმავლობაში დამზადებულია 72,348 ტონა. ეს შეადგენს 14.134 ტონაზე მეტს ვინემ მოგვცა ხუთმა დღემ ამაზე ადრე (6 — 10 ივნისი) და 70,6 პროცენტს მეტს, ვინემ შარშან ამავე დროს.

ამნაირად პერსპექტივები ახალი მოსავლის საკმაოდ კარგია. გარდატეხა ხდება ამიტომაც მიმდინარე წლის მოსავლის დამზადების მხრივ და საქმე წავა წინ, თუ ის ორგანოები, რომლებსაც ამაზე ზრუნვა აქვთ ჩაბარებული, განთავისუფლდებიან ძველი ნაკლოვანებათაგან და გამოიჩენენ საკმაო „ფხას“, რომ დასდგენ თავიანთი დიდი მოწოდების სიმაღლეზე.

ამ ორგანოების აქტივობის გაძლიერება და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო დახმარება, მთავრობის ღონისძიებებთან ერთად, შესაძლებლად გახდის ამ საქმის წარმატებით გაგრძელებას.

ლევიცკის „გასტროლები“

მიუნხენის ფაშისტური ორგანო „ფოლკიშერ ბეობახტერი“ იუწყება, რომ პეტლიურას ყოფილი მინისტრი ლევიცკი და პეტლიურას ყოფილი სამხედრო მინისტრი გენერალი სალსკი ყალბი პოლონური პასპორტებით ჩავიდნენ პრაღაში, სადაც მათ მოლაპარაკება ჰქონდათ უკრაინელ ემიგრანტებთან. ლევიცკიმ „ფოლკიშერ ბეობახტერ“-ის კორესპონდენტთან საუბარში გააცნო უკანასკნელს „უკრაინის მომავალ მინისტრთა კაბინეტის“ შემადგენლობა, რომელშიაც ფინანსთა მინისტრის პოსტს დაიჭერს ინგლისელი სპეციალისტები. ლევიცკიმ საკმაოდ დაწვრილებით გააცნო კორესპონდენტს ის ამბავი, რომ ინგლისი დიდძალ თანხებს ხარჯავს „დიადი“ საქმისათვის — „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის“ აღსადგენად.

ერთი სიტყვით, უკრაინის თეთრი ემიგრაციის დუქანს გამოცოცხლება დაეტყო. ჰაერი ინგლისის ვალიუტის სუნით გაიჟღინთა. ლევიცკიმ—„უკრაინის სახალხო რესპუბლიკის“ საპერეტო პრიმიერმა ინახულა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელნი პრაღაში. ლევიცკიმ თავისი რწმუნებულები გაგზავნა რუმინეთში, რომ მოაწყოს კავშირის ბიურო, რომელიც ინგლისის და პოლონეთის დაზვერვასთან შეთანხმებით იმუშავებს. ლევიცკი დიდსულოვნებას იჩენს და პოლონეთს ჰპირდება 1772 წლის საზღვრებს და სხვ.

სხვა პირობებში შეიძლებოდა გვერდი აგვეხვია ამ ყოფილ ადამიანთა ხროვისათვის, რომლებიც რევოლიუციამ ნაგვის ყუთში გადაისროლა და რომლებიც ლაქიობას ეწევიან იმპერიალისტური სახელმწიფოების დამზვერავ ორგანოებში. მაგრამ იმ პირობებში, როცა ბურჟუაზიულ მსოფლიოში ძლიერდება აგრესიული ტენდენციები საბჭოთა კავშირის მიმართ, ლევიცკის გასტროლები პრაღაში მეტად სიმპტომატიურია. დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია ის, რომ იდეა „დამოუკიდებელ“ ბურჟუაზიულ უკრაინისა — პოლონეთის „ფედერაციაში“ — ინგლისის იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა პროგრამის ერთ - ერთ ძირითად პუნქტს წარმოადგენს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ეს იდეა არის პილსუდსკელების აღმოსავლური პოლიტიკის ქვაკუთხედი და რომ ამ იდეის პროპაგანდას ისინი განუწყვეტლივ ეწევიან თავისი პრესის ფურცლებზე. ჯერ კიდევ ამა წლის IV პილსუდსკელების ლეიბ-ორგანო „გლოს პრავდი“ სპექტატორის წერილებში გამოსთქვამდა, იმედს, რომ „შეიძლება ევროპის არენაზე ჩვენ მართლაც წარვსდგეთ ახალი ფაქტების წინაშე“. ასეთი „ახალი ფაქტები“ შეიძლება იყოს ინგლისის იმპერიალიზმის დაქირავებულ პირთა ცდა განახორციელონ მტაცებლური გეგმები საბჭოთა კავშირის მიმართ. ლევიცკისა და სალსკის სახით ლონდონსა და ვარშავას ჰყავთ ერთგული მოსამსახურენი, რომლებიც მზად არიან ჩაუდგენ სათავეში ბურჟუაზიულ ინტერვენციას, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის მუშათა და გლეხთა დამონებას, ჩამორთმეული მამულების უკან გადაცემას პოლონელ მემამულეებისათვის, მაღაროებისა და ქარხნების დაბრუნებას ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისათვის.

ლევიცკი და სალსკი დახეტიალობენ ევროპაში და უკრაინელ ემიგრანტებს შორის აგროვებენ ძალებს, თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად. საგულისხმოა, რომ პრაღის ემიგრაციამ უარი განაცხადა ლევიცკის ავანტიურაში მონაწილეობაზე და ამ უკანასკნელს სთვლის პოლონეთის აშკარა აგენტად. თუ ასე წავიდა საქმე უკრაინელთა თეთრი ემიგრაციის სხვა ცენტრებშიაც, მაშინ ლევიცკი „დამოუკიდებელ უკრაინას“ შექმნის მხოლოდ ისეთი ჭეშმარიტი „უკრაინელებისაგან“, როგორიც არის პოლკოვნიკი ხოლმსი და კაპიტანი გეტშრეი, რომელიც ინგლისის გენერალურმა შტაბმა „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის“ „მეთაურის“ მოქმედებისათვის კონტროლის გასაწევად მიავლინა.

ჯერ კიდევ ამა წლის მარტში ლევიცკი იტალიური გაზეთის „იმპერო“-ს კორესპონდენტთან საუბარში კვეხნით აცხადებდა, რომ ის დარწმუნებულია, რომ „მოკლე ხანში დაბრუნდება უკრაინაში“. უკვე 8 წელიწადია მას შემდეგ, რაც ლევიცკი ასე ტრაბახობს.

საბჭოთა უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელნი კი თავის მხრივ დარწმუნებული არიან სხვა რამეში, სახელდობრ იმაში, რომ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ლორდ ჩემბერლენის ფული, რომელსაც ის აბანდებს პან ანდრეი ლევიცკის „უკრაინულ“ დუქანში.

„პრავდა“, 24 ივნისი.

რევოლუციონური ჯარების წინსვლა ხუნანის პროვინციაში

ჩჟან-სიუე-ლიანის შეთანხმება იაპონიასთან.--ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულების გადასინჯვა

მცირე კოალიციის მთავრობის შედგენას გერმანიაში შეუძლებლად სთვლიან

სისხლისმღვრელი შეტაკება ხორვატებსა და პოლიციას შორის ზაგრებში

მდგომარეობა ჩინეთში

რევოლიუციონურ ჯარების შეტევა

შანხაი, 24 ივნისი. ჩანშადან (ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქი) იუწყებიან, რომ რევოლიუციონურმა ჯარმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, დაიკავეს სინუანი, ხუნანის პროვინციის სამხრეთ დასავლეთით, და დაიწყეს შეტევა ახლო მდებარე ქალაქებზე.

რეიტერის სააგენტო ხანკოუდან იუწყება: ყოველ დღე მოდის საშიში ცნობები კომუნისტების აქტივობის შესახებ ხუნანის პროვინციის ცალკე ნაწილებში, კომუნისტური მოძრაობა თანდათან ფართოვდება. ჩენჟოუდან (150 კილომეტრის მანძილზე ჩანშას სამხრეთით) სამხრეთით მდებარე მაზრებში ძალაუფლება კომუნისტების ხელშია. კომუნისტებმა გამოუშვეს საკუთარი ბანკნოტები. ბანკნოტებზე არის წარწერა: ,,ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკა“, და ლენინის და მარქსის ,,სურათები“ (ადს).

ჩჟან-სუე-ლიანმა მოჰკლა იან-იუ-ტინი

შანხაი, 24 ივნისი. ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, თითქოს მუკდენის არმიის ახალმა მთავარსარდალმა ჩჟან-სუე-ლიანმა (ჩან-ძო-ლინის შვილი) მოჰკლა არმიის მთავარი შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი. (ადს).

ფინ-იუ სიანი

შანხაი, 24 ივნისი. ფინ-იუ-სიანმა ნანკინის მთავრობას მიმართა თხოვნით აიღოს თავის ხელში ფინანსების მოწესრიგების საქმე ხენანის, შანსის და განსუს პროვინციებში.

ფინ-იუ-სიანის ჯარები დაბანაკებულია მდინარე იუნტინის გასწვრივ.

ნაციონალური დროშა სინცზიანში

შანხაი, 24 ივნის. გაზეთების ცნობით, სინცზიანის (ჩინეთის ტურკესტანი) პროვინციაში აფრიალეს ნანკინის მთავრობის ნაციონალური დროშა. (ადს)

ჩჟან-სუე-ლიანის შეთანხმება იაპონიასთან

შანხაი, 24 ივნისი. ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ჩჟან-სუე-ლიანსა და იაპონიას შორის დადებულია შეთანხმება, რომლის თანახმად იაპონია ვალდებულია დახმარება გაუწიოს ჩჟან-სუე-ლიანს მანჯურიაში. ჩჟან-სუე-ლიანმა თავის მხრივ პირობა დასდო, რომ უზრუნველყოფს იაპონიის ინტერესებს მანჯურიაში და არ აღმართავს იქ გომინდანის დროშას.

შანხაი-გუანის იაპონიის ხელისუფლება დასთანხმდა შეუშვას მანჯურიაში 50 ათასი მუკდენელი ჯარისკაცი, რომლებიც აქამდის საკუთრივ ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდენ.

ჩჟან-სუე-ლიანმა მიიწვია იაპონელი მრჩევლები მანჯურიის მმართველობაში მონაწილეობის მისაღებად და ჯარების გასაწვრთნელად (ადს).

ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულების გადასინჯვა

შანხაი 24 ივნისი. ჩინეთის ორგანო ,,ჩაინა ტაიმს“-ი იუწყება, რომ შერთებულ შტატების მთავრობამ თავის შანხაელ კონსულს გაუგზავნა წერილობითი განკარგულება დაიწყოს მოლაპარაკება ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრთან ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. შერთებულ შტატების კონსული შანხაიში ესაუბრა გარეშე საქმეთა მინისტრს ვან-ჩჟენ-ტინს. გაზეთების ცნობით, ვან-ჩჟენ-ტინმა იმედი გამოსთქვა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა წინადადებას მისცემს თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს გაემგზავროს ნანკინში სხვადასხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლად (ადს).

„მხოლოდ არამზადას შეუძლია დაუმეგობრდეს თავისი მამის მკვლელებს“

პეკინი, 24 ივნისი. გაზეთი ,,იში-ბაუ“ სასტიკად ჰკიცხავს ჩჟან-სუე-ლიანს იაპონიასთან მეგობრობისათვის და აცხადებს, რომ ,,მხოლოდ არამზადას შეუძლია დაუმეგობრდეს თავისი მამის მკვლელებს“ (ადს).

მარილის მონოპოლია

შანხაი, 24 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ მარილის მონოპოლიის სამმართველოს თანამდებობის პირებს მისცა წერილობითი განკარგულება არ გადაგზავნონ მათ მიერ მიღებული თანხები პეკინში მონოპოლიის სამმართველოს განკარგულებაში. შესაძლებელია ნანკინის მთავრობის ფინანსთა მინისტრის ჩასვლა პეკინში იმ მიზნით, რომ გამართოს მოლაპარაკება მარილის მონოპოლიის სამმართველოს ინსპექტორთან და პეკინის დიპლომატიურ კორპუსთან (ადს).

ისევ ვეიმარის კოალიცია

ბერლინი, 24 ივნისი. ვინაიდან სახალხო პარტიას არ სურს ხელი აიღოს მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებზე, სოციალდემოკრატების ბელად **გერმან მიულერს,** რომელსაც ჰინდენბურგმა დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა, გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს მოლაპარაკება ვეიმარის კოალიციის მთავრობის (ს.-დემოკრ., დემოკრატები, ცენტრის პარტია, ბავარიის სახალხო პარტია) შედგენის შესახებ. მიუხედავად ამისა, **საერთო აზრი ისეთია, რომ მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდება, ვინაიდან ბავარიის სახალხო პარტია უარს ამბობს ვეიმარის კოალიციაში მონაწილეობაზე, ხოლო უამისოდ კოალიციას რეიხსტაგში არ ეყოლება უმრავლესობა.**

„ფორვერტს“-ის სიტყვით, იმ შემთხვევაში, **თუ არ მოხერხდა ვეიმარის კოალიციის შექმნა, მიულერი შეეცდება შეადგინოს „უმცირესობის სოციალისტური მთავრობა“, რომელშიაც გარდა სოციალ - დემოკრატებისა შევლენ ბურჟუაზიულ პარტიების ის წარმომადგენლები, რომლებიც „მზად არიან აწარმოონ პოლიტიკა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად“.**

დემოკრატიული „ფოსიშე ცეიტუნგ“ იუწყება, რომ ამ მთავრობის შემადგენლობა დაახლოებით უკვე ცნობილია. მასში „პერსონალურად“ შევლენ ის მოღვაწეები, რომლებიც წამოყენებული იყვნენ კაბინეტში დიდი კოალიციის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების დროს, ასე, რომ ფაქტიურად შეიქმნება დიდი კოალიცია, მაგრამ ყოველგვარ პროგრამულ დაპირებების გარეშე მასში მონაწილე პარტიების მხრით. (ადს).

ბრძოლა ზაგრების ქუჩებში

ვენა, 24 ივნისი. პრესა აქვეყნებს შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს სამხრეთ-სლავიაში მომხდარ ამბების შესახებ.

ზაგრებში, (ხორვატიის მთავარი ქალაქი) **22 ივნისს ღამით მოხდა სერიოზული შეტაკება. შეტაკების უშუალო** მიზეზი იყო შემდეგი: როცა ქალაქის წარმოებები და კაფეები დაკეტილი იყო ტრაურის ნიშნად (სკუპშჩინაში ხორვატელ დეპუტატების მოკვლის გამო), კორსოს კაფეში, სადაც იკრიბებიან სერბიელები, უკრავდა მუსიკა და გამართული იყო ცეკვა. ხორვატელ დემონსტრანტების ჯგუფი შეიჭრა კაფეში და გამორეკა ყველა იქ მყოფნი. მთელი ავეჯი გამოყარეს ქუჩაში. **პოლიცია გამოედევნა დემონსტრანტებს, რომლებმაც კაფეს წინ მოაწყვეს ბარიკადები. პოლიციის პირველი იერიში მოგერიებულ იქნა ქვებით. პოლიციამ ასტეხა თოფის სროლა. მოკლულია ოთხი კაცი, დაჭრილია ორმოცი, მათ შორის ბევრი მძიმედ.**

სხვადასხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა ახალ შეტაკებებს პოლიციასთან. შეტაკებებმა საბარიკადო ბრძოლის ხასიათი მიიღო. პოლიცია ყველგან იარაღს მიმართავდა.

გაზეთები აქვეყნებენ პოლიციის მიერ მოგონილ ცნობებს, თითქოს ზაგრებში დაპატიმრებულებს შორის უმრავლესობა კომუნისტებია. დამოუკიდებელ პროფკავშირთა ზაგრების განყოფილებები დაიხურა. (ადს).

მცირე ანტანტის კონფერენცია

ვენა, 24 ივნისი. მცირე ანტანტის კონფერენცია დამთავრდა. უკანასკნელ ცნობებში კონფერენციის მუშაობის შესახებ ხაზგასმით აღნიშნულია საბოლოო მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საფრანგეთთან. ინგლისთან და პოლონეთთან და ნათქვამია, რომ მცირე ანტანტა ცდილობს ასეთივე პოლიტიკა აწარმოოს იტალიის მიმართ.

ბუქარესტის პრესის ცნობით, კონფერენციამ მოიწონა კელოგის პროექტი შესწორებით, რომელიც გულისხმობს ერთა ლიგის წესდების დაცვას და არსებულ ტერიტორიალურ საზღვრების უზრუნველყოფას. (ადს).

ბომბეის ფეიქართა გაფიცვა

ლონდონი, 24 ივნისი. ბომბეის ფეიქართა გაფიცვა გრძელდება. **გაფიცულები მტკიცედ არიან.** მუშების განწყობილება ურყევია, თუმცა გაფიცულებს შორის ადგილი აქვს დიდ გაჭირვებას. 75 ათასამდე გაფიცული მუშა ბომბეიდან გაემგზავრა სოფლებში; ქალაქში დარჩენილი 60 ათასი მუშა დახმარებას ღებულობს გაფიცვის კომიტეტისაგან, რომელსაც აქვს ორი კვირის საყოფი თანხები, ხოლო შემდეგ გაფიცულთა მდგომარეობა შეიძლება კრიტიკული გახდეს. კომიტეტმა სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით დახმარება გაუწიონ გაფიცულ ფეიქრებს.

„უორკეს ლაიფ“-ის ბომბეელი კორესპონდენტის ცნობით, **გაფიცულმა მუშებმა დაარსეს ფეიქართა ახალი რევოლიუციონური პროფკავშირი.** კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია მუშა ფეიქარი **ელვი,** მდივნად — მუშა **დენჯი** (კომუნისტი), თავმჯდომარის მოადგილედ — პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის მოღვაწე **ბრედლი,** ეს პირველი შემთხვევაა ინდოეთის მუშათა მოძრაობაში, როცა პროფკავშირის ხელმძღვანელად არჩეული არიან დაბგის მუშები. (ადს)

„სამ მუსლიმანურ სახელმწიფოს კავშირი“

თეირანი, 24 ივნისი. გაზეთი „შეფაკ“-ე-სოის“ წერილში სათაურით სამ მუსლიმანურ სახელმწიფოს კავშირი“ ესალმება ავღანისტან-თურქეთ-სპარსეთის დაახლოვებას და ხაზგასმით აღნიშნავს იმ მეგობრულ როლს, რომელიც საბჭოთა კავშირმა ითამაშა თურქეთ - სპარსეთ - ავღანისტანის დაახლოების საქმეში.

„ავღანისტან - თურქეთ - სპარსეთის დაახლოვების მნიშვნელობა, სწერს გაზეთი, უფრო ნათელი გახდება, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ რა თანაგრძნობით შეხვდა ამ დაახლოვებას საბჭოთა კავშირის მთავრობა. ის გულწრფელად ცდილობს განამტკიცოს მეგობრული შეთანხმება სამ აღმოსავლეთ სახელმწიფოს შორის და ყოველგვარ დახმარებას უწევს მათი დაახლოვების საქმეს. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საბაჟო კონვენციის პროექტი

თეირანი, 24 ივნისი. გაზეთი „ირანი“ იუწყება, რომ სპარსეთის მთავრობა იხილავს სპარსეთ - საბჭოთა კავშირის ახალ საბაჟო კონვენციის პროექტს. (ადს)

ბელა კუნის დასაცავად

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების შვეციის სექციამ გადაუგზავნა ავსტრიის დიპლომატიურ მისიას სტოკჰოლმში განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ შვეციის რადიკალური ინტერნაციონალის თვალსაჩინო წარმომადგენლები. განცხადებაზე ხელის მომწერნი აღნიშნავენ, რომ **ავსტრიამ არ უნდა გადასცეს უნგრეთის ხელისუფლებას ბელაკუნი და მისი ამხანაგები, ვინაიდან მათზე უეჭველად ვრცელდება თავშესაფარის უფლება.** (ადს)

ინგლისის საჰაერო ხაზი სპარსეთში

თეირანი, 24 ივნისი. „შეფაკ-ესორხ“-ის ცნობით შედგენილია შეთანხმების პროექტი ინგლისის საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ სპარსეთზე. პროექტს იხილავენ ინგლისის და სპარსეთის მთავრობები. პროექტი ითვალისწინებს, რომ საჰაერო ხაზი სამხრეთ სპარსეთში შეუერთდება ბაღდად — კარაჩის ხაზს. ინგლისის ჰაეროპლანებისათვის აეროდრომების მოწყობა განზრახულია ბუშირში, ბენდერაბასში და ჯასკში. (ადს)

ხელოვნების მუშაკთა კავშირის დელეგაცია

მსახიობთა საერთაშორისო ყრილობაზე

პარიზი, 24 ივნისი. საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა კავშირის დელეგაციას მსახიობთა საერთაშორისო ყრილობაზე არ მისცეს საშუალება გამოსულიყო გვიან ჩამოსვლის, ტექნიკურ მოსაზრებათა საბაბით და აგრეთვე იმ საბაბით, რომ ამ გამოსვლას მიეცემოდა პოლიტიკური ხასიათი და მიზნად ექნებოდა მსახიობთა საერთაშორისო გაერთიანების წესდების გადასინჯვა.

საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა კავშირის დელეგაციამ პრეზიდიუმს გადასცა თავისი დეკლარაციის ტექსტი და დასტოვა ყრილობა. (ადს)

რენეგატი შეფლო

ოსლო, 24 ივნისი. ნორვეგიის კომპარტიის ყოფილმა მოღვაწემ რენეგატ შეფლომ გადასდგა ნაბიჯები ნორვეგიის მუშათა პარტიაში შესასვლელად. მიუხედავათ ამისა, მუშათა პარტიის ოსლოს კომიტეტმა დაადგინა არ მიიღოს შეფლო პარტიაში 1930 წლამდე, ე. ი. სანამ რწმუნების ვადა არ გაუვა „პარლამენტს“, რომელშიაც ის არჩეულია, „როგორც კომპარტიის კანდიდატი“. (ადს).

ნებართვა არ მისცეს

ოსლო, 24 ივნისი. ოსლოდან მიღებულ ცნობით, ნორვეგიის იუსტიციის სამინისტრომ არ მისცა ნორვეგიაში შესასვლელი ვიზა საბჭოთა დელეგაციას, რომელიც მიემგზავრებოდა ნორვეგია-ფინეთ-საბჭოთა კავშირის მიწატყის მუშაკთა კავშირების მთლიანობის კომიტეტის სესიაზე (სესია იხსნება 20 ივლისს). ნორვეგიის მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირმა იუსტიციის სამინისტროს მიმართა პროტესტით ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. (ადს).

ფრანკის სტაბილიზაციის პროექტი

პარიზი, 24 ივნისი. პუანკარემ პალატაში შეიტანა პროექტი ვალიუტის სტაბილიზაციის შესახებ, რომელიც აუქმებს იძულებითი კურსს და უზრუნველჰყოფს ბანკნოტების დახურდავებას ოქროზე. პროექტის პირველი მუხლი აუქმებს ფრანკის იძულებით კურსს. პალატამ და სენატმა მიიღო პროექტი სტაბილიზაციის შესახებ (ადს).

მუშათა ბრძოლა

ინდოეთის რკინის გზაზე

ლონდონი, 24 ივნისი. ინდოეთიდან მიღებული ცნობით, გაიმართა ინდოეთის ნახევარ კუნძულის რკინის გზის მუშების მასიური კრება, რომელმაც დაადასტურა რკინის გზის მუშათა პროფკავშირის გადაწყვეტილება გამოცხადებული იქნეს 25 ივნისს გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზების ადმინისტრაცია არ დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს. კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ხრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესს მიმართავს თხოვნით მოიწვიოს სასწრაფო სესია იმ გაფიცვებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, რომლებსაც ამჟამად ადგილი აქვს ინდოეთის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში. (ადს).

შვეციის შაქრის მრეწველობის მუშათა გამარჯვება

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. შვეციის შაქრის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა სამ თვეს, მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მუშებს მოუმატეს ხელფასი 4 კაპეიკის რაოდენობით საათში. გაფიცვა გამოიწვია მწარმოებელთა ცდამ შეემცირებიათ სამუშაო ხელფასი. (ადს).

დახმარება ნორვეგიელ მშენებელ მუშებს

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. კომუნისტების ინიციატივით სტოკჰოლმის შავ მუშათა კავშირმა დაადგინა ნორვეგიის გაფიცულ მშენებელ მუშებს გადაუგზავნოს 10 ათასი კრონი. (ადს).

პურის მონოპოლია

ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. ოსლოდან მიღებული ცნობით, ნორვეგიის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი პურზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ. კანონპროექტს ხმა მისცა მუშათა ლიბერალურმა პარტიამ, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცეს კონსერვატორებმა და გლეხთა პარტიამ. კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო კონტროლის დაწესებას პურის შესყიდვა-გაყიდვაზე. (ადს).

იტალიის აეროდრომი

ალბანეთში

ვენა, 24 ივნისი. ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკა“-ს ცნობით, იტალიელები ალბანეთში აწყობენ აეროდრომს დაახლოვებით 25 ჰაეროპლანისათვის. იტალიის აპარატები უკვე მიტანილია ალბანეთში. აეროდრომის აგება სამი კვირის განმავლობაში დამთავრდება. აეროდრომის აგებას დღემდე საიდუმლოდ ინახავდნენ. (ადს)

საბერძნეთის საგარეო ვაჭრობა

ათინა, 24 ივნისი, ათინის სავაჭრო პალატის მიერ გამოქვეყნებული ცნობები საბერძნეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ 1927 წლის განმავლობაში, ამტკიცებს, რომ ხავსებით უსაფუძვლოა საბერძნეთის პრესის მტკიცება, ვითომც საბერძნეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია საბერძნეთ-საბჭოთა ვაჭრობის არახელსაყრელ ბალანსმა საბერძნეთისათვის.

გამოქვეყნებული ციფრები ამტკიცებს, რომ ქვეყნების, რომელთა ექსპორტი საბერძნეთში დაახლოებით უდრის საბჭოთა ექსპორტს, მცირე რაოდენობით გააქვთ საბერძნეთის საქონელი. ბელგიამ საბერძნეთში შეიტანა 428 მილიონი დრახმის საქონელი და გაიტანა 81 მილიონი დრახმის საქონელი. ბულგარეთმა საბერძნეთში შეიტანა 451 მილიონი დრახმის, ხოლო გაიტანა—88 მილიონი დრახმის საქონელი.

საბჭოთა კავშირს საბერძნეთში შეჰქონდა 438 მილიონი დრახმის საქონელი და საბერძნეთიდან გაჰქონდა 7 მილიონი დრახმის საქონელი; კანადას—შეჰქონდა 421 მილიონის და გამოჰქონდა 5 მილიონი დრახმის საქონელი.

მაგრამ საბერძნეთის სავაჭრო ურთიერთობა ამ სახელმწიფოებთან, გარდა საბჭოთა კავშირისა, არ განიცდის დაბრკოლებას. გარდა ამისა, ეს სახელმწიფოები არ სარგებლობენ საბერძნეთის ტონაჟით, როგორც საბჭოთა კავშირი. (ადს.)

მაშხალა--დრეზინა

ბერლინი, 24 ივნისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით. პირველი მაშხალა-დრეზინის გამოცდა მარცხით დამთავრდა. დრეზინა ააგო გერმანიის საავტომობილო ფირმა ოპელმა. ეს გამოცდა წარმოადგენდა მაშხალა-ავტომობილის გამოცდის გაგრძელებას (მაშხალა-ავტომობილი ამ ცოტა ხნის წინად გამოსცადეს ბერლინის ავტოდრომზე). მაშხალა-დრეზინის გამოცდა მოხდა ჰანოვერ-ცელეს რკინის გზის სწორ ხაზიან ლიანდაგზე. გამოცდას დაესწრო 10 ათასი მაყურებელი. პირველი რეისი მაშხალების შემცირებული რიცხვით დრეზინამ წარმატებით გაიარა. მეორე ცდის დროს მაშხალების რიცხვი გადიდებული იყო ოთხჯერ. სიფრთხილისათვის დრეზინა გაშვებულ იქნა უშოფეროდ. სტარტის შემდეგ დრეზინა აცდა ლიანდაგს. მეორე ცდაც აგრეთვე მარცხით დამთავრდა. მეორე ცდის დროს დრეზინა დაიმსხვრა. (ადს).

ნობილე გადარჩენილია

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ თავდაცვის სამინისტრომ ნობილეს დამხმარე ექსპედიციის უფროს ტორნბერგისგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გენერალი ნობილე გადარჩენილია. მუშაობა სხვების გადასარჩენად გრძელდება“ (ადს).

ოსლო, 24 ივნისი. იტალიის მისია იუწყება, **რომ მან მიიღო ცნობა, რომლითაც დასტურდება ნობილეს გადარჩენა. ნობილეს გარდა გადარჩენილია მისი ჯგუფის ერთი მონაწილეც ორივე დაჭრილია და იმყოფებიან „ჩიტა დი მილანო“-ს ბაქანზე.**

ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო ამ ცნობას შენიშვნით გზავნის. (ადს).

რომი, 24 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„ნობილეს ექსპედიციის მცურავი ბაზა „ჩიტა დი მილანო“-დან რადიო-ტელეგრაფით მიღებულია ცნობა, რომ **24 ივნისს ღამით შვეციის აეროპლანით, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა სპეციალური მოწყობილობა, ყინულზე გასაცურებლად დიდი რისკით დაეშვა ნობილეს ჯგუფის მახლობლად და აიყვანა ნობილე ბაქანზე.** აეროპლანმა ნობილე მიიყვანა ხინლოპენის სრუტეში, საიდანაც შვეციის მეორე ჰიდროაეროპლანმა მიიყვანა ის „ჩიტა დი მილანო“-ზე, რომელიც ვირგსბეიში იმყოფება. ამის შემდეგ შვეციის აეროპლანი ისევ დაბრუნდა ექსპედიციის სადგომთან, რათა გაეგრძელებია მუშაობა სხვების გადასარჩენად, მაგრამ დაშვების დროს გადაბრუნდა. საბედნიეროდ ავიატორი უვნებლად გადარჩა. ჯერ ჯერობით გამოურკვეველია, თუ რატომ აიყვანა აეროპლანმა პირველად ნობილე“ (ადს).

ნობილეს ჯანმრთელობის მდგომარეობა

რომი, 25 ივნისი. „ჩიტა დი მილანო“ აქვეყნებს ბიულეტენს ნობილეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. **ნობილეს მოტეხილი აქვს მარჯვენა ფეხი, ძლიერ აქვს დაზიანებული მარჯვენა გვერდის ნაწილი. შიგნით სისხლის ჩაქცევით.** რადიო ტელეგრაფით მიღებულია მოხსენება თვით ნობილესაგან, რომელშიაც ნათქვამია: „როცა გუშინ ლეიტენანტი ლუნდბორგი დაეშვა ჩვენი კარავის მახლობლად, მე მას განუცხადე, რომ მან პირველად უნდა წაიყვანოს ჩეჩიონი, შემდეგ ბეგუნეკი, ტროიანი, მე, ვილერი და ბიაჯი. ლუნდბორგმა უარი განაცხადა ემოქმედნა ამ წესის მიხედვით და მაცნობა, რომ მან მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ წამეყვანე მე, ვინაიდან მე უნდა მივსცე სწორი ცნობები ექსპედიციის დარჩენ მონაწილეთა მოსაძებნად. ლუნდბორგმა დაჟინებით მოითხოვა ეს და მასთან ერთად ჩემი ამხანაგებიც მოითხოვდნენ, რომ მე პირველი წამოვსულიყავი, ვინაიდან მაშინ ჩვენ უფრო დამშვიდებული ვიქნებით,—განმიცხადეს მათ. ამის გამო მე იძულებული გავხდი დამეთმო. ვინაიდან არ მინდოდა დამებრკოლებია ლუნდბორგის ჰაეროპლანის უკან გაფრენა. (ადს)

მადალენა და პენძე

რომი, 24 ივნისი. იტალიელმა მფრინავებმა მადალენამ და პენძემ, რომლებიც გაფრინდნენ კინგსბეიდან, მიაღწიეს ნობილეს ჯგუფის სადგომამდე. აეროპლანებმა მიაგნეს ნობილეს სადგომს იმ რადიოსიგნალებით, რომლებსაც გზავნიდა მათი ფრენის დროს ნობილე, და იმ დროშებით, რომლებიც ექსპედიციას თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდა გაშლილი. მფრინავებმა პარაშიუტებით გადმოუგდეს ნობილეს დიდძალი სურსათი მოწყობილობა, იარაღი, ტანთსაცმელი და რამოდენიმე აკუმულიატორი რადიო-სადგურისათვის. მფრინავების აზრით, ნობილემ ყველაფერი დაუზიანებლად მიიღო. მოელიან ნობილეს მიერ სურსათის და ნივთების მიღების დადასტურებას.

მფრინავმა პენძემ ორჯერ სცადა დაშვებულიყო ნობილეს ჯგუფის სადგომის მახლობლად, მაგრამ დარწმუნდა, რომ ამჟამად ეს განუხორციელებელია. ამჟამად ირჩევა პროექტი იმის შესახებ, რომ მოეწყოს გზა აეროპლანის დასაშვებად ყინულზე. მფრინავები დაბრუნდნენ შპიცბერგენზე (ადს).

იტალიის ჰიდროაეროპლანი

რომი, 24 ივნისი. იტალიის დიდი „დორნიე-ვალ“-ის ტიპის ჰიდროაეროპლანი, რომელიც გაფრინდა პიზეს აეროდრომიდან. მიფრინდა ამსტერდამში. აქედან გადაფრინდება ტრომსეში, ჩრდილოეთ ნორვეგიაში. ჰიდროაეროპლანზე იმყოფება იტალიის ავიაციის მინისტრის ამხანაგი ბალბო (ადს.)

შვეციის ექსპედიცია

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ნობილეს დასახმარებლად გაგზავნილი შვეციის ექსპედიციის უფროსი იტყობინება, რომ ორმა შვედმა მფრინავმა პარასკევს მიაგნო ნობილეს ჯგუფს ლი-სმიტის კონცხის ჩრდილოეთით. მფრინავებმა ნობილეს პარაშუტებით გადაუგდეს სურსათი, მედიკამენტები, აკუმულატორები და ერთი ნავი. ნობილეს ჯგუფის სადგომის მახლობლად მფრინავებმა აღმოაჩინეს დიდი ყინული, რომელზედაც შესაძლებელია მოხერხდეს აეროპლანის დაშვება“ (ადს).

არავითარი ცნობები ალექსანდრისა და ამუნდსენის შესახებ

ოსლო, 24 ივნისი. დღემდე არავითარი ცნობები არ არის „იტალია“-ს ეკიპაჟის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ავარიის დროს ქარიშხალმა აღმოსავლეთისკენ გაიტაცა. იმ ჯგუფის სათავეში იყო ინჟენერი **ალექსანდრი.** არ არის ცნობები აგრეთვე იმ სამი კაცის შესახებ, რომლებიც გამოეყვნენ ნობილეს ჯგუფს და წავიდნენ მიწის საძებნელად.

აგრეთვე არავითარი ცნობები არ მოსულა საფრანგეთის აეროპლან „ლატამ“-ის შესახებ, რომლითაც გაფრინდნენ მფრინავი **გილბო, დიტრიხსენი და ამუნდსენი.** (ადს).

„ჩიტა დი მილანო“

ოსლო, 24 ივნისი. ნობილეს ექსპედიციის მცურავი ბაზა „ჩიტა დი მილანო“-დან მიღებულია ცნობა, რომ ბაზა სტოვებს კინგსბეის და მიდის ვერგბეიში, ასი კილომეტრის მანძილზე კინგსბეის ჩრდილოეთით. ვერგბეიდან „ჩიტა დი მილანო“ კავშირს დაიჭერს შვეციის ექსპედიციასთან.

დღემდე არ არის ცნობები არც **მალგრემის, ძაპის და მარიანის** ჯგუფის შესახებ, რომელიც წავიდა მიწის საძებნელად, არც ინჟენერ **ალექსანდრის** ჯგუფის შესახებ, რომელიც დირიჟაბლზე დარჩა ავარიის დროს, და არც აეროპლან „ლატამ“-ის შესახებ. იტალიელი მფრინავი **პენძე** გაფრინდა „ლატამ“-ის საძებნელად, გაიარა 500-ზე მეტი მილი, მაგრამ საფრანგეთის აეროპლანის კვალი ვერ აღმოაჩინა (ადს).

„ბრაგანცა“

რომი, 24 ივნისი. გემ „ბრაგანცა“-ზე დაბრუნდა ექსპედიცია, რომელიც წასული იყო მარიანოს და მალგრემის ჯგუფის საძებნელად. ექსპედიცია შესდგებოდა ორ ალპიელ მონადირესა და ორი მკვლევარისაგან. მარიანო და მალგრემის ჯგუფი ის ჯგუფია, რომელიც გამოეყო ნობილეს ჯგუფს და გაემართა შპიცბერგენისაკენ. ექსპედიციამ ამ ჯგუფის კვალი ვერსად ვერ აღმოაჩინა (ადს).

საბჭოთა ექსპედიციები ნობილეს დასახმარებლად

მოსკოვი, 25 ივნისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტში, რომელიც დაარსებულია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ საბჭოთა ექსპედიციების მოძრაობა ასეთია: „მალიგინ“-ი მანევრებს აწარმოებს ყინულების გასწვრივ და სცდილობს მიაღწიოს ჩრდილოეთის განედის მე-78 გრადუსს. აქედან მფრინავ **ბაბუშკინს** საშუალება ექნება თავისუფლად გაფრინდეს დაზვერვაზე „იტალია“-ს ეკიპაჟის მეორე ჯგუფის და ამუნდსენის საძებნელად. „კრასინ“-ი 22 ივნისს, საღამოს გავიდა ბერგენიდან. კომიტეტმა წინადადება მისცა მას მაქსიმალური სისწრაფით გაემართოს შპიცბერგენისაკენ და გზადაგზა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, აწარმოოს ამუნდსენის ძებნა (ადს).

მოსკოვი, 25 ივნისი. ნობილეს გადარჩენის შესახებ დეპეშებთან დაკავშირებით „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტში განაცხადეს, რომ კომიტეტი შესაძლებლად არ სცნობს ამ ცნობების მიხედვით უკვე დღესვე, 25 ივნისს იქნას გაცემული რაიმე განკარგულებანი, რომლებიც შეცვლის საბჭოთა ექსპედიციების მუშაობას.

დღემდე გამორკვეული არ არის დირიჟაბლის ეკიპაჟის ორი დანარჩენი ჯგუფის ადგილმყოფელობა.

„მალიგინიდან“ მოსული უკანასკნელი ცნობები მოწმობს, რომ ჩვენმა ექსპედიციამ ბაზა მოაწყო „კარლ მე-12“-ის კუნძულზე. ბაზამ შესაძლებლობა მისცა ბაბუშკინს დირიჟაბლის ეკიპაჟი და ამუნდსენი მოსძებნოს 400—500 კილომეტრის რადიუსით. (ადს).

გრაფ სეჩენის წინადადება

ვენა, 25 ივნისი. როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, პრემიერი ბეთლენი პარლამენტის ზედა-პალატაში შეეხო მსხვილი მიწათმფლობელის გრაფ სეჩენის წინადადებას, რომელმაც მოითხოვა, რომ უნგრეთმა შექმნას ყველა კაპიტალისტური ქვეყნების ბლოკი ბოლშევიზმთან ბრძოლისათვის და ჩაუდგეს სათავეში ამ ბლოკს. ბეთლენმა აღნიშნა, რომ ასეთი ბლოკის შექმნას გადაელობა დიდი დაბრკოლებანი, განსაკუთრებით ეკონომიური მეტოქეობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. და რომ პატარა უნგრეთმა არ უნდა იკისროს ასეთი დიდი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლოა, რომ მან ბოლოს და ბოლოს დიდი ზიანი მიაყენოს თავის თავს. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ბოლშევიკური პროპაგანდა პირველ რიგში მიმართული იქნება უნგრეთის წინააღმდეგ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კონტროლი საშემოდგომო თესვის კამპანიაზე

ამხ. ს. ორჯონიკიძე საკავშირო სახკომსაბჭოს რწმუნებული

მოსკოვი, 25 ივნისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. სერგო ორჯონიკიძეს დაევალა კონტროლის გაწევა საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებაზე საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით ამხ. ორჯონიკიძეს საკავშირო მთავრობამ მიანიჭა ფრიად ფართე უფლებები.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებითვე მოკავშირე რესპუბლიკებს წინადადება მიეცათ გამოყონ ასეთივე რწმუნებულები საშემოდგომო თესვის კამპანიაზე კონტროლის გასაწევად თავიანთ ტერიტორიის ფარგლებში.

მეთამბაქოების კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირზე

მოსკოვი, 25 ივნისი. მეთამბაქოობის კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირზე ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის მეთამბაქოობის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთში მეთამბაქოების შორის არ სწარმოებს აგროკულტურული მუშაობა და არ ექცევა სერიოზული ყურადღება კოლექტივიზაციის საქმეს.

ცენტრალური ბანკის მოხსენების თანახმად, მეთამბაქოეთა კოოპერაციის ზრდა წინა წელთან შედარებით უდრის 25-70 პროცენტს.

115 მილიონი მოსკოვის კეთილმოწყობაზე

მოსკოვი, 25 ივნისი. მოსკოვის კომუნალურ მეურნეობის გეგმით მომავალ 1928-29 სამეურნეო წლისათვის მოსკოვის კეთილმოწყობისათვის გადადებული იქნება 115 მილიონი მანეთი, რომელიც მოხმარდება ტრამვაის საჭიროებას, მეტროპოლიტენის გაყვანას, ქვაფენილების გაკეთებას და სხვა.

მოსკოვი დაცულია პარტახტიანი ტიფის ეპიდემიისაგან

მოსკოვი, 25 ივნისი. მოსკოვის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების განცხადების თანახმად არ არსებობს იმის საშიშროება, რომ მოსკოვში პარტახტიანი ტიფი ეპიდემიის ხასიათს მიიღებს. იყო პარტახტიანი ტიფით დაავადების შემთხვევები სასეზონო მუშებს შორის მაგრამ ავადმყოფობას ფართე ხასიათი არ მიუღია.

ჯანმრთელობის ორგანოების მიერ მიღებული ზომები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ პარტახტიან ტიფით დაავადებამ არ მიიღოს რამდენიმე მაინც მასიური ხასიათი.

სახელმწიფო ბანკის ახალი შენობის შესახებ

მოსკოვი, 25 ივნისი. ნეგლინნი პროეზდზე (ქუჩის სახელია), რომლის ქვემოთაც გადის მდინარე ნეგლინკა სახელმწიფო ბანკი აშენებს თავის საჭიროებისათვის ახალ შენობას. სახ. ბანკის წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვა უდრიდა 3 მილიონ მანეთს, ეხლა კი ეს თანხა ათ მილიონამდე გაიზარდა. ნეგლინნი პროეზდის ნიადაგი თავისებური თვისებებისაა, რაც აიხსნება იმით, რომ ამ ქუჩის ქვემოთ მდინარე გადის. ეს კი ართულებს შენობის აგების საქმეს. მოსკოვის საბჭომ წინადადება მისცა სახელმწიფო ბანკს სხვა ადგილას აეშენებია ეს სახლი. ბანკი უარს აცხადებს მოსკოვის საბჭოს წინადადების შესრულებაზე. საკითხი გადავიდა უმაღლეს ორგანოებში. საერთო აზრით უმაღლესი ინსტანციები დაადასტურებენ მოსკოვის საბჭოს მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ეგვიპტის კაბინეტის გადადგომა

ლონდონი, 25 ივნისი. რეიტერის სააგენტო კაირიდან იუწყება, რომ გამოქვეყნებულია მეფის ბრძანება ეგვიპტის კაბინეტის გადადგომის შესახებ. (ადს).

კელოგის ნოტა 14 სახელმწიფოსადმი

ვაშინგტონი, 24 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ კელოგმა მიმართა 14 სახელმწიფოს ნოტით ომის აკრძალვის მრავალმხრივი ხელშეკრულების შესახებ. ნოტა შეიცავს იმ წინადადების პირობებს, რომელსაც აყენებს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. (ადს).

მეკსტონისა და კუკის პროგრამა

ლონდონი, 25 ივნისი. კემნოკში (შოტლანდია) წარმოთქმულ სიტყვაში მეკსტონმა განაცხადა, რომ პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც სახავს ის და კუკი, წაკითხულ იქნება კონფერენციაზე, რომელიც 8 ივლისს იქნება მათ მიერ მოწვეული გლაზგოში.

უაიტჰევენში წარმოთქმულ სიტყვაში კუკმა განაცხადა, რომ მან და მეკსტონმა არ აქვთ განზრახვა შექმნან ახალი მოძრაობა, მაგრამ ისინი იბრძოლებენ იმ ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ნიშნავს მუშათა მოძრაობის „ლიდერნიზაციას". (ადს).

პრაღის პოლიციამ აკრძალა წითელი დღე

პრაღა, 24 ივნისი. პოლიციამ აკრძალა დემონსტრაციები, რომლებიც დანიშნული იყო 5-6 ივლისისათვის, და რომლებსაც აწყობდა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია პროტესტის ნიშნად მუშათა სპარტაკიადის აკრძალვის წინააღმდეგ. ამასთან ერთად პოლიციამ აკრძალა ნაციონალისტურ და ფაშისტურ ორგანიზაციების კონტრ-დემონსტრაციები. (ადს).

კანონი ფრანკის სტაბილიზაციის შესახებ

პარიზი, 25 ივნისი. კანონი ფრანკის სტაბილიზაციის შესახებ პალატამ მიიღო უკანასკნელი წაკითხვით 448 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 87 ხმისა; 133 თავი შეიკავა, მათ შორის 99 სოციალისტმა. კანონის წინააღმდეგ გამოვიდა პიკემალი, რომელმაც კომფრაქციის სახელით განაცხადა: „ეხლანდელი სტაბილიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო გაკოტრების აღიარებას, რაიც 14 წლის ფინანსიური პოლიტიკის შედეგია. კაპიტალისტური სტაბილიზაციის გატარებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მუშათა ექსპლოატაციასთან, დღით-დღე ძლიერდება მუშათა მოძრაობისა და მისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის დევნა". თავისი სიტყვა პიკემალმა დაათავა შემდეგი სიტყვებით: „თქვენი სტაბილიზაცია არის ეკონომიური ომის გამოსავალი წერტილი, რომელიც ახალ ომებს ქმნის". (ადს).

ავსტრიის სამომხმარებლო კოოპერატივების ყრილობა

ვენა, 25 ივნისი. გაიხსნა ავსტრიის სამომხმარებლო კოოპერატივების ყრილობა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ცენტროსოიუზის წარმომადგენლებმა, რომელთა მოწოდებას მთლიანი კოოპერატიული მოძრაობისაკენ მხურვალე ტაშით შეხვდენ. (ადს).

თეირან-ქაბულის საჰაერო ხაზი

თეირანი, 24 ივნისი. გერმანიის საჰაერო მიმოსვლის კომპანიის იუნკერსმა, სპარსეთის მთავრობას მიმართა წინადადებით თეირან-ქაბულს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ. მთავრობა იხილავს ამ წინადადებას. (ადს).

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

23 ივნისის დილის სხდომა

ბრალდებულ იმენიტოვის დაკითხვა

მოსკოვი, 25 ივნისი. 23 ივნისს პროცესის დილის სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულ იმენიტოვის დაკითხვას.

იმენიტოვი—სამთო-მადნო ინჟინერია. 1923 წლიდან დაპატიმრებამდე ის მსახურობდა დონუგოლის მოსკოვის წარმომადგენლობაში; ხოლო 1923 წლამდე მუშაობდა დონბასში.

იმენიტოვი წინასწარ გამოძიებაზე კატეგორიულად უარჰყოფდა ნაცნობობას დვორჟანჩიკთან, ეხლა კი აღიარა, რომ მან დვორჟანჩიკი „მხოლოდ ერთხელ ნახა". დვორჟანჩიკისაგან ფულების მიღებას იმენიტოვი უარჰყოფს.

იმენიტოვი უარჰყოფს აგრეთვე იმას, რომ მას სხვა ინჟინერებთან ქონდა ლაპარაკი მაღაროების ყოფილ მეპატრონეთა შესახებ.

სასამართლო იწვევს მოწმე ანდრეევს.

ანდრეევი სასამართლოს უამბობს, რომ იმენიტოვმა ერთხელ ის მიიწვია რაისამმართველოში, სადაც მას გადასცა 1.000 მანეთი და აგრეთვე 800 მან. სოკოლოვსკისათვის. საიდან მიიღეთ ეს ფული?—შეეკითხა ანდრეევი. ეს ფული,—უპასუხა იმენიტოვმა—დეტერმა ჩამოიტანა ბახმუტიდან, რომელიც მაღაროების ყოფილ მეპატრონეთაგან არის გამოგზავნილი. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმენიტოვმა მიიწვია ანდრეევი სერიოზული მოლაპარაკებისათვის, მაგრამ როცა ანდრეევი მივიდა მასთან, იმენიტოვს არ ეცალა და ანდრეევთან მოლაპარაკება მიანდო დეტერს.

დეტერმა ანდრეევს უთხრა, რომ ინჟინერებმა კავშირი დაამყარეს მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან, „რომელთაც უნდოდათ მაღაროების აღება კონცესიით", და რომ ბახმუტში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც უნდოდა დახმარება აღმოეჩინა კონცესიონერებისთვის. დეტერმა წინადადება მისცა ანდრეევს, რათა ხელი შეეწყო იმისათვის, რომ მაღაროები მოემზადებინათ კონცესიონერებისათვის გადასაცემად. ანდრეევი ყოყმანობდა, მაგრამ დასთანხმდა. ანდრეევი იგონებს აგრეთვე თათბირს ხარკოვში, რომელიც 1924 თუ 1925 წელში გაიმართა. ამ თათბირს დაესწრო მთვარი და რაიონის ინჟინერები და დონუგოლის მთელი ტეხნიკური ადმინისტრაცია. თათბირი მოწვეული იყო რომელილაც ლეგალური საბაბით, მაგრამ თათბირის შემდეგ მატოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ მჭიდრო კავშირი არის დამყარებული დონუგოლსა და მაღაროს ყოფილ მეპატრონეებს შორის, რომ დონბასის განვითარებისა და ახალ ნიადაგზე მოწყობის საკითხები შეთანხმებულია ამ ორგანიზაციასთან, და რომ მოგვარებულია ფულის მიღება საზღვარგარეთიდან ჩამომსვლელ ინჟინერების საშუალებით.

ანდრეევის ჩვენებას სავსებით ადასტურებს ბრალდებული სოკოლოვი.

სასამართლომ ამით დაამთავრა ბრალდებულ იმენიტოვის მიერ პერიფერიებში წარმოებული მუშაობის საკითხის განხილვა. ამის შემდეგ სასამართლო გადადის მოსკოვის ცენტრის საკითხზე.

„ირიცხებოდით თუ არა თქვენ მოსკოვის ცენტრალურ ორგანიზაციაში?—ეკითხება იმენიტოვს კრილენკო.

— არა,—უპასუხებს იმენიტოვი.

სასამართლომ გამოიწვია ბრალდებული მატოვი, რომელიც ამბობს, რომ მან იცის, რომ იმენიტოვი ირიცხებოდა ამ ორგანიზაციაში. მატოვმა ორჯერ ნახა იმენიტოვი მოსკოვის ცენტრში გამართულ თათბირზე, მან იგი რამოდენიმეჯერმე ნახა აგრეთვე ხარკოვში გამართულ თათბირებზე.

ბრალდებული ბრატანოვსკი ამბობს, რომ მან გარკვეულად იცის, რომ იმენიტოვი შედიოდა ორგანიზაციაში. ის იმენიტოვს ხვდებოდა ორგანიზაციის კრებებზე ხარკოვში; ამასთანავე იმენიტოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ კრებებზე.

ბრატანოვსკისა და სხვა ბრალდებულთა ჩვენების შესახებ, რომლებიც აშკარავებენ იმენიტოვის მუშაობას ორგანიზაციაში, იმენიტოვი ვერ იძლევა ვერავითარ სერიოზულ ახსნა-განმარტებას და ამბობს, რომ ეს ჩვენებანი მართალი არ არისო.

კრილენკო ამგვარ დასკვნას უკეთებს იმენიტოვის დაკითხვის შედეგებს:

„იმენიტოვმა მიიღო მონაწილეობა დამზიანებელთა ჯგუფის ორგანიზაციაში, მოსკოვში გადასვლის შემდეგ ფაქტიურად იყო კავშირის დამამყარებელი მოსკოვისა და ხარკოვის ორგანიზაციებს შორის, რაიც მტკიცდება ოთხი პირის პირდაპირი ჩვენებით".

ბრალდებული იმენიტოვი ყოველივე ამას უარჰყოფს.

ამით დამთავრდა დილის სხდომა (დს).

23 ივნისის საღამოს სხდომა

იმენიტოვის ახსნა-განმარტებანი

მოსკოვი, 25 ივნისი. 23 ივნისის საღამოს სხდომაზე იმენიტოვი გამოვიდა ახსნა-განმარტებით. მატოვისა და სოკოლოვის ჩვენებათა ანალიზის საშუალებით იმენიტოვი შეეცადა გამოენახა წინააღმდეგობანი ამ ჩვენებებში.

მოწმე პროფ. ტერპიგორევის დაკითხვა

სასამართლო შეუდგა მოწმე პროფესორ ტერპიგორევის—დონუგოლის ტეხნიკური საბჭოს ყოფილი წევრის დაკითხვას.

მოწმე ტეხნიკური საბჭოს მუშაობას ახასიათებს დადებითად.

ტეხნიკურ საბჭოში პროექტების დაგვიანებით გატარების საკითხზე მოწმე ამბობს რომ ტეხნიკური საბჭო შეიძლებოდა ყოფილიყო შირმა, რომელიც ფარავდა დამზიანებელთა მუშაობას, და რომ ეს საბჭო შეცდომაში შეჰყავდათ.

სასამართლოს სხდომა შესწყდა 25 ივნისის დილამდე (ადს).

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის

3 წლის განმავლობაში სახნისები შეცვლილი უნდა იქნეს გუთნით.—ტრაქტორების მომარაგების გეგმა 1928—29 წლისათვის

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დამზადების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ და ტრაქტორების გამოყენების შესახებ სასოფლო მეურნეობაში.

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დამზადებამ, მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, სარეკორდო დონეს მიაღწია. იგი თითქმის ორჯერ სჭარბობს ომის წინადროინდელ წარმოებას და მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმით მისი ღირებულება 127,8 მილიონ მანეთით განისაზღვრება. საბჭოთა სასოფლო სამეურნეო მანქანების მშენებლობის განვითარებამ შესაძლებლად გახადა სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოტანის თანდათანობითი შემცირება. 1924—25 წელში უცხოეთიდან შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ღირებულება შინაურ წარმოებასთან შედარებით შეადგენდა 50 პროცენტს, მიმდინარე წელს კი 10 პროცენტს შეადგენს, თუ 1924—25 წ. წ. ჩვენ უცხოეთიდან შემოგვქონდა საჭირო იარაღ-მანქანების ნახევარი, ახლა, მიუხედავად მოთხოვნილების გადიდებისა, მხოლოდ მეათედი ნაწილი შემოგვაქვს, დანარჩენ მოთხოვნილებას კი საკუთარი საშუალებებით ვაკმაყოფილებთ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების წარმოება შესამჩნევად გაიზარდა, მაინც აქვს ადგილი მთელ რიგ (განსაკუთრებით რთულ) სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეფიციტიანობას. ეს მოვლენა აღმოფხვრილი იქნება 1930—31 წლისათვის, როცა ამუშავდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამზადებელი მთელი რიგი ახალი ქარხნები.

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საბჭოთა კავშირს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების თვითღირებულების დარგშიც: 1926—27 წ. თვითღირებულება, წინა წელთან შედარებით შემცირებულ იქნა 8,1 პროცენტით, მიმდინარე წელს გატარდა დამატებითი შემცირება—5,6 პროც.

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საკავშირო საგეგმო კომისიასა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაონ ღონისძიებები სახნისის შესაცვლელად გუთნით სამი წლის ვადაში და სათანადო დადგენილების პროექტი შეიტანონ შრომისა და თავდაცვის საბჭოში. 1928—29 წ. გუთნის ფასები დაკლებული უნდა იქნეს.

რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის მაქსიმალური ტემპი, საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა კომიტეტს, რომელიც განაგებს სასოფლო-მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების საქმეს, რომ 1928—29 წლისათვის ტრაქტორების მიწოდების გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნეს 75.000 ახალი ტრაქტორის მიწოდება სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით.

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატს წინადადება მიეცა, რომ 1928—29 წელში ტრაქტორების მიწოდება ადგილებისათვის დაასრულოს: საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის—არა უგვიანეს თებერვლისა, შემოდგომის თესვის კამპანიისათვის კი არა უგვიანეს მაისისა.

საკავშირო რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს წინადადება მიეცა ტრაქტორები პირველ რიგში გაანაწილონ მსხვილი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებსა და გამქირავებელ პუნქტებს შორის, მეორე რიგში კი—სამანქანო ამხანაგობებსა, გლეხკომებსა და გლეხთა სხვა გაერთიანებებს შორის. გარდა ამისა, რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს დაევალა გააძლიერონ იმ მეურნეობათა ტეხნიკური დახმარება, რომლებიც ტრაქტორებით სარგებლობენ. იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს ტრაქტორების მუშაობის შედეგები სასოფლო-მეურნეობის ყველა დარგებში, რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს დაევალა 1928—29 წ. მოახდინონ იმ მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა, რომლებიც ტრაქტორებით სარგებლობენ. მოხსენება გამოკვლევის შესახებ საკავშირო საგეგმო კომისიაში უნდა იქნეს წარდგენილი არა უგვიანეს 1929 წ. პირველი აპრილისა.

თბილისის საბჭოს პლენუმი

შრომის კომისარიატის მუშაობა

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო დარბაზში შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი. საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის სახალხო კომისარმა ამხ. ს. თოდრიამ.

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო უმუშევრობის და შრომის დაცვის საკითხებს. მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ოქტომბრისათვის საქართველოში მუშაობაში ჩაბმული იყო 149.500 დაქირავებული მუშა-მოსამსახურე. აქედან თბილისში—64.200 კაცი. მუშაობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა შორის მთელს რესპუბლიკაში პროფკავშირის წევრები იყვნენ 138.000 კაცი. აქედან თბილისში—60.000 კაცი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უმუშევრობა ჩვენში თანდათანობით იზრდება. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის ითვლებოდა 12.000 უმუშევარი, ხოლო პირველი აპრილისათვის 15.500.

სამუშაოზე შრომის ბირჟის მიერ გაგზავნილთა შორის მეტ წილს შეადგენენ პროფკავშირის წევრები. მუშა-მოსამსახურეების ბირჟის გარეშე აყვანა გასულ წლამდე [illegible] პროცენტს შეადგენდა, მაგრამ შრომის კომისარიატმა პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მიიღო გადამჭრელი ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ და სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე აყვანა ამჟამად დაყვანილია მინიმუმამდე. უმუშევრობის შემცირების მიზნით შრომის სახალხო კომისარიატი აწყობს საზოგადოებრივ სამუშაოებს, რომლებშიაც ჩაბმულია 20.000-მდე კაცი. ეწყობა აგრეთვე უმუშევართა კოლექტივები. შრომის კომისარიატს უმუშევართათვის მოწყობილი აქვს სასადილო, სადაც მზადდება 500—600 სადილი. ნაწილი სადილებისა უმუშევრებს ეძლევათ უფასოდ, ხოლო ნაწილი დაკლებულ ფასებში. შრომის სახალხო კომისარიატი უმუშევრებს აგზავნის აგრეთვე თავ-თავიანთ სამშობლოში. მათ ეძლევათ შეღავათიანი საგზაო ბილეთი და საგზაო ხარჯები.

საანგარიშო პერიოდში კომისარიატს გადაუმზადებია 211 კაცი, რაზედაც დაუხარჯავს—10.000 მანეთი. შრომის დაცვის მხრივ თბილისი დაყოფილია სამ რაიონად და თვითეულ რაიონში არის შრომის ინსპექტორი. შრომის კომისარიატთან არსებობს აგრეთვე სანიტარულ-ტეხნიკური და უფლებრივი შრომის ინსპექციები, რომლებიც მოქმედობენ მთელს რესპუბლიკაში.

შრომის ინსპექციის მიერ მიცემულ შენიშვნების უმეტესი ნაწილი რჩება შეუსრულებელი, რაც უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის სახალხო კომისარიატი აწარმოებს ბრძოლას ზედმეტ მუშაობასთან. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტი მუშაობა დაყვანილია მინიმუმამდე. მიმდინარე წლის განმავლობაში შრომის კომისარიატს აღურიცხავს 229 სხვადასხვა უბედური შემთხვევა; უბედური შემთხვევების ზრდის მიზეზია მანქანების სიძველე და მუშების დაბალი კვალიფიკაცია.

სოცდაზღვევის კომიტეტის მუშაობა

საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ჩელიძემ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს გაცილებით გამარტივდა დაზღვევის საქმე, რამაც დიდათ გაზარდა დაზღვეულთა რაოდენობა. ამჟამად რესპუბლიკაში ირიცხება 110.705 დაზღვეული, აქედან თბილისში—48.630 კაცი. პენსია ეძლევა—6.249 კაცს, აქედან თბილისში—3.125 კაცს. დაზღვეულთა შორის უმუშევარია—11.596 კაცი, აქედან თბილისში—7.840 კაცი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმდინარე საანგარიშო პერიოდში გამარტივდა როგორც პენსიის, აგრეთვე დახმარების გაცემის წესი. ამჟამად პენსიონერებს პენსია ფოსტით ეგზავნებათ სახლში.

1 ივლისიდან განზრახულია დახმარების გაცემის საქმის გადატანა წარმოებაში, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს საქმეს.

დაზღვევის კომიტეტმა პროფკავშირებისაგან შეიძინა დასასვენებელი სახლები წაღვერში, ბორჯომში და გაგრაში. გარდა ამისა ახალი დასასვენებელი სახლები მოაწყო ბორჯომში (პლატო), წყალტუბოში, შუამთაში. ერთი ახალი სანატორიუმი მოაწყო ბორჯომში.

წელს დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება 5.000 კაცი, სანატორიუმებში—1.068 კაცი. ავადმყოფები გაიგზავნებიან აგრეთვე ზღვის სანაპიროებზე და სხვა კურორტებზე.

საქმოო დახმარების საქმეზე კომიტეტს გასულ წელს დაუხარჯავს 2.294.174 მანეთი, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეზე—616.000 მანეთი, ხოლო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში—481.120 მანეთი.

დაზღვევის საქმის გასაუმჯობესებლად შექმნილია დაზღვევის დელეგატების ინსტიტუტი, რომელიც პერიოდულად მართავს სხდომებს და იხილავს დაზღვევის ორგანოების მოქმედებას.

დამზღვევი კომიტეტის მუშაობის გაფართოებას აფერხებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი უწყება-დაწესებულებები მალავენ გაცემულ ხელფასის რაოდენობას. ასე მაგალითად, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში აღმოჩენილია 320.000 მან. დაფარული ხელფასი, სახკომფინში—292.000 მან., აღმასკომის სამკურნალო ქვე-განყოფილებაში—63.000 და სხ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომიტეტის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ იზრდება გასავალიც. საანგარიშო პერიოდში კომიტეტს შემოსავალი უდრის 5.487.652 მანეთს, გასავალი 6.054.205 მან. დეფიციტი-566.553 მანეთს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. არეშიძე, ტროფიმოვი, ბელაძე, ხვედელიძე, მამულია, მესხი, კაზარიანი და სხ.

მოხსენებების გამო რეზოლიუციების შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

ტეხნიკუმებში მიღების წესი

მომავალ სამოსწავლო წლისათვის

განათლების სახ. კომისარიატმა დაამტკიცა 1928-29 სასწავლო წლისათვის ტეხნიკუმებში მიღების წესი.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, ტეხნიკუმებში (ინდუსტრიალურ და ფარმაცევტიულ ტეხნიკუმების გამოკლებით), მიღებული იქნებიან ორივე სქესის მოსწავლენი მასაკით—არა ნაკლებ 15 წლისა და არა უმეტეს 17 წლის. ინდუსტრიალურ და ფარმაცევტიულ ტეხნიკუმებში მიღებული იქნებიან არა ნაკლებ 16 წლისა და არა უმეტეს 18 წლის მოწაფენი.

ტეხნიკუმებში შესვლის მსურველთ უნდა ჰქონდეთ შვიდწლედის დამთავრების მოწმობა.

ტეხნიკუმებში შესასვლელად განცხადებების მიღება დაიწყება მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან და გასტანს 25 აგვისტომდე. განცხადებებს თანდართული უნდა ჰქონდეს: 1) წლოვანობის, 2) შვიდწლედის კურსდამთავრების, 3) მშობლების სოციალურ მდგომარეობის, და 4) ჯანმრთელობის მოწმობა და 5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

ტეხნიკუმებში მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბრიდან და დამთავრდება 10 სექტემბერს. ტეხნიკუმებში შესვლის მსურველებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ 7 წლედის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში.

რუსულ, სომხურ და თურქულ ტეხნიკუმებში შემსვლელებმა: წერა მშობლიურ ენაზე, ქართული და რუსული ზეპირათ, ხოლო ქართულ ტეხნიკუმებში შესვლის მსურველებმა, უნდა ჩააბარონ ქართულ წერაში და რუსული ზეპირი. გარდა ამ საგნებისა ჩასაბარებელია გამოცდები: საზოგადოებათ მეცნიერებაში, გეოგრაფიაში, მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და ფიზიკაში.

რკინისგზელთა პროფკავშირის მეექვსე პლენუმი

მეორე სხდომა

პლენუმის მეორე სხდომაზე, 24 ივნისს დილით,—გაიხსნა კამათი რკინის გზელთა ხელფასის რეფორმის ჩატარების შესახებ გაკეთებულ მოხსენების ირგვლივ. კამათში გამოსული ორატორები ეხებოდენ ხელფასის რეფორმის ჩატარებისას დაშვებულ შეცდომებს და უსაყვედურებდენ საგზაო კომიტეტს, რომ რეფორმის დროს ყურადღება არ ექცეოდა ძველი ხელფასის რაოდენობის დაცვას.

ამხ. რაზმაძე აღნიშნავს, რომ რეფორმის გასატარებლათ საგზაო კომიტეტმა თავის დროზე არ მიაწოდა ადგილებს გარკვეული დირექტივები და ახსნა-განმარტებები, რამაც გამოიწვია მრავალი შეცდომები.

ამხ. გულიანი მოითხოვს, რომ რკინის გზის მუშებისათვის ხელფასის ახალი ნორმების და წესების დროს ხდებოდეს ხელფასის რაოდენობის განსაზღვრა ნამუშევარი საათების მიხედვით.

ამხ. სადიხი (ბაქოს საუბნო კომიტეტიდან) ხაზს უსვამს ახალი სატარიფო კრებულის უქონლობას და აღნიშნავს, რომ ეს გარემოება აბრკოლებს ხელფასის საკითხის მოგვარებას. ამიტომ ორატორი წინადადებას იძლევა დაჩქარებით მოხდეს ახალი სატარიფო კრებულის დამუშავება.

დანარჩენი ორატორები ეხებიან ზოგიერთი დარგების მუშების ხელფასის ფაქტიურ დაკლებას, რასაც ადგილი ექნება ახალი რეფორმის სავსებით გატარების შემდეგ.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ნ. უსტიაშვილი.

მესამე სხდომა

რკინის გზელთა ხელფასის რეფორმის შესახებ მოსმენილ მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებათა შემმუშავებელი კომისიის არჩევის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამიერ-კავკასიის სამომხ. სატრანსპორტო კოოპერაციის („ზაკტპეო") წარმომადგენლის ამხ. ვ. აკიმოვის მოხსენება რკინის გზელთათვის პირველი მოხმარების პროდუქტების მიწოდების შესახებ.

მომხსენებელმა პლენუმს განუმარტა, რომ თავის მიმდინარე საქმიანობაში მთავარი საზრუნავ საგნათ სატრანსპ. კოოპერაციის გამგეობას დასახული აქვს რკინის გზელთათვის საკმაო პურის მარაგის და სხვა პროდუქტების დამზადება. ამ მხრივ მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ავაქიანის მოხსენება რკინის გზელთა საგზაო დამზღვევი სალაროს გამოკვლევის შედეგების შესახებ. მოხსენება საინფორმაციო ხასიათის იყო.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა განჯის საუბნო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. მახმუდოვი, რომელმაც დაახასიათა განჯის უბანზე რკინის გზელთა შორის წარმოებულ პროფ. მუშაობის მდგომარეობა. განჯის უბანზე, მომხსენებლის გადმოცემით, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გადახრებს და შეცდომებს, როგორიცაა,— კულტმუშაობის სუსტად წარმოება, მუშათა დაწინაურების შეფერხება, საწარმოო თათბირების დადგენილებათა შესრულებისათვის თვალყურის არდევნება და სხვა. შეცდომების მიზეზათ მომხსენებელი ასახელებს ადგილობრივ მომზადებული პროფმუშაკების უქონლობას, საგზაო კომიტეტსა და განჯის საუბნო პროფკავშირს შორის ცოცხალი კავშირის სისუსტეს, ადგილობრივი რკინის გზის ადმინისტრაციის ზოგიერთ წარმომადგენელთა სუსტ და არარაციონალურ ხელმძღვანელობას და სხვა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა მრავალი ორატორი, რომლებიც მოითხოვდენ განჯის საუბნო პროფკავშირის მუშაობის გაცხოველებას კულტურული მუშაობის გაძლიერებას, განჯაში მომზადებული პროფმუშაკების გაგზავნას და სხვა.

დასასრულ, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც განჯის საუბნო პროფკავშირის მუშაობა ცნობილია სუსტად და არა დამაკმაყოფილებლად და წინადადება აქვს მიცემული საგზაო კომიტეტს გამოიმუშაოს განჯის უბანზე პროფმუშაობის გასაჯანსაღებლად საჭირო ღონისძიებები.

25 ივნისს საღამოს პლენუმის სხდომა არ შემდგარა; მუშაობა გადატანილი იყო კომისიებში.

ადგილობრივ მუშაობის საკითხები

ამხ. ა. ენუქიძის სიტყვა

ქუთაისის სამაღმასკომის პლენუმზე

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

23 ივნისი

— ამხანაგებო! მე დღეს ჩამოვედი რაჭიდან. 12 დღეა რაც რაჭაში ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში არც გაზეთისთვის მიდევნებია თვალი და არც სხვა გარეშე ამბავი მომსვლია. მე არ შევეხები ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებს ჩვენი სახელმწიფოისას, მხოლოდ მინდა ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოვიტანე რაჭის გლეხობასთან ლაპარაკიდან.

რაზე სჩივა რაჭის გლეხკაცობა

რასაკვირველია, ეს სიტყვები უცხო არ იქნება თქვენთვის, ეს ადგილობრივ მომუშავეებს ყოველდღე გხვდებათ.

რაჭის მაზრაში ხალხი, ჩემი იქ ყოფნის დროს, ბევრი მოდიოდა ათასგვარი საჩივრებით და კითხვებით. მე, როდესაც შევაჯგუფე ეს საჩივრები და კითხვები, ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე: — სანამ არ გატარდება ჩვენში მიწადმოწყობა — ეს აუარებელი კითხვები მიწის სარგებლობის შესახებ მწვავე საკითხად დარჩება, როგორც აქ- ისე ყველგან.

მეორე საკითხი, რომელიც აინტერესებდა გლეხობას და რომელიც არ არის მოწესრიგებული, — ეს არის საბალახოებით სარგებლობა. შეიძლება ქუთაისის მაზრაში არ ქონდეს ადგილი საბალახოების საკითხის გამწვავებას, მაგრამ იმ მაზრებში, სადაც მთებია, საბალახოების შესახებ საკითხი ძალიან გამწვავებულია. ეს იმიტომ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ საბჭოებს, სათემო აღმასკომებს ან სასოფლო- სამეურნეო საბჭოებს არ მიუქცევიათ ამისათვის ჯეროვანი ყურადღება.

მესამე საკითხი შეეხება ტყეებით სარგებლობას; აქაც საკითხი გამწვავებულია. რასაკვირველია, საერთო ზომები არის მიღებული, მაგრამ თვითონ საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით ეს საკითხი მოუწესრიგებელია, ვინაიდან არ არის განსაზღვრული დადგენილება, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს ადგილობრივმა მომუშავეებმა.

ბიუროკრატიზმი აღმასკომებში

დანარჩენი კითხვები შეეხება ისეთ საკითხებს, სადაც გლეხკაცობა თვითონ ვერ ნახულობს გზას და არ იცის, თუ რითაა იგი გამოწვეული და ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ როცა საჩივრების დროს უყენებდი კითხვას გლეხკაცობას, თუ რაში ემდუროდენ ადგილობრივ ხელისუფლებას, ისინი იმაზე გვითითებდნენ, რომ ვერ მუშაობენ სათანადოთ სათემო აღმასკომებში ან სასოფლო საბჭოებში. რაში გამოიხატება ეს? გამოიხატება იმაში, რომ უბრალო საკითხის შესახებ ცნობის მიღებას, ან რაიმე უბრალო მოწმობის აღებას გლეხი უნდება 3 დღე ან სამი კვირა. რატომ ხდება ეს? მართალია არიან ისეთი გულწრფელი კომუნისტები, რომელნიც სავსებით ამართლებენ ჩვენს იმედებს, მაგრამ ბევრი მაინც იმას გაიძახოდა, რომ ადგილობრივი მომუშავეები ძალიან გულგრილად ეპყრობიან თავიანთ თანამდებობასო. ვერ შეუგნიათ ის, რომ გლეხკაცობის გაცდენას არა თუ ნახევარი დღით, არამედ ნახევარი საათითაც — დიდი მნიშვნელობა აქვს.

საჭიროა მეტი კოლეგიალობა

მეოთხე კითხვა შეეხება იმას, რომ აღმასკომის თავმჯდომარე ხშირად პირადად სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომელიც საჭიროა აღმასკომის წევრებთან ერთად იქნას განხილული, ან პრეზიდიუმში იქნას დამუშავებული და შემდეგ საბჭოში გატარებული. მართალია ეს მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ თუ ამ საქმეს უყურადღებოთ დავტოვებთ — ეს ხანდახან წინააღმდეგობას შეუქმნის ჩვენს საბჭოთა სისტემას. ვერ ვიტყვით იმას, რომ თითქოს თავმჯდომარეს ან მდივანს ეს განზრახ მოსდიოდეს!

ძალიან ცოტა ხდება სასოფლო ან სათემო ყრილობები, სადაც საერთო კითხვების გადაწყვეტა უფრო ადვილია. გარდა ამისა ყრილობის დადგენილებანი უფრო მტკიცე და ავტორიტეტულია. ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ უსახსრო ვართ, სახელმწიფო ვერ აჯილდოვებს იმ მომუშავეებს, რომელნიც ამ მაზრაში მუშაობენ, რომ მათ თავის საქმეს მიაქციონ ყურადღება. მეორე მიზეზია ის, რომ ჯერ ჩვენ საბჭოთა კავშირში არ გვაქვს დამუშავებული სასოფლო და სათემო საბჭოების დებულება. ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელია. წელს ეს დებულება დამტკიცდა. ეს დებულება აფართოვებს იმ ბაზას, რომელიც მისცემს საშუალებას სათემო აღმასკომებს და სათემო საბჭოებს ჩააბან წევრები საერთო მუშაობაში.

საერთოდ, გლეხობის შეკითხვებიდან და ადგილობრივ მუშაობაზე დაკვირვებიდან ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ:

ქეიფისა და ლოთობის წინააღმდეგ

უკმაყოფილებას ჩვენი სისტემის მიმართ არ აქვს ადგილი, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია წვრილმანი საკითხების მოუწესრიგებლობით, ხანდახან დაუდევრობით და იმით, რომ ჩვენი მუშაკები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ პირად ცხოვრებას.

მაგალითს სინამდვილიდან მოვიყვან. ხშირად აქვს ადგილი ისეთ მოვლენას, როდესაც აღმასკომის მომუშავენი, პარტიული ამხანაგებიც ქეიფობენ სწორეთ იმ დროს, როცა ის დაწესებულებაში უნდა იყვეს. გლეხები, რომელიც ამ დროს მუშაობს ყანაში, უყურებს რა მომუშავეების ასეთ საქციელს, სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამს. ადგილობრივ მთავრობის ქეიფობა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მასაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამას. ყოველი შეგნებული, პარტიული იქნება ის, თუ უპარტიო, ვისაც სწამს სოციალისტური მშენებლობის საქმე ამ მოვლენას უნდა შეებრძოლოს. ამიტომ თქვენ ყურადღებას მივაქცევ ამ მოვლენას.

ადგილობრივი მუშაკის როლი სოციალისტურ აღმშენებლობაში

თქვენ იცით ის შევიწროვებანი, რომელსაც განიცდის ჩვენი რესპუბლიკა, მაგრამ მე მგონია თქვენი დახმარებით ყველა ამ დეფექტებს გადავლახავთ. მე ვამბობ თქვენი დახმარებით, იმიტომ, რომ ჩვენი ცენტრალური მთავრობა და ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ მუშაობას, თავიდანვე დარწმუნებული ვყავით, რომ თუ ადგილობრივათ, სოფლად ან თემში კარგად არ არის დამყარებული მუშაობა, მაშინ ძნელი იქნება სახელმწიფოს სწორ საბჭოთა საფუძვლებზე მართვა.

ხშირათ მესმის, თითქოს ადგილობრივ მუშაობას არ აქვს მნიშვნელობაო. ხშირად მოგვმართავენ ხოლმე ამხანაგები, მოგვწყინდა სოფლად მუშაობა, გვინდა სწავლის გაგრძელება და სხვა. ეს სამწუხარო მოვლენაა. ყველას ვერ შეუგნია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მუშაობის მოწესრიგებას. თუ დაუკვირდებით საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას, თქვენ დარწმუნდებით, რომ დღემდე არც პოლიტიკ. და არც ეკონომ. საშუალება არ გვაძლევდა შესაძლებლობას ჯეროვანი ყურადღება მიგვექცია ადგილობრივი მუშაობისათვის, დღეს კი დადგა ის დრო, როცა უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა ადგილობრივ მუშაობას. თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტია ყოველთვის ყრილობაზე, ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე და აგრეთვე საბჭოთა ყრილობაზე აყენებს უმთავრესად კითხვას ადგილობრივი მუშაობის შესახებ. დღეს სწორეთ დადგა ის ხანა, როდესაც უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ადგილობრივ მუშაობას. ამიტომ მე გისურვებთ თქვენ გამხნევებული ყოფილიყოთ იმ აზრით, რომ თვითეულ თქვენთაგანის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

საჭიროა აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცეს ადგილობრივი მომუშავეების ურთი-ერთ კავშირს. უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს ისეთი პლენუმების მოწვევა, სადაც კი ხდება გაცნობა, ურთი-ერთ დაკავშირება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ მუშაობისათვის. ეს კავშირი უფრო აადვილებს საჭირბოროტო კითხვების მოგვარებას.

მეტი კავშირი სოფლის მეურნეობასთან

რადგან მეტი დრო არ არის — სხვა კითხვებს არ შევეხები, მხოლოდ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ საკითხს, რომელიც მე თვითონ ვერ გადამიწყვეტია.

როგორც იცით ბევრი ახალგაზრდა ათავებს ჩვენს სასწავლებლებს, სწავლა ისე არის დაყენებული, რომ უმრავლესობა მოწყვეტილია სოფლის მუშაობას. სწავლის დამთავრების შემდეგ მათთვის ძნელი ხდება, რაიმე საქმისათვის ხელის მოკიდება, ამიტომ აუარებელი ახალგაზრდა მოდიოდა ჩემთან და, რასაკვირველია, ყველა გამოსთქვამდა სწავლის გაგრძელების სურვილს. ბევრს არ ხვდება, რომ სოფელი ისე შეიძლება მოეწყოს, რომ იქ ფეხს მოიკიდებს კულტურული ცხოვრება. ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, ძალიან დიდი ნაკლია, არა თუ ჩვენ მოზარდ არა თუ საქართველოს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ახალგაზრდობა, რომელიც ათავებს 7-9 წლედს, მოწყვეტილია სოფლის მეურნეობას, ამავე დროს ვერ შოულობს სხვა საქმესაც. რუსეთში არის ისეთი გუბერნიები, რომელიც არ ჩამოუვარდებიან საქართველოს სკოლების სიმრავლით, მაგრამ საქმე იქ ისეა მოწყობილი, რომ 7 წლედის დამთავრების შემდეგ მოწაფე არ შორდება თავის მიწა-წყალს. ჩვენში კი ამას ადგილი არა აქვს, და სწორეთ ამ კითხვას უნდა ჩაუკვირდეთ და სათანადო ყურადღება მივაქციოთ. აი ის — რაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა, ამხანაგებო (ტაში).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა მთავრობის პროტესტი საბჭოთა კავშირის საკონსულოს გაჩხრეკის წინააღმდეგ

მოსკოვი, 25 ივნისი. ჩინეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ჩენ-ენში მიწვეულ იქნა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში, სადაც მას საბჭოთა მთავრობის სახელით ენერგიული პროტესტი განუცხადეს ჩინეთის ხელისუფლების მიერ ტიანძინში საბჭოთა საკონსულოს გაჩხრეკის წინააღმდეგ.

ჩინეთის საქმეთა რწმუნებულმა განაცხადა, რომ ამ პროტესტს დაუყოვნებლივ აცნობებს ნანკინის მთავრობას. (ადს).

შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტი

მოსკოვი, 25 ივნისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ კავშირის ცაკის პრეზიდიუმს წარუდგინა დასამტკიცებლად „შრომის წითელი ორდენის დროშის" სტატუტი. ორდენი დაწესებულია განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის ამ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე წარმოების, სამეცნიერო მიღწევების, სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურის დარგში.

ორდენით დაჯილდოებული პირების და მათი ოჯახის წევრებს პენსია ეძლევა პერსონალური წესით. (ადს).

დახმარება შვეციის გაფიცულ სამთამადნო მუშებს

მოსკოვი, 25 ივნისი. 23 ივნისამდე სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკამ შვეციის გაფიცულ სამთამადნო მუშებს დახმარების სახით გადაუგზავნა 361.500 მანეთი. 23 ივნისს შვეციის სამთამადნო მუშათა კავშირის თავმჯდომარის ხანსონისაგან მიღებულია დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ გაფიცვა და ლოკაუტი შვეციის მაღაროებში ჯერ კიდევ გრძელდება. გაფიცვა უკვე ექვსი თვეა გრძელდება.

„ჩვენი კავშირის წევრები—სწერს ხანსონი—დიდ მადლობას გამოსთქვამენ იმ მნიშვნელოვანი დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწია საბჭოთა სამთამადნო მუშების მოძმე კავშირმა". (ადს).

პროფმუშაობის გამოკვლევა გამმერის საკონცესიო ფაბრიკაში

მოსკოვი, 25 ივნისი. ქიმიკოსთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება გამმერის საკონცესიო ფაბრიკაში წარმოებულ პროფმუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ პროფმუშაობას აქ ფაბრიკაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ფაბკომის თავმჯდომარე არავითარ ზომებს არ ღებულობდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელიც უყურადღებოდ სტოვებდა მუშათა მოთხოვნილებებს. სამუშაოზე მიღების დროს ფაქტიურად იყო გავრცელებული პროტექცია. ფაბკომი არავითარი გავლენით არ სარგებლობდა მუშებში და არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა. კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა მოიწონა კავშირის საგუბერნიო განყოფილების დადგენილება ფაბკომის თავმჯდომარის—ბიჩკოვის სამუშაოდან მოხსნის შესახებ. ფაბკომის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივების შეუსრულებლობის გამო გამოეცხადა საყვედური. ამასთან ერთად კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებას გამორიცხოს ბიჩკოვი კავშირის გამგეობიდან და მუშათა საერთო კრებაზე დასვას საკითხი ბიჩკოვის უკან გამოწვევის შესახებ მოსკოვის საბჭოსა და რაიონულ საბჭოდან. (ადს).

საკავშირო თათბირი მებამბეობის შესახებ

მოსკოვი, 25 ივნისი. მებამბეობის მთავარი კომიტეტი საკავშირო ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის ნებართვით ივლისის დამლევს მოსკოვში იწვევს საკავშირო თათბირს მებამბეობის შესახებ. თათბირი განიხილავს ბამბის თესვის კამპანიის შედეგებს, მიმდინარე წლის ბამბის მოსავლის აკრეფისა და რეალიზაციის საკითხებს და კაპიტალური მშენებლობის საკითხებს. (ადს).

საზოგადოება „აერო-არკტიკ"-ის კონგრესი

ლენინგრადი, 25 ივნისი. დაიხურა არქტიკის შემსწავლელი კონგრესი. საბოლოო სიტყვაში კონგრესის თავმჯდომარემ ნანსენმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და ლენინგრადის საბჭოს სტუმართმოყვარეობისათვის. კონგრესმა გამოჰყო მთელი რიგი კომისიები, რომლებმაც უნდა მოამზადონ ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენა. ზოგიერთ კომისიებს საბჭოთა მეცნიერები ხელმძღვანელობენ. (ადს).

ინჟინერ მელიქ-ფაშაევის დანიშვნა

მოსკოვი, 25 ივნისი. საკავშირო ს.მ.უ. საბჭოს ბრძანებით რიონჰესის მთავარ ინჟინერის თანამდებობიდან განთავისუფლებულია ამხ. ჰუჩინაძე და ამ თანამდებობაზე დანიშნულია ამხ. მელიქ-ფაშაევი. (ადს).

ვიტებსკის სასამართლოს მუშაკების საქმე

ვიტებსკი, 25 ივნისი. დამთავრდა ვიტებსკის სასამართლოს მუშაკების საქმის გამოძიება: ეს საქმე აშკარავებს პირველი უბნის სახალხო სასამართლოში გამეფებულ მექრთამეობას, ლოთობასა და გარყვნილებას: მოსამართლეები კოლესნიკოვი, სავლოვიჩი, ლუკიანოვი და ნიკოლაევი გლეხებისაგან იღებდენ ქრთამს ნატურით—ერბოს, კვერცხს, ბატებს და სხ. ქრთამს იღებდენ აგრეთვე სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან, ცხენის ქურდების და აფერისტებისაგან. მოსამართლე კოლესნიკოვი ხშირად საქმეს სწყვეტდა იმათ სასარგებლოდ, რომლებიც ნებას აძლევდენ მას გაარშიყებოდა მათ ცოლებსა და ქალიშვილებს. მთელი ეს კამპანია ხშირად თვრებოდა და დებოშებს ახდენდა სამიკიტნოებში საზოგადოების ნაძირალებთან ერთად.

უახლოეს დროში მოსამართლენი და მექრთამეები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. (ადს).

სრულიად საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 25 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულმა სრულიად საკავშირო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გადასწყვიტა დამატებით მოიწვიოს სპარტაკიადაზე რიგის პროფკავშირთა ცენტრალური ბიურო და ესტონეთის მუშათა სასპორტო კავშირი. კომიტეტში მიღებულია ცნობები რომ სტოკჰოლმიდან მოსკოვში ველოსიპედებით გამგზავრდა სამი იოგანსენი სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. ოთხი გერმანელი სპორტსმენი მოსკოვში მოდის ფეხით. (ადს).

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პლენუმი

ბაქო, 25 ივნისი. დღეს გაიხსნა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მორიგი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია: მოხსენება აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, მასიური მუშაობის შესრულების შესახებ, საწარმოო თათბირების და დარგებითი საკონტროლო კომისიების მუშაობის შესახებ და სხ. მოხსენებები.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა ამხ. რაგიმოვმა, რომელმაც აღნიშნა პროფაქტივის სისუსტე, განსაკუთრებით მაზრებში. პროფკავშირთა მუშაობას აზერბაიჯანში უკანასკნელ ხანებში ახასიათებს კავშირის წევრ-მუშათა მონაწილეობის გაძლიერება ეკონომმუშაობაში.

პლენუმმა მოიწონა აზერბაიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა. (ადს).

6 საათის სამუშაო დღე მაღაროებში

დონის როსტოვი, 25 ივნისი. 11 ივნისიდან მაღაროების გაერთიანებულ სამმართველოს მემანქანეები გადავიდენ 6 საათის სამუშაო დღეზე. ამ დროიდან განუწყვეტლივ იზრდება ქვანახშირის ამოღება. სამუშაო დღეების გაცდენა ორჯერ შემცირდა. (ადს).

6 საათის სამუშაო დღე სამთამადნო მრეწველობაში

მოსკოვი, 25 ივნისი. მემაღაროეთა კავშირის ცეკამ გადასწყვიტა ცდის სახით ეხლავე განახორციელოს 6 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა დონბასის ორ მაღაროში. შედეგების გამორკვევის შემდეგ სისწორით იქნება გამორკვეული ის ვადა, როცა უნდა მოხდეს 6 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა მთელ ქვანახშირის მრეწველობაში, ისე რომ მან არ გამოიწვიოს თვითღირებულების გადიდება და პროდუქციის შემცირება. (ადს).

დახმარება შვეციის მემაღაროებს

მოსკოვი, 25 ივნისი. 25 ივნისს მემაღაროეთა კავშირის ცეკამ გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად შვეციაში გადაგზავნა 19.000 მანეთი. სულ გაფიცვის განმავლობაში გაიგზავნა 377.000 მანეთი. (ადს).

კურორტი სალიონი ლიმანზე

დნეპროპეტროვსკი, 25 ივნისი. საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგეს ტალახით სამკურნალო კურორტის მოწყობას სალიონი ლიმანის ტბაზე ნოვომაისკის რაიონში. (ადს).

მებამბეობის მთავარ კომიტეტის გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდება

მოსკოვი, 25 ივნისი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიმართა თხოვნით შეავსოს მებამბეობის მთავარ კომიტეტის გამგეობის შემადგენლობა თურქმენისტანისა და ამიერ-კავკასიის წარმომადგენლებით. (ადს).

—:—

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანის ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტ. გამგეობა დაშლილია და მიცემულია პასუხისგებაში

ბაქო, 25 ივნისი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ მიიღო ცნობა, იმ სისაძაგლის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში. სასწრაფოდ იქნა შედგენილი კომისია, რომელმაც გამოარკვია შემდეგი: 1925 წლიდან დაწყებული კავშირის ცენტრ. გამგეობის ბუჰხალტერი ალიევი ეწეოდა კავშირის ფულების სისტემატიურ ფლანგვას. ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია 16.600 მანეთის გაფლანგვა. ნამდვილად კი გაფლანგვა საგრძნობლად აღემატება ნაჩვენებ თანხას.

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაშალოს ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის ცენტრალური გამგეობა და მისცეს ის პასუხისგებაში. გარდა ამისა პასუხისგებაში იქნება მიცემული კავშირის ყველა თანამშრომლები, რომლებიც მსახურობენ 1925 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში უკვე გამოიცვალნენ, მაგრამ დანაშაული მიუძღვით სისაძაგლეში. დასჯილნი იქნებიან აგრეთვე დაბალი უჯრედები, რომლებსაც წილი მიუძღვით ამ საქმეში.

კასპიის სანაოსნო საზოგადოების ახალი გეგმები

ბაქო, 25 ივნისი. კასპიის სანაოსნო საზოგადოება შეუდგა კასპიის ფლოტის განახლებას. აგებულ იქნება მთელი რიგი ახალი გემები, რაიც სავსებით უზრუნველჰყოფს ნავთის გადაზიდვის საქმის მოგვარებას. ახალი გემების ასაგებად გადადებულია 10 მილიონი მანეთი. (ადს).

ბაქოს ახალი სავაჭრო ნავთსადგური

ბაქო, 25 ივნისი. კასპიის სანაოსნო საზოგადოების სპეციალურმა კომისიამ უკვე ამოარჩია ადგილი, სადაც აგებულ იქნება ბაქოს ახალი სავაჭრო ნავთსადგური. ახალი ნავთსადგურის აგება დაჯდება რამოდენიმე მილიონი მანეთი. პირველდაწყებითი მუშაობისათვის ცენტრმა უკვე გადასდო 250.000 მანეთი და კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ 150.000 მანეთი. (ადს).

ნაფტალინის სარეწაოების აღდგენა

ბაქო, 25 ივნისი. აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს გამოკვლევით, ნაფტალინის სარეწაოების აღსადგენად (განჯის მაზრაში) საჭირო იქნება 854.000 მანეთი. აღდგენითი სამუშაოების პროექტი ითვალისწინებს 12 სარეწაოს აღდგენას და 2 ახალი სარეწაოს აგებას. (ადს).

პარტიული ცხოვრება

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) საკ. კომისიის პლენუმი

ბაქო, 25 ივნისი. 23 ივნისს გაიხსნა აზერბაიჯანის კომიტეტის (ბ) საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი.

დღის წესრიგში იდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება მასიური მუშაობის შესახებ და საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ანგარიში.

მოხსენება მასიური მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ორლიცკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის აქტივი შეადგენს 300 მეტ კაცს, რომელთაგან 60 პროც. არის დაზგის მუშ. ინსპექცია ყოველი გამოკვლევის დროს ფართოდ იყენებს მუშებს. მილიციის გამოკვლევის დროს მაგალითად, ჩაბმულ იქნა 100-მდე ამხანაგი. მუშები ჩაბმულ იქნა აგრეთვე საჩივართა განხილვის საქმეშიც. გლეხთა ინსპექციის სარაიონო და სამაზრო სექციებმა განიხილეს და გადასწყვიტეს—146 საჩივარი.

მუშაობა გაუმჯობესდა თვისობრივად და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ავტორიტეტი მასების თვალში გაიზარდა.

შემდეგ მოსმენილ იქნა საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხ. პლეშაკოვმა.

„100 დავალებიდან,—ამბობს ამხ. პლეშაკოვი,—ჩვენ შევასრულეთ 42 დავალება. ჩვენ მოვახდინეთ აზერბეიჯანის რესპუბლიკას უდიდესი ორგანიზაციების გამოკვლევა. „მასლოჟირსინდიკატის" ბაქოს განყოფილების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ განყოფილების ზარალი ორი წლის განმავლობაში შეადგენს 38.255 მანეთს. აღმოჩენილ იქნა ფულის გაფლანგვა და მექრთამეობა.

ჯულფა-ბაქოს რკინის გზის გამოკვლევის დროს აღმოჩენილ იქნა უყაირათობის, სახაზინო ფულის მითვისების, ნათლიმამობის და სხ. მრავალი ფაქტები.

„აზსოლტრესტის" გამოკვლევამ გამოამჟღავნა დაუდევრობანი და ბოროტმოქმედებანი.

შემდეგ ამხ. პლეშაკოვმა აღნიშნა, რომ საჩივართა ბიურომ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში უდიდესი პოპულიარობა მოიხვეჭა მუშათა მასებში.

მოხსენების უკანასკნელ ნაწილში ამხ. პლეშაკოვი შეჩერდა ოპოზიციის საკითხზე. უკანასკნელ ხანებში მაზრებში თავი იჩინა რამოდენიმე ოპოზიციონერმა—სულ 4 კაცამდე; აქედან 2—ლენქორანის მაზრაში, 1—ნახიჩევანის მხარეში და 1—სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედში.

საქმის გამოძიების შემდეგ საკონტროლო კომისიამ მოახდინა სამი მათგანის რეაბილიტაცია, ვინაიდან არ იქნა დამტკიცებული რომ ისინი ოპოზიც. არიან, ხოლო ერთ მათგანს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით.

ამავე ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა 16 განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ. ორი განმცხადებელი აღდგენილ იქნა პარტიაში. შეიძლება ითქვას, რომ ბაქოს ოპოზიცია სავსებით მოისპო.

ამხ. პლეშაკოვის მოხსენების გარშემო კამათისა და რეზოლიუციების მიღების შემდეგ საკონტროლო კომისიის პლენუმი 25 ივნისს დაიხურა. (ადს).

პარტიულ და საბჭოთა მშენებლობის გამოკვლევა

განჯა, 25 ივნისი. ჩამოვიდა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას კომისია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად, რომელსაც დავალებული აქვს მაზრის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის გამოკვლევა.

გამოკვლევა დაიწყება 26 ივნისს. (ადს).

კომუნისტ პედაგოგების თათბირი

განათლების მუშაკთა სახლში პარასკევს გაიხსნა კომუნისტ - პედაგოგების საქალაქო თათბირი.

ჩვენი მატერიალური ბაზა — აღნიშნავს მომხსენებელი ამხ. ქაცარავა, — საგრძნობლად გაიზარდა, გასულ წლებთან შედარებით განათლების ხარჯები ბიუჯეტში გადიდდა—234 პროცენტით.

მიუხედავათ იმისა, რომ სკოლის გარეშე ბავშვების მცირეოდენი ნაწილია დარჩენილი, ჩვენ მაინც განზრახვა გვაქვს შემოვიღოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლა.

მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

რაც შეეხება მასწავლებელთა შორის მუშაობას, აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გასულ სამოსწავლო პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცეოდა პედაგოგიურ ძალების კვალიფიკაციის აწევას. ამ მიზნით, გარდა არსებულ კაბინეტში მუშაობისა. პერიოდულად ეწყობოდა გადასამზადებელი კურსები. მაზრაში იწვეოდა მასწავლებელთა კონფერენციები.

სასკოლო ბინების შესახებ საქმე ჯერაც ვერ არის კარგად მოგვარებული. ნორმალურ მეცადინეობას გასულ წელს ქალაქად ხელს უშლიდა ის გარემოება — რომ სკოლებში ბინის სივიწროვის გამო სწავლა ორ ან სამ წყებად სწარმოებდა.

ჩვენს პედაგოგიურ შემადგენლობაში მაზრის ჩათვლით კომუნისტების რიცხვი აღწევს 7 პროცენტამდე. სკოლების კომუნიზაციის თვალსაზრისით ეს რიცხვი საკმარისი არ არის, მომავალში ჩვენ უნდა ვეცადოთ მეტი კომუნისტური ძალები გადავიყვანოთ განათლების დარგში სამუშაოდ.

მოხსენების დასასრულს ამხ. ქაცარავამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს მშობელთა შორის მუშაობა, პიონერთა კოლექტივების საქმიანობა, მეტი ყურადღება მიექცეს ანტირელიგიურ პროპაგანდას და ყოფა - ცხოვრების საკითხებს.

— საზოგადოებათ - მეცნიერის საგნისათვის არ არის საკმარისი ლიტერატურა, ანტირელიგიური მუშაობა უსათუოდ უნდა იყოს შეტანილი სამეცადინო პროგრამაში. საჭიროა განტვირთოდ კომუნისტი პედაგოგები სხვა დავალებებიდან — აღნიშნავს კამათში გამოსული პირველი ორატორი.

— საზოგადოებრივ სასარგებლო სამუშაოებისათვის საჭიროა ქალაქის სკოლებმა მჭიდრო კავშირი დაიჭირონ სოფლის სკოლებთან. კომუნისტ პედაგოგთა შორის კი უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა — ამბობს ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

— არ არის პოპულიარული საბავშვო ლიტერატურა არ ვრცელდება საბავშვო გამოცემები, საბავშვო კინო ფილმები, სუსტი ყურადღება ექცევა პიონერ მუშაობას — აღნიშნავს ამხ. აბესაძე.

— კომუნისტმა პედაგოგებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომკავშირის უჯრედებს და პიონერ კოლექტივებს: ვინაიდან საზ. მეცნიერებას ხშირად ამახინჯებენ ჩვენთვის უცხო ელემენტები, ეს საგანი უსათუოდ კომუნისტ-პედაგოგებს უნდა გადაეცეს. მომავალში აუცილებელია კომუნისტ - პედაგოგების თათბირის სისტემატიურად მოწვევა და ჩვენი მუშაობის საკითხების გამორკვევა იდეოლოგიურ ფრონტზე — ამბობს თავის სიტყვაში ამხ. ასრიბეკოვი.

თათბირის გაგრძელება გადაიდო 26 ივნისისათვის.

ვ. დ.

კომკავშირში

კომკავშირი და შვიდი საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 25 ივნისი. კომკავშირის ცეკას ბიურომ, მოისმინა მოხსენება კომკავშირის იმ უჯრედების მუშაობის შესახებ, რომლებიც 7 საათის სამუშაო დღეზე გადასულ საფეიქრო წარმოებებთან არსებობენ და აღნიშნა, რომ მუშათა ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ის ახალგაზრდობა, რომელმაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლები გაათავა, 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის ინიციატორი იყო და სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანოებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ამ საქმეში.

მაგრამ მთელ რიგ წარმოებებში კომკავშირის უჯრედებმა ვერ მოახერხეს მუშათა ახალგაზრდობის სათანადოთ მომზადება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

უჯრედების მუშაობას, ცეკას აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ახალგაზრდობის კლასობრივი საწარმოო აღზრდა და კომკავშირის მუშაობის მთელი სისტემა უნდა შეუფარდდეს შემცირებულ სამუშაო დღისა და სამწყება მუშაობის პირობებს.

ცეკას ბიურო კომკავშირის წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებს მუშა-ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევას და მის დაწინაურებას უფრო კვალიფიციურ მუშაობაზე. (ადს).

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი

გუშინ, თბილისის აღმასკომის დარბაზში გაიხსნა საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მეორე პლენუმი. დღის წესრიგი სდგას: საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის შედეგები და კომკავშირის მორიგი ამოცანები, 2) აქტივის აღზრდისა და დაწინაურების შესახებ, 3. კავშირის ზრდის მოწესრიგების საკითხი და სხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი გადაიდო 28 ივნისის სხდომისათვის, მეორე საკითხზე კი მოხსენება გააკეთა ამხ. ჯავახიძემ.

ამხ. ჯავახიძის მოხსენება

საკითხი ჩვენი აქტივის დაწინაურებისა და მისი აღზრდის შესახებ ცოტა ხნის წინად იდგა ცეკას პლენუმზე, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვცანით ამ საკითხის განმეორებით წამოყენება.

ჩვენს წინაშე სდგას სოციალისტური მშენებლობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანა. ცხადია ამ ამოცანების გადაჭრაში ფართედ უნდა ჩავაბათ კომკავშირის მასა.

ჩვენი აქტივის ნაწილი, რომელმაც განვლო არალეგალური ბრძოლის პერიოდი თანდათანობით შორდება კომკავშირის ხელმძღვანელო მუშაობას. მისი ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა კადრმა, ამიტომაც ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით არის წამოჭრილი ახალი აქტივის აღზრდისა და დაწინაურების საკითხი.

ქვედა ორგანიზაციის ზოგიერთი აქტივისტი ზოგჯერ თავისი მოუმზადებლობით აქცევს ჩვენთვის მავნე საქმეს, ზოგჯერ კი უნებლიეთ კულაკების ინტერესებსაც იცავს. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მაგ. აფხაზეთში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის აქტივის მუშაობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ მთავარ უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქტივი ხშირად მოწყვეტილია კომკავშირის დანარჩენი მასისაგან.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენი კომიტეტის ანგარიშები ხშირად ზოგადი ფრაზებიდან არის შემდგარი.

ჩვენ კავშირშიაც არის ბიუროკრატიზმის თავისებურობა, ზოგჯერ კომიტეტი უგზავნის ადგილებს ისეთ შინაარსის ცირკულიარებს, რომელიც არავითარ პრაქტიკულ ღირებულებას არ შეიცავს, სავსეა მაღალსართულიანი სიტყვებით და სხვ.

შემდეგ ამხ. ჯავახიძე აშუქებს აქტივის წამოწევის საშუალებებს. ზოგჯერ ადგილი აქვს შემთხვევებს,—ამბობს იგი,—როცა კომკავშირელი, რომელიც წარმოებაში ღებულობს 120 მან., ის, უარს ამბობს 100 მანეთიან სამუშაოზე კომკავშირის ხაზით, ან და მოითხოვს—თუ წამოაყენებს აუცილებლად დანიშნონ საორგ. განყ. გარედ, აგიტპროპზე კი არ თანხმდება. ასეთი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას.

აქტივში ადგილი აქვს აგრეთვე უპასუხისმგებლობას. ამ ცოტა ხანში ცეკამ დაგზავნა 18 ძირითადი ხასიათის დირექტივა. მის შესრულების შესახებ ორი კომიტეტის გარდა პასუხი არ მიგვიღია. ეჭვს გარეშეა, რომ ეს დირექტივები მყუდროდ განისვენებენ სადმე მაგიდების უჯრებში.

აქტივის მომზადების მიზნით საჭიროა დაავალოთ ცალკე საკითხების შესასწავლი თვითგანვითარების წრეები (მაგ. „ისტორიული მატერიალიზმის" წრე და სხვა).

დასასრულს მომხსენებელი ეხება აქტივის პარტიზაციის საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ადგილი აქვს მთელ რიგ დაბრკოლებებს, ადგილობრივი პარტ. კომიტეტები ხშირად წლობით აჩერებენ საუკეთესო აქტივისტ კომკავშირელთა ანკეტებს. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს პარტიის ცეკას საშუალებით.

ამხ. ჯავახიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც ჯერ-ჯერობით გამოვიდნენ ამხ. აზარაშვილი, ქუთნია, ბესტაევი, მ. ზვიადაძე, ქარსანიძე,

შეცდომის გასწორება

24 ივნისის ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ს. კ. პ. (ბ) ცეკას ცირკულიარში კოოპერაციის საერთაშორისო დღის შესახებ, გაიპარა რამდენიმე კორექტორული შეცდომა. ვასწორებთ უმთავრეს მათგანს.

სწერია: „მუშაობის გაძლიერება აპარატის სოციალიზაციისა, ზედნართი ხარჯების შემცირებისა და ფასების დაკლებისათვის". **უნდა იყოს**: „მუშაობის გაძლიერება აპარატის რაციონალიზაციისა, ზედნართი ხარჯების შემცირებისა და ფასების დაკლებისათვის".

სწერია: „საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის წარმატებით ჩატარებისა და კამპანიის მთლიანი ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით აუცილებელია"... **უნდა იყოს**: „საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის დღის წარმატებით ჩატარებისა და სხვა.

სწერია: „დაევალოს საქ. ახალგ. ლენ. კავშირის ცეკას, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და გლეხ-ქალთა განყოფილებას თავის ხაზით მისცენ დირექტივები ადგილებს". **უნდა იყოს**: „დაევალოს საქ. ახალგ. ლენ. კავშირის ცეკას, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას" და სხვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

გლეხკომები გურიაში
(წერილი ოზურგეთიდან)

ამ დღეებში დასრულდა გლეხთა ურთიერთ დამხმარე სამაზრო კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოსმენილ იქნა პრეზიდიუმის ანგარიში და მოხსენებები ათი თემიდან.

საჭიროა გავეცნოთ პლენუმის მუშაობას, რამდენადაც უკანასკნელი იძლევა წარმოდგენას გლეხკომების მუშაობის შესახებ გურიაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გლეხკომებს საგრძნობლათ გამოუცოცხლებიათ თავიანთი საქმიანობა, წარსულთან შედარებით მათ სერიოზული მიღწევები აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ის სუსტი ადგილები, რომელზედაც იყო ლაპარაკი პლენუმზე.

1. გლეხკომები არ არის ყველა თემებში მაზრის 38 თემიდან მხოლოდ 34 თემშია ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები.

2. წევრთა რიცხვი 8.799-ს უდრის, მაგრამ მათ შორის ბევრი ფიქტიურია (მაგ. ხიდისთავის თემგლეხკომი ითვლის 700 მეტ წევრს, საწევრო კი გადახდილი აქვს 20—30 კაცს).

გლეხკომების არსებობის 5 წლის შემდეგ არ არის საკმარისი, რომ მაზრის 125.000 მცხოვრებზე მხოლოდ 7—8 ათასი იყოს წევრათ გლეხთა დამხმარე ორგანიზაციაში.

3. გლეხკომებში სუსტათ არიან წარმოდგენილი ქალები სულ 792 წევრია. შეიძლება და აუცილებელიც არის ეს რიცხვი გაიზარდოს.

4. სუსტათ არის გამოყენებული დახმარების ფორმები ნატურით (შრომა და სხვ.).

5. ზოგი გლეხკომი (მაგ. ჩოხატაური) ნაცვლად იმისა, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს წევრთა ზრდას, მათ აქტივობას, გადაჭრით ეტანება უფრო მსუბუქ საქმეს, როგორიცაა მოიჯარადრეობა, ვაჭრობა და სხვა.

6. ზოგან (ხიდისთავი) არის ასეთი გადახრაც: ფონდების შექმნას არავითარი ყურადღება არ ექცევა, მუშაობის მთელი შინაარსი წარმოდგენილია, როგორც აგიტაცია - პროპაგანდა.

7. გლეხკომები (ჩოხათი, ჩიბათი) ცდილობენ და ხელს უწყობენ სოფლის კოლექტივიზაციას, მაგრამ საერთოდ გლეხკომებს ამ მუშაობისათვის არ აქვთ სათანადო ყურადღება მიქცეული.

გაუმჯობესებულია ანგარიშწარმოება, ხელმძღვანელობაც თემებზე, მაგრამ ჩამოთვლილი დეფექტები მაინც არის.

პლენუმმა გულდასმით იმსჯელა ამ დეფექტებზე და სხვა პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც შეეხებიან გლეხკომების მუშაობას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში გამოსწორდება შემჩნეული ნაკლი და გაძლიერდება არსებული მიღწევები.

მეგობარი

—:—

თავისი თავი გამოიცნო
ბაღდათის თემი, ქუთაისის მაზრა

მმართველი პარტიის მიერ გადმოსროლილი თვითკრიტიკის ლოზუნგმა უკვე გამოიღო სათანადო ნაყოფი. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთები ვერ ურიგდებიან ამ ლოზუნგს და ყოველ მხრივ ცდილობენ მისი ცხოვრებაში გატარების შეფერხებას. ამათ რიცხვს ეკუთვნის ბაღდათის თემალმასკომის თავმჯდომარე ვ. კობოძე, რომელიც თვალსაჩინო დევნას აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს იმ კორესპონდენტების მიმართ, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაეხმარონ მმართველ პარტიას ყოველგვარ სიმახინჯის აღმოფხვრაში.

კობოძე განსაკუთრებით გაბრაზებულია იმ კორესპონდენციის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს 129 ნომერში „თვითკრიტიკის ნაყოფი“ სათაურით. ის კვალდაკვალ დაედევს ამ წერილის ავტორს და ემუქრება ყველა იმათ, ვინც კი შემჩნეული ყავს კორესპონდენტობაში.

ხსენებულ წერილში კობოძის პიროვნება არ იყო მოხსენებული, არც რომელიმე სხვა ვინმე იყო დასახელებული, მაგრამ ფაქტი კი მაინც ფაქტად რჩება, რომ წერილი აგებული იყო კობოძისა და მის მსგავს პიროვნებების შესახებ, რომელთა „მოღვაწეობით“ ბაღდათის თემში დღემდის ჩაკლული იყო ყოველგვარი თვითმოქმედება. ეს ალბათ იგრძნო კობოძემ და ამიტომ არის ასე გაცხარებული.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა სასტიკი პასუხი მოსთხოვონ ვ. კობოძეს და არ მისცენ უფლება კორესპონდენტების დევნისათვის.

პაციენტი.

ცაგერ - ხონის გზა
(წერილი ხონიდან)

როგორც ლეჩხუმის მოსახლეობის, ისე გორდის, კინჩხის და სხვა თემებისთვის ცაგერ-ხონის გზას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გზის გაყვანას უკვე შეუდგენ, მხოლოდ ეხლა საჭიროა დაკვირვებით იქნეს გამორკვეული, თუ რომელი მიმართულებით იქნას გაყვანილი ხსენებული გზა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ გზა უნდა გაუყვეს ცხენისწყალის ნაპირებს. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ თუ გზა გაყვა ცხენის წყალის პირს, გზის დამაგრება შეუძლებელი იქნება, ყოველ თვეში გზა, თითო კილომეტრის მანძილზე მაინც ზვავისაგან გასაწმენდი გახდება. ეს იცის მთელმა მოსახლეობამ. ბუნებრივი ნიადაგი ამ მიმართულებით ძველთაგანვე მერყევი და ცვალებადია. გარდა ამისა ამ მიმართულებით საჭირო იქნება უამრავი ხიდებისა და ბოგირების გაკეთება. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ გზა ხალხისთვის არის საჭირო და ამ მიმართულებით კი მოსახლეობის 5 პროც.-ტიც კი ვერ ისარგებლებს გზით, რადგან გზა ტყეებსა და კლდეებში გაივლის.

არის მეორე ვარიანტი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია და ხარჯების მხრივაც ხელსაყრელი. ეს მიმართულება არის ბუმბუას ხიდიდგან. გზა გაივლის გორდის და კინჩხის თემებს, ორივე ამ თემებს გაუვლის ცენტრებში, გადავა საპალახო „კადარით“ ლეჩხუმში, სოფ. ბოროლისაში. ასე რომ, გზის 90 პროც. გაივლის სოფლებში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ ამ მეორე ვარიანტით გზისთვის ნიადაგი თავიდან ბოლომდე მყარია, და მასთან ხიდებს და ბოგირებს არ საჭიროებს. ამიტომ აუცილებელია ეს საკითხი სასწრაფოდ იქნეს მოგვარებული, რომ გზა არ ასცდეს სწორ მიმართულებას.

გ. ჩიხლაძე

ზოგიერთ წამოწყებების ნაკლოვანებაზე
ბაღდათის თემი, (ქუთ. მაზრა)

ბაღდათის თემში მშენებლობა გასულ წლებთან შედარებით წარმატებით მიიწევს წინ, მაგრამ ზოგიერთი წამოწყებები ბაღდათში ზემდგომი ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობით უძრავ ერთ წერტილზე სდგას. მაგალითისათვის ავიღოთ როკით - დიდველის არხი. ვინ იცის რამდენი წლის ისტორია აქვს მის დაწყებას, რამდენი ტეხნიკი და ინჟენერი გამოიცვალა მან და რამდენი სახელმწიფო თანხები იქნა ჩაბნეული და ბოლოს როგორც იქნა საზეიმო გახსნაც კი მოვაწყვეთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, მაგრამ მას მაინც არაფერი ეშველა. არხი შეტბორილი წყლის საგუბრათ არის გადაქცეული და მალარიის გასავრცელებლად საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს.

ავიღოთ მეორე, ამ არხთან დაკავშირებით ჰიდრო - ელექტრო სადგური ჰხანგესი, რომლიდანაც გლეხობა სინათლის შუქს მოელოდა და რომლის აგებაზე 100.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა. მის გახსნამდე გლეხობა ქუდს მაღლა ისროდა, მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? თურმე არ გვქონდა დინამო ტურბინები, რომლებსაც მოზრდილი თანხა სჭირდება. შენობა კი ლამაზად აგებული კარებ გამოკეტილი უმოქმედოთ დგას. ზოგიერთები ამბობენ, რათ გვინდა ეს სადგური, როდესაც 15 ვერსის დაშორებით რიონჰესი 2 წელში მზათ იქნებაო. თუ ეს ასეა, რისთვის იყო საჭირო იმდენი თანხის ტყვილა უბრალოდ გადაყრა იმ დროს, როდესაც სოფელში გზები არ გვეყარა და ხიდები არ გვაქვს?

საჭიროა შემდეგში მაინც არ იქნეს დაშვებული ასეთი შეცდომები, რომ ტყუილ - უბრალოთ არ გავფლანგოთ მშრომელთა ოფლით მონაგარი კაპეიკები.

ბაღდათელი

გლეხკორთა წერილებიდან

საექიმო პუნქტი შესაფერ ალაგზეა
თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა

თერჯოლაში საექიმო პუნქტი მოთავსებულია ყოფილ ერისთავისეულ სახლში. ადგილმდებარეობა სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას. ამ ბოლო დროს რატომღაც დაიბადა აზრი საექიმო პუნქტის აღმასკომთან გადმოტანის შესახებ, სადაც დაბლობი და მალარიანი ადგილია. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და პუნქტი დარჩეს ისევ ძველ ადგილზე. ამ აზრის არის გლეხობა, უმრავლესობა.

ფასკუნჯი.

ზაჰესის გახსნის ერთი წლის თავი

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საზეიმო გახსნის დღიდან. ჯერ კიდევ საზეიმო გახსნამდე სადგურმა ფაქტიურად მუშაობა დაიწყო 1927 წლის 26 აპრილიდან.

ზაჰესის გახსნიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო აღნიშნული სადგურის საამშენებლო სამუშაოთა ყოფილმა ხელმძღვანელმა, ინჟ. გ. ჭიჭინაძემ ჩვენს თანამშრომელს განაცხადა:

— ზაჰესის გახსნიდან დღემდე ჰიდრო-ელსადგურის მუშაობა დაუბრკოლებლივ სწარმოებს. გასული მძიმე და სუსხიანი ზამთრის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სადგურის მუშაობის შეფერხებას რამდენჯერმე, მაგრამ ეს მოვლენა გამოწვეული იყო არა იმით, რომ თვით სადგურის ნაგებობებში ადგილი ჰქონდა დეფექტებს, არამედ უმთავრესად იმით, რომ სადგურზე მომუშავე ტეხნიკური პერსონალი არ იყო შესაფერისად გამოცდილი და მათ თვითქმის პირველად უხდებოდათ ჰიდრო-ელსადგურის მუშაობაში ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გაწევა. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად გაართულა არაჩვეულებრივად დიდმა ზამთარმა.

ამჟამად ზაჰესის ყველა მოწყობილობები შეუფერხებლად მუშაობენ. სადგურის ექსპლოატაციო პერიოდის პირველ ნახევარში, დაახლოებით 1928 წლის დასაწყისამდე ვერ მოხერხდა სადგურის ჯეროვანად დატვირთვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ თბილისის წარმოება-დაწესებულებებს და ფაბრიკა-ქარხნებს არ ჰქონდათ საჭირო მოწყობილობები ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად.

მის შემდეგ, რაც მთავრობის უმაღლესი ორგანოების განკარგულებით დაარსებულ იქნა ზაჰესის ენერგიაზე ფაბრიკა-ქარხნების გადამყვანი სპეციალური კომისია, ზაჰესის დატვირთვაც სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. ამჟამად ზაჰესის დატვირთვა სალამოობით უდრის 6.500 კილოუატს და ზოგჯერ მეტსაც. ამავე დროს დღის განმავლობაში ენერგიის მოხმარება საგრძნობლად მატულობს. სადგურის მუშაობის პირველი პერიოდისათვის მისი ძალოვნება ნავარაუდევი იყო 9.600 კილოუატის რაოდენობით. ამჟამად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადგურს რჩება გამოუყენებელი მხოლოდ 3.100 კილოუატი.

შემოდგომაზე დასრულებული უნდა იქნეს მუშაობა თბილისის მაუდის ფაბრიკის ასაშენებლად და ამავე ხანში მოხდება თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია. ამგვარად აღნიშნული წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანით ზაჰესი დატვირთული იქნება 85 პროცენტით, ხოლო 1929-30 წელს სადგური ფაქტიურად იმუშავებს ურეზერვოთ ე. ი. საგენერატორო სადგურის ყველა მანქანები მაქსიმუმამდე იქნებიან დატვირთული. თუ ამ ხნისათვის ჩვენ ვერ შევძელით დამატებითი ტრანსფორმატორის დადგმა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას სადგურის ძალოვნება ავიყვანოთ 12.800 კილოუატამდე, მაშინ დაბრკოლდება მრეწველობისათვის იაფი ენერგიის მიწოდება საჭირო რაოდენობით.

უახლოესი წლების განმავლობაში თბილისის ჩრდილო უბანი გადაიქცევა მრეწველობის ცენტრად. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი პერსპექტივები იშლება იმისათვის, რომ ეს მრეწველობა თავმოყრილი იქნეს უმთავრესად, დიდუბის რაიონში. აქ იმუშავებს ახალი მაუდის ფაბრიკა, ხის მშრალად გამოსახდელი ქარხანა, დიდი მექანიკური ქარხანა, და მთელი რიგი სხვა წარმოებანი, რომელთაც უსათუოდ დასჭირდებათ იაფი ელექტროენერგია. მეორე მხრივ ამჟამად უკვე სავსებით გამორკვეულია, რომ ზაჰესის ძალოვნების აყვანა შესაძლებელი იქნება 25.000 კილოუატამდე. ამ რაოდენობის ენერგიით ჩვენ შევძლებთ ადვილად დავაკმაყოფილოთ მთელი მოთხოვნილება. გარდა ამისა, 1931-32 წელში ზაჰესის სადგური შეერთებული იქნება რიონჰესთან. ამ ორ დიდ სადგურს შეუერთდებიან აგრეთვე აბაშისა და აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურები. ამგვარად, შეიქმნება ერთი დიდი ჰიდრო-ცენტრალი, რომლის საშუალებითაც განზრახული არის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია და მთელი რიგი სხვა წარმოებების გადაყვანა ახალ იაფ ენერგიაზე.

ასეთია ზოგადად ის პერსპექტივები, რომელიც ჩვენ წინ იშლება ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის მუშაობის ერთი წლის თავზე.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პლენუმი

პირველი სხდომა

საბჭოს მუშაობის ანგარიში
(მომხ. ამხ. ნ. მახარაძე)

გუშინ, დილის 10 საათზე, განათლების კომისარიატის შენობაში გაიხსნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პლენუმი.

საბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნინა მახარაძემ.

საანგარიშო წლის განმავლობაში განაცხადა მომხსენებელმა—საბჭოს ყურადღება უმთავრესად მიქცეული იყო ეროვნულ უმცირესობათა შორის საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებისაკენ. 1927 წელს მოეწყო თურქ მასწავლებელთა გადამამზადებელი კურსები, რომლებშიაც ხელმძღვანელებად მოწვეულნი იყვნენ აზერბეიჯანიდან. გარდა ამისა, ბორჩალოს მაზრაში გაიხსნა წიგნის მაღაზია, სადაც იყიდება მაზრაში მცხოვრებთ ენებზე გამოცემული ყოველგვარი ლიტერატურა.

რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობენ თურქები, გაიხსნა ახალი თურქული სკოლები.

დაწყებულია ინტერნაციონალურ სკოლის მოწყობა. მისი გახსნა განზრახულია მომავალ სასწავლო წლისათვის.

ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში გახსნილია რაიონული სკოლები და პროფსკოლები ახალგაზრდა, თურქ-ქალებისათვის. სათანადოთ ვერ იყო დაყენებული ხანიტგანათლების საქმე. გარდა ამისა, სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო სახელმძღვანელოებით და ფიზიკურ კაბინეტებით, რაც ხელს უშლიდა სასწავლო წლის წარმატებით ჩატარებას.

დღემდე ეროვნულ უმცირესობათა შორის არ არის გახსნილი სკოლის შესაკამდე აღზრდის დაწესებულებები და სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

ამ ნაკლთა გამოსწორების გარდა, საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მომავალ სასწავლო წლიდან გახსნას ეროვნულ უმცირესობათათვის საჩვენებელი რაიონებში სკოლები, ყველა სკოლები უზრუნველყოს საჭირო ინვენტარით და მოაწყოს როგორც ახალ მასწავლებელთა მოსამზადებელი, ისე გადასამზადებელი კურსები.

საბჭოს აგრეთვე აუცილებლად მიაჩნია ეროვნულ უმცირესობათა ყველა სკოლებში შემოღებული იქნეს ქართულ და რუსულ ენების სწავლება.

საბჭო ამჟამად იმუშავებს ღონისძიებებს ეროვნულ უმცირესობათა შორის ცრუმორწმუნეობასთან საბრძოლველად, პიონერ მოძრაობის გასაძლიერებლად, ახალ პროფსკოლების გასახსნელად და საჭირო ჟურნალებისა და ლიტერატურის გამოსაცემად.

პოლიტგანათლების საქმე
(მომხ. ქ. ჩხარტიშვილი)

ეროვნულ უმცირესობათა შორის პოლიტგანათლების დარგში ჩატარებულ მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა პოლიტგანათლების მთ. მმართველობის გამგის მოადგილემ ამხ. ქ. ჩხარტიშვილმა.

მომხსენებლის გადმოცემით პოლიტგანათლების მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის აბრკოლებს მოსახლეობის სიჭრელე და მრავალენოვანობა.

საქართველოს მოსახლე სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. ამჟამად მარტო ახალციხის მაზრაში ითვლება 15.649, ახალქალაქში—20,068, და ბორჩალოში—16.661 წერა-კითხვის უცოდინარი.

წ.-კ. უცოდინარია აგრეთვე ბევრია კომკავშირლებშიაც.

1927—28 წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინრობასთან საბრძოლველად ეროვნულ უმცირესობათა შორის მოწყობილი იქნა ახალციხეში—96 პუნქტი, ახალქალაქში—85 და ბორჩალოში—75. გარდა ამისა მცირემცოდნეთათვის სამივე მაზრაში გახსნილი იყო 18 სკოლა.

ამავე ხნის განმავლობაში ამავე მაზრებში მოწყობილი იყო 15 მოძრავი პოლიტ-სკოლა და სამკითხველო. პოლიტგანათლების მთ. მმართველობამ სამკითხველოების მუშაკთა გასამზადებლად ადგილებს გადაუგზავნა 660 მანეთი.

ახალციხის მაზრაში თურქებით და სომხებით დასახლებულ 3 სოფელში მოეწყო რადიო მიმღები სადგურები. რადიო-მიმღები სადგურები აგრეთვე მოეწყო ბორჩალოს, სიღნაღის და ახალქალაქის მაზრებში.

ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში ამჟამად მუშაობს ორი მოძრავი კინო-აპარატი.

ეროვნულ უმცირესობათა შორის პოლიტგანათლების საქმის გასაფართოებლად პოლიტგანათლების მთ. მმართველობა ამჟამად იმუშავებს სათანადო ღონისძიებებს.

ამხ. ჩხარტიშვილის მოხსენებით დამთავრდა პირველი სხდომა.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა მე-6 ყრილობა

25 ივნისს, ცეკავშირის შენობაში გაიხსნა სრულიად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირი) ინსტრუქტორთა მეექვსე ყრილობა. ყრილობას ინსტრუქტორთა გარდა ესწრებიან სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ყრილობა მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა ცეკავშირის გამგეობის წევრმა ამხ. გ. იარალოვმა, რომელმაც აღნიშნა ყრილობის წინაშე დასმული საკითხების მნიშვნელობა ჩვენი კოოპერატიული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

პრეზიდიუმის არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ნ. ჭავჭანიძის მოხსენება სამომხმარებლო კოოპერატიულ ქსელის მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ ყრილობა გადავიდა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენაზე. პირველ სხდომაზე მოხსენება გააკეთეს ოზურგეთის მაზრისა და სამხრეთ-ოსეთის ინსტრუქტორებმა. ორატორებმა ვრცლად დაახასიათეს ძირითად კოოპერატიული ერთეულების მდგომარეობა და გააცნეს ყრილობას ადგილებზე წარმოებულ კოოპერატიული საქმიანობის ყველა მხარეები.

ზამთრის შედეგები

აფხაზეთში

აფხაზეთში დამთავრდა გასულ მკაცრი ზამთრის მიერ აფხაზეთის სოფლის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის გამორკვევა.

ზარალის საერთო რაოდენობა უდრის 203.940 მანეთს; აქედან 100.000 მანეთზე მეტი მოდის 2.180 მსხვილფეხა და 360 წვრილფეხა საქონელზე, რომელიც ზამთრის განმავლობაში დაიღუპა საკვების უქონლობის გამო.

ზამთრის შედეგებს უნდა მიეწეროს წინალობრივ უკანასკნელად დიდი წყალდიდობაც აფხაზეთში. მდ. კოდორის, გალიზგის და მოკვის ადიდებამ კოდორის მაზრაში დიდი ზარალი მიაყენა ამ მდინარეების ნაპირებზე მდებარე სოფლების მოსახლეობას.

ზარალის გამოსარკვევად ადგილობრივ გამოყოფილია კომისიები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას. გამოირკვეულია, რომ მარტო ბესლახუბის რაიონში; რომელიც მდ. გალიზგის გასწვრივ მდებარეობს, სრულებით წალეკილია 50 დეს. ნათესები; წყალდიდობის დროს დაიღუპა აგრეთვე ხუთი სული მსხვილფეხა საქონელი.

მოსალოდნელია ახალი წყალდიდობა გალიზგაზე. ამის გამო საადგილ-მამულო განყოფილებამ საფრთხილო ადგილებიდან მაღლობ ადგილებზე გადაასახლა 10 კომლი.

ბათომის ნავთსადგურში

საქონლის ბრუნვა

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, მაისის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში საზღვარგარეთიდან შემოსულა 52 გემი, ხოლო წასულა საზღვარგარეთ — 48 გემი. ამავე ხნის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურით საზღვარგარეთიდან შემოტანილია 4.168.642 კილოგრამი საქონელი, ხოლო გატანილი — 166.851.590 კილოგრამი საქონელი.

საზღვარგარეთიდან შემოტანილია საკონსერვო ქარხნების მოწყობილობა საქართველოსთვის, აზერბეიჯანისთვის და სომხეთისთვის; სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა; თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიების ხელსაწყოები და სხ. აპრილთან შედარებით ექსპორტი გაზრდილა 126 პროც.-ით, ხოლო იმპორტი შემცირებულა 45 პროცენტით.

საქონელი საზღვარგარეთიდან

გემებით „მოლდავია“, „ფორსიტო“ და „ტომსკი“, ა.-კ. სახვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სახელზე საზღვარგარეთიდან ბათომში მოსულა სხვადასხვა საქონელი. სხვათა შორის მიღებულია საკონსერვო მანქანები „აიგიუხ-კოოპისთვის“, სარძე ქარხნის ჩარხი ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთვის; ჩაის ქარხნის მანქანები „საქართველოს ჩაისთვის“, საფეიქრო მანქანები საქართველოს მაუდის ქარხნისთვის და სხვ.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

მეთაურების უფლებები

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპ. სახ. კომისართა საბჭოებს გამოსცენ დადგენილება, რომლის ძალითაც სამხედრო სკოლა დამთავრებულ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მეთაურებს უნდა მიენიჭოთ ისეთივე უფლებები, როგორც სათანადო სამოქალაქო სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირებს.

სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა პასუხისმგებლობა

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო დაწესებულებების და საწყობების მუშა-მოსამსახურეებს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა, მათთვის ჩაბარებულ ქონებისათვის, ა.-კ. კომისართა საბჭომ მოიწონა საქართველოს სახკომსაბჭოს შესწორებით. პროექტი განსახილველად გადაეცა ა.-კ. ცაკ-თან არსებულ საკანონმდებლო კომისიას.

1928 — 29 წლის ხელფასის ფონდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. ფინსახკომის დადგენილება 1928 — 29 წლის ხელფასის ფონდის გამოანგარიშების შესახებ.

თავდაცვის კვირეულისათვის

მზადება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება შეუდგა მზადებას თავდაცვის კვირეულის ჩასატარებლად. ადგილ. ორგანიზაციებს დაუგზავნა კვირეულის ჩატარების გეგმა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების მიზნების პოპულიარიზაციას მოსახლეობის შორის, ახალი წევრების მიზიდვისა და საზოგადოების მატერიალური საშუალებების გაძლიერებას.

კვირეულისათვის საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი გამოსცემს სპეციალურ ჟურნალს, რომელშიაც მოთავსებული იქნება მასალები საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხებზე. გამოცემულ იქნება შემდეგი შინაარსის მხატვრული პლაკატები: „სამხედრო აეროპლანი“, „სამოქალაქო ავიაცია“, „ქიმია და სასოფლო მეურნეობა“.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა შუამდგომლობა აღძრა კავკ. წით.-დრ. არმიის სარდლობის წინაშე, რომ მას კვირეულისათვის დაეთმოს საზოგადოების რამოდენიმე ჰაეროპლანი საგიტაციო გაფრენის მოსაწყობად მაზრებში. გაფრენების დროს დაბა-სოფლებში მოეწყობა მასიური მიტინგები, აეროპლანების დათვალიერება და ავია-ქიმის ლიტერატურის გავრცელება.

კვირეულის განმავლობაში იწარმოებს საზოგადოების წევრების ქიმიური „ნათლობა“. წევრები გატარებული იქნებიან მოშხამულ გაზებით სავსე კამერებში. განზრახულია მარტო თბილისში გატარდეს კამერებში 1.500 კაცი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმთან არსებული საპლანერო წრე ამზადებს სამგალითო პლანერს, რომელიც გამოცდილი იქნება კვირეულის დროს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში მიღებული ცნობების თანახმად ადგილობრივი ორგანიზაციები აწარმოებენ გაცხოველებულ მზადებას კვირეულისათვის. ზოგიერთი სამაზრო ორგანიზაციებს განზრახული აქვთ საჩვენებელ „ქიმიურ ომის“ მოწყობა.

პურეულის ფონდი

როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა, აღნიშნული, მომავალ სამეურნეო წლიდან საქართველოში დაარსებული იქნება პურეულის სახელმწიფო ფონდი. ამ ფონდში დაგროვილი პური მოხმარებული იქნება განსაკუთრებულ შემთხვევებში — სტიქიური უბედურების, საერთო მოუსავლობის, პურეულის საერთო დეფიციტიანობის დროს და სხვ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ უკვე დაამტკიცა პურის სახელმწიფო ფონდის დაარსების გეგმა, რომლის მიხედვით, პურის ფონდი ადგილობრივ არსდება ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების ბიუჯეტების ხარჯზე და სახელმწიფო საშუალებათა დახმარებით.

ამავე გეგმის მიხედვით აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ პურის სახელმწიფო ფონდის დასაარსებლად 1928 — 29 წლის ბიუჯეტში უნდა შეიტანოს 15.000 მანეთი, აჭარისტანმა — 10.000 მანეთი, სამხრეთ - ოსეთის ცაკმა — 4.000 მან.

რაც შეეხება მაზრებს, პურის ფონდის დასაარსებლად მომავალ საანგარიშო წლის ბიუჯეტში მათ უნდა შეიტანონ: თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა — 68.000 მანეთი, ახალქალაქის აღმასკომმა — 12.000 მ., ახალციხის — 15.000 მ., ბორჩალოს — 15.000 მ., დუშეთის — 2.000 მ., გორის აღმასკომმა — 15.000 მ., თელავის — 15.000 მ., სიღნაღის — 16.000 მ., ქუთაისის — 14.000 მ., შორაპნის — 12.000 მ., რაჭის — 4.000 მ., ლეჩხუმის — 3.000 მ., ზუგდიდის — 7.000 მ., სენაკის — 5.000 მ., ოზურგეთის — 5.000 მ. და ფოთის აღმასკომმა — 3.000 მან.

სულ პურის ფონდის დასაარსებლად ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო აღმასკომების 1928 — 29 ბიუჯეტები შეტანილი იქნება — 240.000 მანეთი.

გარდა ამისა პურის ცენტრალურ ფონდის დასაარსებლად სახ. კომისართა საბჭო გადასდებს შესაფერ თანხებს.

მონაგარიშეთა ტურნირი

ანგარიშის მუშაკთა ტურნირზე საუკეთესო მონაწილეთათვის ჯილდოების მიმცემელმა ჟიურიმ აღიარა, რომ არითმომეტრზე მუშაობაში საუკეთესო შედეგები გამოამჟღავნა თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების სტატისტიკოსმა ამხ. კარახანოვამ. ჩვეულებრივ საკონტორო საანგარიშოზე მუშაობაში პირველი ადგილი დაიკავა თბ. ტყავეულობის სინდიკატის მოანგარიშემ ამხ. ვარძიგულაძემ, მეორე ადგილი—ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების მოანგარიშემ ამხ. კობაიძემ. შეჯიბრება ხდებოდა მუშაობის სიწრაფესა და სისწორეში. ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული საანგარიშო ხელსაწყოს რაციონალური მდებარეობაც.

(ადს).

ქუთაისი
(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აბრეშუმის პარკი

ქუთაისის საგრენაჟო სადგურში უკვე დაიწყო აბრეშუმის სათესლე პარკის მიღება. ჯერ-ჯერობით არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა არც ფლაშერიის და არც პებრინით დაავადებულობის. წინა წლებში საგრენაჟო სადგურები სათესლე პარკს ღებულობდენ საერთო მიმღებ პუნქტებზე, წელს კი პარკს აბარებენ საგრენაჟო სადგურებს და მეაბრეშუმე გლეხიც იქვე იღებს პარკის საფასურს. პარკის ახვევა ხელშეუშლელად მიმდინარეობს. ინკუბაციის (ხელოვნურად) წესით გამოყვანილმა ჭიებმა თითქმის ყველგან მოათავეს პარკის ახვევა. წელს მესამე საგრენაჟო სადგურში მოწყობილი იყო საცდელ-საჩვენებელი საჭიე გამოკვება გამოკვება სწარმოებდა 24 სხვადასხვა წმინდა და შეჯვარების ჯიშისა. ყველა ჯიშების გამოკვების, ცახზე ძაფის დახვევის პროცესი სავსებით ნორმალურად ჩატარდა. ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების მიზნით ამჟამად სწარმოებს მათი შეჯვარება უცხო ჯიშებთან.

პარტაქტივის კრებები

20 ივნისს ქუთაისში, ხოლო 21 ივნისს სამტრედიაში მოხდა პარტაქტივის კრებები, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამაზრო ცაკის მდივანი ამხ. ა. კეკელია ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ. კრებები დიდი გაცხოველებით ჩატარდა.

მზადება აჭესის სინათლის მისაღებად

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს და 1 ოქტომბრისათვის დამთავრებული უნდა იქნეს აჭესის მაღალი ძაბვის ხაზი და ქუთაისის ქვესადგური. საიდანაც ქალაქ ქუთაისს მიეცემა ელექტრო-ენერგია განათებისა და სხვა საჭიროებისათვის.

რიონჰესი

რიონჰესის სამუშაოთა სამმართველომ ხელშეკრულება დასდო „სამშენთან“, რომელმაც თავის თავზე აიღო მთელი შავი სამუშაო არხის გასაყვანად. ამთავითვე იმუშავებს 500 კაცი. ხოლო შემდეგში 1000-მდე. სამშენს უკვე გადაეცა ექსკავატორი (მიწის მექანიკური მთხრელი).

უმუშევართა კოლექტივი

ადგილობრივი შრომის ინსპექციის მიერ დღემდე ქალაქში ჩამოყალიბებულია უმუშევართა 12 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებს 345 კაცს. დღემდე ხსენებულ კოლექტივებს შრომის სახალხო კომისარიატისაგან ფულადი დახმარების სახით მიღებული აქვს 17.900 მანეთი.

ამშენებელთა კავშირი

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ამშენებელთა კავშირმა თავის უმუშევარ წევრებს დახმარების სახით დაურიგა 2.000 მანეთი. ახლო მომავალში ხსენებულ კავშირს ექნება საკუთარი კლუბი.

გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული სამთო ტრესტის ქუთაის-ლეჩხუმის მადნეულობათა დამამუშავებელ სამმართველოში აღმოჩენილ სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ. ამჟამად მუშგლეხინის ხაზით მოხდა ხსენებულ საყოფი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე მილი დაწესებულებების რევიზია და რევიზიის შედეგათ სამსახურიდან მოხსნილია ბუღალტერი ქარსელაძე.

თემალმასკომის თავმჯდომარის მოხსენება

გუბის თემალმასკომის თავმჯდომარე ივანე ცაგარეიშვილი სუსტი მუშაობის გამო მოხსნილ იქნა სამსახურიდან და მის ადგილზე არჩეულია ამხ. ალ. რაზმაძე.

შრომის ინსპექციამ შუამდგომლობა აღძრა რათა აბრეშუმის თესლისათვის საჭირო პარკუჭანებისა და კოლოფების შეკვეთა საქართველოს და აზერბეიჯანის აბრეშუმის ტრესტს გადასცეს ქუთაისის კოლოფების ქარხანას, რაც 300 უმუშევარს გაუჩენს სამუშაოს.

ქუთაისის მუშკოოპი

ქუთაისის მუშკოოპი თბილისის მუშკოოპის მიერ გაწვეული იყო მიტინგ-გამოძახილზე; ქუთაისმა შემდეგი პასუხი გასცა გამოძახებაზე: 1) მოეწყო ქუთაისის მუშკოოპის ცენტრალური სარაიონო კომისია: სამაზრო პარტკომის, კომკავშირის სამაზრკომის, ქალთა განყოფილების, პროფბიუროს, ცეკავშირის, სამაზრო აღმასკომის, მუშათა კოოპერაციის, სარევიზიო კომისიისა და კედლის გაზეთთა წარმომადგენლებისაგან; 2) კვირას, 24 ივნისს, მოწვეულ იქნება საქალაქო მიტინგი-კრება კოოპერატივის რწმუნებულთა, სადუქნო კომისიების წევრთა, კომუჯრედებისა, ადგილკომებისა, ქალთა ორგანიზაციებისა, ეკონომკომისიებისა, კოოპორგანიზატორებისა, ახალგაზრდობისა და მუშკორთა მონაწილეობით; 3) კრებაზე განსახილველად და დასამტკიცებლად იქნება შეტანილი დირექტივა მიტინგ-გამოძახილისა—მუშკოოპში 1.150 ახალი წევრის მიღების შესახებ. ამრიგად წევრთა რიცხვი 1-ლ აგვისტოსათვის აყვანილ უნდა იქნეს—13.120 კაცამდე, უკვე გაერთიანებულ 11.970 ის მაგიერ, ე. ი. მოსახლეობის შეკავშირება აყვანილ იქნეს 80 პროცენტამდე; ამავე ვადაში აკრეფილი იქნება 2.400 მანეთი საპაიო გადასახადი და სხვ; 4) გამოწვეულ იქნება შეჯიბრში ხონის, სამტრედიისა და ბაღდადის კოოპერატივები.

მუშათა ცხოვრება

ვებრძოლოთ უბედურ შემთხვევებს

ფაბრიკა-ქარხნებში უბედურ შემთხვევებისა და დასახიჩრების მაგალითები ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია. შრომის დაცვის კომისიებისა და შრომის ინსპექტორების მუშაობა ამ მხრივ საგრძნობლად მოისუსტებს. არის შემთხვევა როდესაც მუშა, ერთი და იმავე მანქანაზე რამოდენიმეჯერ დაზიანებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არ არის მიღებული ზომები ასეთ უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად; მანქანის ის ადგილები, სადაც ძალიან ხშირად სახიჩრდებიან მუშები, მრავალ ხნის განმავლობაში დაუფარავი რჩება. ეს იმით აიხსნება, რომ შრომის დაცვის ორგანოები არ უწევენ კონტროლს თავიანთი დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

საქმე იმაში კი არ არის, რომ მოიწვიო კომისიის სხდომა და განიხილო რომელიმე უბედურ შემთხვევის გამომწვევი მიზეზი და გამოიტანო შესაფერი დადგენილება. საქმე ისაა, რომ კომისია თვალყურს უნდა ადევნებდეს ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას და აწარმოებდეს აღრიცხვას დადგენილებების შესრულების შესახებ. ბევრი შრომის დაცვის კომისია კი ასე არ იქცევა; ის მარტო განიხილავს რომელიმე საკითხს, გამოიტანს რაიმე დადგენილებას და მივიწყებს თავს. თითქოს ამით ყველაფერი მოგვარებული იყოს. თითქოს არ იყოს საჭირო ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის ზრუნვა. ასეთ მუშაობით რა საკვირველია, რომ ვერ შევამცირებთ უბედურ შემთხვევების რიცხვს. პირიქით გავაძლიერებთ კიდეც.

შრომის დაცვის კომისიების ასეთ უნაყოფო მუშაობაში, წარმოების ადმინისტრაციასა და ფაბქარკომებსაც მიუძღვით ბრალი. ადმინისტრაცია ხშირად არავითარ ანგარიშს არ უწევს შრომის დაცვის კომისიის დადგენილებებს და არ ღებულობს ზომებს ამ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად. ამას ადმინისტრაცია ხშირად იმით ასაბუთებს, რომ მას არა აქვს ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ასეთ თუ იმ საფარის გასაკეთებელი ხარჯები და სხვა.

ასე იქცევა მაგალითად რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ადმინისტრაცია. უკანასკნელი არ ასრულებს დადგენილებებს მანამდე, სანამ ერთი ოთხჯერ, ან ხუთჯერ არ გადაუგზავნის მას შრ. დაცვის კომისიის სხდომის ოქმს. და თუ ადმინისტრაციამ გადასწყვიტა რომელიმე დადგენილების შესრულება, ეს არც ისე ადვილად ხდება. ამისათვის საჭიროა: ჯერ პროექტის შედგენა, შემდეგ მისი დამტკიცება, ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება და სხვა. ისე, რომ სანამ ადმინისტრაცია შეასრულებს ამ დადგენილებას, შესაძლებელია მოხდეს რამოდენიმე უბედური შემთხვევა.

ფაბქარკომებიც ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას შრ. დაცვის კომისიების მუშაობას. ეს გარემოება აფერხებს უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შრომის დაცვის კომისიების მუშაობას და მიიღონ ზომები კომისიის დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

პროლეტარი.

—:—

მეტი ყურადღება მუშა მწერალს

გიგო ხერხეუშვილი, სოფ. წითელი ქალაქის უღარიბესი გლეხის შვილია. გიგო, ჯერ კიდევ რვა წლისა იყო, როდესაც მშობლებმა, სიღარიბის გამო სახლის ბიჭად მიუყვანეს იმავე სოფლის ერთ თავადიშვილს. ეს იყო ორმოცდაერთი წლის წინათ. ამ ხნიდან იწყება გიგოს დაქირავებული შრომით ლუკმა-პურის ძებნა.

მრავალ ჯურის სამსახურის და მოჯამაგირეობის შემდეგ, გიგო შედის ჩარკვიანის სტამბაში, ჯერ ჩარხის დატრიალებლად, შემდეგ კი ასოთამწყობად ეს სტამბა უკვე ათი წელიწადია, რაც ა. კ. რკინის გზას ეკუთვნის. გიგო ოცდაშვიდი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა ამ სტამბაში ასოთამწყობად და პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

გარდა ამისა გ. ხერხეუშვილი ცნობილია როგორც მუშა მწერალი. 1924 წ. თბილისის მუშებმა, 25 წლის იუბილეც გადაუხადეს. ამჟამად გიგო, წარმოებში ხანგრძლივი მუშაობის გამო დაავადმყოფებულია და ირიცხება შრომის ინვალიდათ.

ჩვენის აზრით ხერხეუშვილი, როგორც წარმოებაში ხანგრძლივი მომუშავე და ამავე დროს საზოგადო მოღვაწე მუშა მწერალი, უნდა მიენიჭოს შრომის გმირის სახელწოდება.

სათანადო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ძველ მუშას და მუშა მწერალს.

მუშა ნიკო იტრიევი.

—:—

რად მიაფუჩეჩეს
(მთ. საწყობი)

1924 წლიდან, რკინის გზის მთავარ საწყობის მუშები გადაყვანილი იქნენ ნარდ სამუშაოზე. 1925—26 წლებში მუშებმა შეამჩნიეს დადებულ ხელშეკრულებაში შეფასებულ ფასების არა სწორად გატარება და მოითხოვეს ხელშეკრულებაში აღნიშნულ ფასების გადათვალიერება, რისთვისაც ყოფილ ადგილკომის და ადმინისტრაციის თანხმობით მუშებიდან არჩეული იქნა კომისია. კომისიამ გამოარკვია, რომ რამოდენიმე ასი მანეთით ნაკლებია შეფასებაში.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ხსენებული წლების კვირა უქმის წინა დღეების ორ-ორი საათების საშუალო ხელფასს მუშები არ ღებულობდენ. ადმინისტრაცია კი მიღებულად ათვლიდა მუშებს. საქმე მომრიგებელ კამერამდე და საგზაო კომიტეტამდე მივიდა. რამოდენიმე თვის შემდეგ საქმე მუშების სასარგებლოდ დამთავრდა და თითო მუშას მისცეს 18 მანეთიდან 29 მანეთამდე.

მაგრამ საკითხი საბოლოოდ მაინც არ ამოიწურა. იგივე განმეორდა 1927 წელსაც მუშებმა შეამჩნიეს ფასების არა სწორი გატარება და მოითხოვეს ხელშეკრულებაში დაფასებული ფასების გადასინჯვა, რასაც არც ადმინისტრაცია და არც ადგილკომი ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს, როგორც იქნა აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა საკითხის მოწესრიგება, მაგრამ ადმინისტრაციაც და ადგილკომიც ხელს უშლის კომისიის მუშაობას. მეათე თვეა აფუჩეჩებენ საქმეს და არ აძლევენ საშუალებას კომისიას, დაასრულოს თავისი საქმე.

უბკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

დ. გვაზაურელი.

—:—

რა მიზეზია
(საგზაო კომიტეტის საყურადღებოდ)

გასული წლის 1-ლ ნოემბრამდე მთელ ამიერკავკასიის რკინის გზებზე, სადგურების მუშაობას დატვირთვა-მიწოდების აწარმოებდა საზოგადოება „ზაკპოგრუზი“. პირველ ნოემბრიდან კი, ეს მუშაობა გადაიღეს სამეურნეო წესზე, და აწარმოებენ თვით სადგურები.

ამ არა სავალდებულო მუშაობამ კომერციულ ქმედებს ძალიან გაურთულა ისედაც გართულებული მუშაობა; როდესაც ეს მუშაობა ახალ წესზე გადმოვიდოდა, სადგურის უფროსმა ამხ. ღვამიჩავამ შეკრიბა ყველა მუშა-მოსამსახურეები, აუხსნა ამ მუშაობის მნიშვნელობა, მოუწოდა მათ რომ წესიერად ემუშავნათ, გარდა ამისა დაპირდა, რომ ბრით ეს მუშაობა და თანაც დაპირდა, რომ სამ თვეში ერთხელ მიიღებდენ ჯილდოს (პრემიას). კომერციულმა ქმედებმაც გააორკეცეს მუშაობა, რამაც რკინის გზის სალაროს, პირველ ნოემბრიდან 1-ლ მაისამდე მარტო თბილისის, საქონლის სადგურიდან შესძინა 24881 მანეთი და 86 კაპ.

მუშა-მოსამსახურეები ფიქრობდენ, რომ ადმინისტრაცია შეასრულებდა დაპირებას, მაგრამ მოსტყუვდენ. გადის მერვე თვე და ადმინისტრაციას ჯერაც ფიქრადაც არ მოსვლია დაპირების შესრულება.

საინტერესოა ვიცოდეთ: რას ფიქრობს ამის შესახებ ადმინისტრაცია. ან რითი ხელმძღვანელობდა სად. უფროსი ამხ. ღვამიჩავა, როცა ჯილდოს მიცემას პირდებოდა, მუშებს.

იმედია საგზაო კომიტეტი ჩაერევა ამ საქმეში და რაც შეიძლება დაჩქარებით მოაწესრიგებს ამ საკითხს.

მოლარე.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უგემო მუშაობა. ქუთაისის მაუდის ქარხანა ქვანახშირს იწერს ტყიბულიდან. ნახშირის სადგურიდან გასატანი ტრანსპორტი ქარხანას არა აქვს, რის გამო ნახშირი ჩერდება სადგურში და ქარხანას უხდება 90.000 მანეთობით შესანახი ქირის გადახდა. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

გამვლელი.

თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის იუბილე

საზეიმო სხდომა

იშვიათი იუბილე, იშვიათი აღტაცებით ჩატარდა.

დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

საზეიმო სხდომისათვის ალაგი ბაღში მოემზადებინათ.

სრულ პირველ საათზე დაიწყო დღესასწაული ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით და მისვე მოკლე სიტყვით.

—ეს დღესასწაული იშვიათია, ასე დაიწყო ამხ. ფილიპემ, ასეთი ჩვენ არაფერი გვინახავს. ამას წინად გადავიხადეთ პოლიტეხნიკუმის დღესასწაული, მაგრამ ასეთი ამბები იქ არ ყოფილა. ეს ერთად ერთი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. ძველი სასწავლებლები წავიდნენ, გაქრენ. ეხლა სხვა დროა, სხვა ნიავმა დაჰკრა.

მართალია, ჩვენამდი მოაღწია 50 წლის წინეთ დაარსებულმა სასწავლებელმა, მაგრამ ჩვენ მას შევმატეთ სისხლი და ხორცი.

საბჭოთა ხელისუფლებამ განაახლა ის. დღეს ეძლევა მას გასაქანი. ეძლევა ნამდვილი გზა სამოქმედოთ.

წინათ ეს იყო დაბალი ტიპის სასწავლებელი. მას ევალებოდა რკინის გზის დაბალი მოხელეების მომზადება, რომლებიც ემსახურებოდნენ რკინის გზას და სხვა ქარხანა-ფაბრიკებსაც.

ამ სასწავლებელში იყო აგრეთვე ბუდე რევოლიუციონერთა; აქედან გამოდიოდნენ პოლიტიკური მოღვაწენი. დავასახელოთ აბელ ენუქიძე, ს. დოლიძე და სხვანი, მე რომ დავათვალიერე ეს სასწავლებელი, რომ ვნახე რაც აქ ამბავია, რომ გავეცანი ტეხნიკუმის მიღწევებს გავკვირდი. გავკვირდი იმიტომ რომ არ ველოდი ამდენს. ჩემი დანაშაული, რომ მე აქამდე ვერ გავეცანი ამ სასწავლებელს. რა არ კეთდება აქ, რა არ ვნახე. ეს ჩვენი გამარჯვებაა, წარმატებაა. ეს სასწავლებელი წინედაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დღეს მით უმეტეს. დღეს სხვა დროა, სხვა პირობებია. ჩვენი ტეხნიკა კი სუსტობს. ჩვენ ამ მხრით ცოტა არ იყოს ჩამორჩენილნი ვართ.

ჩვენი ტეხნიკა უნდა უსათუოდ გაუმჯობესდეს.

რა ხდება დღეს ჩრდილო პოლიუსისაკენ. მთელი მსოფლიო ემზადება და ირაზმება მის ირგვლივ. მის დასაპყრობად. ამ მიუვალ, ყინულიან ქვეყნის აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ ტეხნიკის განვითარებით. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტეხნიკის განვითარება მიაღწევს უმაღლეს წერტილამდე.

ამ პატარა, უბრალო სასწავლებელშიც დიდი ამბები ხდება. ჩვენც ვებრძვით ბუნებას. ვიყენებთ მის ძალებს. ვიმეორებ ჩვენ ღარიბები ვართ ტეხნიკური ძალებით. ღარიბები ვართ იმიტომ, რომ ძველი სპეციალისტები ადვილად ვერ ითვისებენ, ვერ ეგუებიან ახალ წესწყობილებას, ახალ სახელმწიფოს. მართალია ამათი რიცხვი მცირეა, მაგრამ ის არის. ჩვენ მოწყალენი ვართ შახტის პროცესის. ვერ აუვლით გვერდს იმას, თუ რა ხდებოდა იქ, მართალია უმრავლესობამ დაგმო სპეციალისტების ერთი ნაწილის ასეთი უმსგავსო მოქმედება, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად დარჩა.

როცა ვისმეს აბარებთ სასიცოცხლო საქმეს და მას ენდობით და ამ დროს კი ისინი საქმის გაკეთების, წინ წაძღოლის მაგიერ, თავის სწავლას, თავის ცოდნას იყენებს იმისთვის, რომ საქმე გააფუჭოს, სჩადიან დანაშაულს. სჩადიან ბოროტებას.

იქ შეიპარნენ მეპატრონეები, ან მათი მეგობრები. ისინი რა თქმაა ვერ შეეგუებიან, ვერ შეურიგდებიან იმ მოვლენას, რომ მათ ხელიდან გამოეცალათ ყველაფერი და მათი ალაგი დაიჭირეს მუშებმა და გლეხებმა.

მივმართავ იმათ, ვინც სწავლობს აქ, მივმართავ ახალ ძალებს, ახალ მეთოდებს და ვიტყვი, რომ მათგან მოელის საზოგადოება, მთავრობა უფრო მეტს, ვინემ ძველი სპეციალისტებისაგან. მე რა თქმა უნდა ეჭვი არ მეპარება იმ ძველი სპეციალისტებისადმი, რომლებიც გვერდში გვიდგანან, რომლებიც გულწრფელად მუშაობენ, მაგრამ სულ სხვაა ახალგაზრდობა, რომლებიდანაც ხელისუფლება მეტს მოითხოვს და იმედიც არის თქვენ ამ იმედს გაამართლებთ.

ეს ჩვენი ზეიმი როდია უბრალო, ფორმალური შეკრება, რომ აი შევგროვდით და წარმოვსთქვით მისასალმებელი სიტყვები. არა. დღევანდელ ზეიმს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი იუბილიარი იპყრობს საერთო ყურადღებას. საზოგადოების ფართე მასსა აქეთ იცქირება. ამ სასწავლებელმა უნდა მოგვცეს ჩვენ მომზადებული მუშაკები. ამ სასწავლებელმა უნდა გაამდიდროს ჩვენი ქვეყანა საქმის მცოდნე ტეხნიკოსებით. დღეს ვერ ვაკმაყოფილებთ ჩვენ ყველა იმ მოთხოვნებს, რასაც მოითხოვს ჩვენგან ქვეყანა. ამიტომ მივაპყროთ ყურადღება ამ სასწავლებელს. მართალია მას ბევრი საჭიროება აქვს, მართალია ყველა ამას ჩვენ ერთად ვერ შევძლებთ, მაგრამ ერთ-ორ წელში უნდა შევძლოთ ამის დაკმაყოფილება.

დასასრულ მოგილოცავთ ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, მასწავლებელთ, ხელმძღვანელებს და მთელ საზოგადოებას დღევანდელ დღესასწაულს და გამოვსთქვამ რწმენას, რომ ჩვენი იმედი გამართლებული იქნება.

გაუმარჯოს თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს!

გაუმარჯოს მის მოსწავლეთ!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელებს!

ამხ. ფილიპე მახარაძის მეტად საყურადღებო სიტყვის შემდეგ, მოსმენილ იქმნა საანგარიშო ვრცელი და საქმიანი მოხსენება ტეხნიკუმის გამგე ინჟენერ კაკაბაძისაგან, ინჟ. კაკაბაძემ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ ტეხნიკუმის წარსული და დღევანდელი მდგომარეობა. აღნიშნა ტეხნიკუმის მრავალი მიღწევები და ხაზი გაუსვა არსებულ ნაკლსაც. სივიწროვეა სასწავლებელში, სივიწროვეა სახელოსნოში. 500 მთხოვნელიდან მივიღეთ მხოლოდ ერთი მეხუთედი. საჭიროა გადიდება, საჭიროა დახმარებათ.

პირველი მისალმების სიტყვით გამოვიდა ამხ. ვანო სტურუა, თავისი აზრიანი და მახვილი მოგონებით მან გადიყვანა დამსწრე საზოგადოება 1889 წლის ამბებში. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ განათლების კომისარიატიდან ამხ. ცხაკაია, უმაღლეს საბჭოსა და უნივერსიტეტისაგან ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძე, რკინის გზის სამმართველოდან ამხ. გ. ჩხეიძე, აღმასკომის განათლების დარგიდან ამხ. ქაცარავა, პროფესორი ბაბოვი, გზატკეცილების სამმართველოდან ამხ. მარდალეიშვილი, ტეხნიკოსთა საზოგადოებიდან ინჟ. ყიფშიძე, ხონიდან ამხ. მეფისაშვილი, თბილისის ქიმიური ტეხნიკუმიდან ამხ. მდივანი, ძველი ტეხნიკოსების სახელით ამხ. სოლომონ დოლიძე და ონიანოვი.

ტეხნიკუმმა მიიღო მრავალი საჩუქრები ფულით, მანქანებით, სტიპენდიების დანიშვნით, თუ სხვა სახით. ამხ. ჩხეიძემ გამოაცხადა გვარები იმ ახალგაზრდა ტეხნიკოსების, რომლებიც წელს ათავებენ სწავლას.

საზეიმო კრების დასასრულს ამხ. ფ. მახარაძემ კვლავ მიმართა დამსწრეთ მოკლე სიტყვით და განაცხადა, რომ საიუბილეო კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ ამიერიდან ინდუსტრიალ. ტეხნიკუმს ეწოდოს **ამხ. აბელ ენუქიძის სახელობის თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმი.** საზეიმო კრებამ ერთსულოვანი ტაშით დაადასტურა საიუბილეო კომიტეტის წინადადება.

ნაშუადღევის 4 საათზე კრება დაიშალა და საზოგადოება შეუდგა ტეხნიკუმის მრავალფეროვან და დიდ მნიშვნელოვან გამოფენის დათვალიერებას მთავარ შენობაში, სახელოსნოში და ლაბორატორიაში.

ძველი მუშა.

ინდუსტრიალური ტეხნიკუმის კურსდამთავრებულთა სია

თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე მოხდა ტეხნიკუმში კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. სულ წელს კურსი დაუსრულებია 71 კაცს. მათ შორის მექანიკური დარგი დაამთავრეს: ახობაძე ალექსანდრე, გაბუნია ვლად., გაბუნია დიმიტრი, დუნდუა ვალერიან, თევზაძე შალვა, თუთარაშვილი ლავრენტი, კვიციანი სერგო, კობახიძე მიხ., კობალაძე ალექს., მეცხარიშვილი შალვა, სტვილია ლავრენტი, ქურთიშვილი გიორგი, შავიძე ივანე, შილაკაძე გიორგი, შუკაშვილი ირაკლი, შუბლაძე ივანე, წიკლაური გიორგი, ჭიჭინაძე დავით, ხარატიშვილი გრიგ., ხვედელიანი იაკობი და ჯომარდიძე გიორგი. სულ 21 კაცმა.

ელექტრო-ტეხნიკური დარგი დაამთავრეს: არჯევანიძე ვლ., ბერეკაშვილი ალ., ბოჭორიძე ნიკ., გიორგობიანი ვას., დარახველიძე შოთა, ესაკია გიორ., თაქთაქიშვილი დომ., კალაძე ვლად., მინაშვილი ალ., მღებრიშვილი ელიზ., მაცაბერიძე გ., ურჩაძე ირ., ფოფხაძე გიორ., ღლონტი ვას., ხაზეიშვილი ტერენტი, ხარაძე ვას. და ხარაძე მიხეილ. სულ 18 კაცმა.

საამშენებლო დარგი გაათავეს: ბალავაძე მიხ., ბასილაძე პიქტ., ბონდარევი ვალ., გოორგაძე ალ., გურგენიძე ვარ., ევნატაშვილი დომ., ვაშაკიძე გრ., თევზაძე გიორგი, კეკელია ალექს., კუხიანიძე იოსებ, ლომიძე მიხ., მენთეშაშვილი მიხ., ყლენტი მელიტონ, რაქვიაშვილი ვლად., რატია შალვა, სახოკია არისტრახო, სტურუა შალვა, სახელაშვილი იოსებ, ფირცხალავა შალვა, შენგელია ვლად.; ჩიხლაძე გიორგი, ჩიკოიძე ნიკ., ციხელაშვილი სიმ., ხუბულავა ეგ. და ხვედელიძე თედორე.

—

გამოფენა

კვირას, 24 ივნისს, თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის 50 წლის თავის შესრულების აღსანიშნავად ტეხნიკუმში გაიხსნა გამოფენა. გამოფენა შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან. ერთ განყოფილებაში გამოფენილია მოწაფეთა ნამუშევარის ნიმუშები მექანიკის, ელექტრო-ტეხნიკის, ხის დამუშავების და სხვა დარგებში. აქვე გამოფენილია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც დამზადებულია სასწავლებლის სახელოსნოებში.

გამოფენაზე ღიაა ყველა განყოფილებები, როგორიცაა—საზეინკლო-სახარატო, სადურგლო, ელექტრო-ტეხნიკური, მექანიკური და სამჭედლო. სტუდენტები უჩვენებენ სახელოსნოებში მუშაობის პროცესს და ახსნა-განმარტებას აძლევენ თვითეული მანქანის და მოწყობილობის დანიშნულების შესახებ.

განსაკუთრებით კარგათაა მოწყობილი საზეინკლო-სახარატო და ელექტრო-ტეხნიკური განყოფილებები. სახარატო საზეინკლო და სადურგლო მოწყობილობის მოწაფეები ამზადებენ სიმინდის საფშვნელ მანქანებს, გუთნებს, ყურძნის საწურ მანქანებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ასეთი მანქანები სასწავლებელს დაუმზადებია ბაზრისათვისაც.

გამოფენა ღია იქნება ყოველ საღამოობით 6-დან 10 საათამდე.

გამოფენა დაიხურება 1-ლ ივლისს.

მისალმება საქართველოს ცაკს

ქუთაისის სამრეწველო-ეკონომიურ და ელექტრო ტეხნიკუმების მსმენელთა გამოშვების გამო საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმისაგან

ქუთაისის სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის ვაჭრობა-მრეწველობის ტეხნიკოსთა პირველი გამოშვების გამო ტეხნიკუმის პედსაბჭო და კურსდამთავრებული მსმენელები მხურვალედ ესალმებიან საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და აღუთქვამენ მას, რომ საბჭოთა მშენებლობაში ისინი შეიტანენ თავის წვლილს და ამით გაამართლებენ თავის საზოგადოებრივ-პროფესიონალურ ღირებულებას. საბჭოთა საქართველოს უზენაეს ორგანოს ვუცხადებთ, რომ ცაკის ხელმძღვანელობით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა სათანადო თეორეტიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული შესძლებს ჩვენი რესპუბლიკის წარმოება სოციალისტურ საფუძვლებზე.

ელექტრო. ტეხნიკუმისაგან

ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭო აღნიშნულ სასწავლებლის ტეხნიკოსთა პირველ გამოშვების დღეს მხურვალედ ესალმება თქვენი სახით საქართველოს ცაკს და ფიცს სდებს, რომ ის ყოველივე ღონისძიებს იხმარს, რათა სავსებით გაამართლოს ის იმედები, რომლებიც პირადად გამოთქვა ამხანაგმა აბელ ენუქიძემ საზეიმო სხდომაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას და ლენინისეულ კომუნისტურ პარტიას.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაული

საზეიმო სხდომა

შაბათს საღამოს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მუშათა საზაფხულო კლუბის დარბაზში შესდგა ა-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის საზეიმო გახსნა. ზეიმი გახსნა ა-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

— ა-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის მომწყობ საორგანიზაციო კომიტეტის მინდობილობით, — სთქვა ამხ. ელიავამ, — დღესასწაულის საზეიმო საღამოს გახსნილად ვაცხადებ. ამხანაგებო, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურას ხალხის ჯანსაღობისათვის. ძველთაგან ცნობილია, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო. ეს ჭეშმარიტება დღესაც საყოველთაოდ ცნობილია. კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ საბჭოთა კავშირში არის იმის მაგალითი, რომ ფიზკულტურა ფართო მასიურ მოვლენად გადაიქცა. ჩვენში ფიზკულტურის საქმეში ჩაბმული არიან მუშათა და გლეხთა ფართო მასები, ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ჯანსაღი მუშები და ჯანსაღი გლეხები, რომ ისინი უფრო მტკიცე ენერგიით შეუდგენ სოციალისტური აღმშენებლობის წარმოებას.

შემდეგ ამხ. ელიავა ახასიათებს ფიზკულტურის საქმის მდგომარეობას ბურჟუაზიულ ქვეყნებში და აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული ფიზკულტურა მიზნად ისახავს ბურჟუაზიის კლასიური ინტერესების დაცვისათვის ზრუნვას. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფიზკულტურაში უმთავრესად ჩაბმული არიან შეძლებული კლასების წარმომადგენლები. რომლებიც გამოყენებული არიან კაპიტალის ბატონობის განსამტკიცებლად და ბურჟუაზიული რეჟიმის დასაცავად. ჩვენში კი ფიზკულტურა მიჩნეული არის სახალხო საქმედ და მას ხელმძღვანელობს უშუალოდ სახელმწიფო.

სხვა მრავალ დადებით მხარეებთან ერთად ა-კ. ფიზკულტურის დღესასწაულს ექნება ერთი მეტად დიდი მნიშვნელობა, — განაცხადა დასასრულ ამხ. ელიავამ, ამიერ-კავკასიაში ბინადრობს მრავალი ტომი და მრავალი ერი. ფიზკულტურის დღესასწაულზე მოხდება მათი შეხვედრა და დაახლოება, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდება ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა და ძმური კავშირი.

ამხ. ელიავას მისალმების შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ა-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ახუნდ-ზადე. ორატორი აღნიშნავს ფიზკულტურის მნიშვნელობას მოსახლეობის გასამხედროებისა და თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების საქმეში და მოუწოდებს ყველა დამსწრე ფიზკულტურონებს, რომ მათ ყოველი ზომა მიიღონ, რათა ფიზკულტურის საქმეში ფართო მასები იქნან ჩაბმულნი.

მისასალმებელი სიტყვით გამოდის აგრეთვე აზერბეიჯანის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კიტაევი. ორატორი აღნიშნავს ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დიდ მიღწევებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ ფიზკულტურამ ფართო ფესვები გაიდგას არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც, სადაც ჯერჯერობით ამ მხრივ კიდევ არ არის საქმე სასურველად დაყენებული.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სახელით დღესასწაულის გახსნას ესალმება ამხ. ვ. კიკნაძე. იგი სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ წელს ამიერ-კავკასიის მოძმე ერთა ფიზკულტურონებს საშუალება ეძლევათ შეხვდენ ერთმანეთს და გაეცნონ ერთი მეორის მიღწევებს.

მისასალმებელი სიტყვით გამოდის აგრეთვე სომხეთის ფიზკულტურის საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ჩარიანი.

ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციათა სახელით დღესასწაულის გახსნას ესალმება ამხ. შეფტელი.

დასასრულ, ზეიმზე წაკითხულ იქნა მრავალი მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურონებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

აზერბეიჯანის ფეხბურთელთა გუნდი

დღესასწაულის გახსნა

კვირას, 24 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის მასიურ და სასპორტო ვარჯიშ. ნაწილის საზეიმო გახსნა.

დღესასწაულის გახსნამდე ქალაქში გაიარა ფიზკულტურონების აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფიზკულტურონებმა. მწყობრი რიგებით დღესასწაულის მონაწილეებმა გაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები და დაბრუნდნენ ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლაში, სადაც ისინი დაბინავებული არიან. სასახლის წინ ფიზკულტურონებს ესალმებოდნენ ა. კ. მთავრობის წევრები და სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები.

საღამოს 5 საათიდან ფიზკულტურონებმა დაიწყეს დენა ლენინის სახელობის სტადიონზე სადაც დანიშნული იყო დღესასწაულის მონაწილეთა მასიური თავისუფალი ვარჯიში. ა. კ. ქვეითი ჯარის სკოლის კურსანტების მონაწილეობით.

დღესასწაულს გახსნის ზეიმზე დასასწრებლად მოვიდნენ ამხ. შ. ელიავა, კასიანი, ა. შავერდოვი, ი. მამულია და სხვები.

5 ნახ. საათზე ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ტიტელციემ ზეიმი გახსნილად გამოაცხადა. დაიწყო ფიზკულტურონების საერთო თავისუფალი ვარჯიში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ვაჟებმა, ისე ქალებმა.

შემდეგ სავარჯიშო მოედანზე გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის კურსანტები, რიცხვით 300 კაცი, რომელთა ვარჯიშობამ საერთო აღტაცება გამოიწვია. კურსანტებმა გააკეთეს აგრეთვე რამოდენიმე პირამიდა.

თავისუფალი ვარჯიშობის შემდეგ გაიმართა შვედური ესტაფეტა (რბენა); პირველ ცილობაში (ქალები) გამარჯვებული გამოვიდა ზალდასტანიშვილი (საქართველო), მეორე ცილობა კი აზერბეიჯანის ფიზკულტურონების გამარჯვებით დასრულდა.

დასასრულ, სტადიონზე გაიმართა საჩვენებელი მატჩი ბურთ-ბოლში; თბილისში ეს თამაში ჯერ ჯერობით არ არის გავრცელებული, ამიტომ შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ აზერბეიჯანის გუნდები.

კვირას დაიწყო აგრეთვე შეჯიბრებები ა. კ. პირველობაზე ტენისში; შეჯიბრებები მიმდინარეობს ტენის-კლუბში (პლეხანოვის პრ. № 117).

დღესასწაულის საზეიმო გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო.

—

გუშინ, საღამოს ლენინის სახ. სტადიონზე შესდგა კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში აზერბეიჯანის და სომხეთის გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა 4:0 აზერბეიჯანის სასარგებლოდ.

სომხეთის ფეხბურთელთა ა გუნდი „ნაირი“

დღესასწაულის პროგრამა

სამშაბათს, 26 ივნისს, დილის 9 ნახ. საათიდან ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურონების ცილობა მსუბუქ ძლეოსნობაში. ვაჟთათვის შეჯიბრება გაიმართება ბარიერიან რბენაში 110 მეტრზე, ბადრის ტყორცნაში, ჭოკით ხტომაში და გამორბენით სიგრძეზე ხტომაში. ქალთათვის კი შეჯიბრება გაიმართება 500 მეტრზე რბენაში, ადგილიდან სიმაღლეზე ხტომაში და ბურთის თამაშში.

საღამოს 5 საათზე „დინამო“-ს სტადიონზე შესდგება აზერბეიჯანის და სომხეთის კალათბურთის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. იქვე შესდგება აგრეთვე საქართველოს და აზერბეიჯანის ფრენბურთელთა (ვაჟთა და ქალთა) გუნდების ცილობა გუნდურ პირველობაზე. ლენინის სტადიონზე კი გაიმართება შეჯიბრება 200 და 1,500 მეტრზე რბენაში და შუბის ტყორცნაში.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბილისის და მისი მიდამოების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 27 და 28 ივნისს ძველი ნაძალადევის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწარმოებს სასწავლო სროლა.

ამას გარდა 28, 29 და 30 ივნისს მდ. ორხევის რაიონში (ბაქოსა და კახეთის რკინის გზის შორის) იწარმოებს ტყვიისმფრქვეველებით სროლა.

აერო-მიმოსვლა მოსკოვი-თბილისი

უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზ-ბა („უკრვოზდუხპუტ“) ახლო ხანში განიხილავს საკითხს საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ მოსკოვ-თბილისს შორის; აღნიშნული ხაზით აეროპლანები ივლიან შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი-ტიხორეცკაია - კრასნოდარი-სოხუმი-სუხ-ქუთაისი-თბილისი. თუ ამ პროექტის განხორციელებას რამე სერიოზული დაბრკოლება არ გადაეღობა წინ, მიმოსვლა ამ მარშრუტით დაიწყება მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

განზრახულია აგრეთვე აერო-მიმოსვლის მოწყობა მოსკოვ-თბილისს შორის კავკასიის ქედზე გადაფრენით. ამჟამად საზ-ბა „უკრვოზდუხპუტ“-ი მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს აღნიშნულ ხაზის მოსაწყობად, რომლის გახსნა განზრახულია 1930 წლის გაზაფხულზე.

ინდუსტრიალიზაციის სესხის განმეორებითი კამპანია

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის განკარგულების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი შეუდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის განმეორებითი კამპანიის ჩატარებას. წარმოება-დაწესებულებებში ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები და აქტივის კრებები, რომელზედაც ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლები აკეთებენ მოხსენებებს და უმარტავენ კრებას თუ რამდენად სახარბიელო შეძენილი ობლიგაციის გაყიდვა-დაგირავება, როგორც პირადად მათთვის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის, რომელმაც მათგან ისესხა ფული სახელმწიფო მრეწველობის გასაფართოებლად.

ავტომატიური ტელეფონი

ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველომ გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს ავტომატიური ტელეფონი.

შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, თბილისში ავტომატიური ტელეფონის ქსელის გაყვანა და სადგურის მოწყობა დაჯდება 3.600.000 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო ცენტრი

მოსკოვში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო ცენტრი, რომლის გამგეობაში არჩეულია საქართველოს „სოფლის კავშირი“-ს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გერმანე ნაფეტვარიძე.

თელავის და სიღნაღის კომ. ბანკების გაერთიანება

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებით, მომავალ საოპერაციო წლიდან შეერთებული იქნებიან თელავის და სიღნაღის კომუნალური ბანკები, ბანკების შეერთება გამოწვეულია თელავის და სიღნაღის მაზრების გაერთიანებით: შეერთებული ბანკი მოთავსებული იქნება გურჯაანში.

თბილისის აღმასკომში

◆ **რძის პროდუქტების ქარხანა.** თბილისის აღმასკომმა ბეშთაშენში რძის პროდუქტების დამამზადებელი ქარხნის ასაგებათ „სოფლის კავშირს“ გადასცა საზღვარგარეთ შეძენილი საჭირო მოწყობილობა.

◆ **მუშათა თეატრის ხუროებისათვის** თბ. აღმასკომმა დაადგინა თეატრთან მოაწყოს სპეციალური სახელოსნო.

◆ **დახმარება ქუთაისს.** თბილისის აღმასკომმა ქუთაისის აღმასკომს უფასოთ გადასცა ორთქლით წყალის სასხმი მანქანა.

◆ **სასწრაფო დახმარების სადგური.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოსთან მოაწყოს სასწრაფო დახმარების სადგური.

◆ **თიანეთის საბავშვო ბაღის საჭიროებისათვის** აღმასკომმა გადასდო 1900 მან.

◆ **რადიო-სადგური.** აღმასკომმა დაადგინა სოფ. მალხაზოვკაში თავის ხარჯზე მოაწყოს რადიო-მიმღები სადგური.

◆ **საექიმო საქმის გასაფართოებლად** ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 151.000 მან.

◆ **სპეცტეხნიკუმის იმ მოწაფეებს,** რომლებიც პრაქტიკაზე და სტაჟის მისაღებათ იგზავნებიან თბილისის წარმოებებში, ხელფასი მიეცემათ აღმასკომის მიერ გადადებულ სპეციალურ თანხებიდან.

განათლების კომისარიატში

◆ **სკოლის ჭასკამდე აღზრდის** დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოსამზადებელი კურსები გაიხსნება 1 ივლისს. კურსებზე გამოგზავნილი მსმენელები უნდა გამოცხადდენ 30 ივნისამდე განსახკომში.

◆ **ფიზიკური კაბინეტები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მომავალ სასწავლო წლისათვის შეიძინოს ახალი ფიზიკური კაბინეტები და გაანაწილოს მაზრებს შორის.

◆ **არაქართულ სკოლების ქართულ ენის** მასწავლებელთა საერთო კრება შესდგება ხუთშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე მე-14 შრომის სკოლის შენობაში.

◆ **განათლების განყოფილების მუშაობა.** ოთხშაბათს, 27 ივნისს დილის 9 საათზე მუშათა თეატრში შესდგება თბილისის მასწავლებელთა კრება, რომელზედაც თბ. განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ქაცარავა.

სხვადასხვა

◆ **ტუბდისპანსერის შენობაში.** დღეს 26 ივნისს საღამოს 7 ს. შესდგება რესპუბლიკანურ სოციალზევევის საბჭოს პლენუმი. რომელზედაც მოწვეულნი არიან ყველა საქართველოს სამრეწველო დაწესებულებათა და ადგილკომების წარმომადგენელნი.

◆ **საექიმო რაზმები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ახალქალაქის მაზრაში მიავლინოს 2 საექიმო რაზმი ვენერიულ სენებთან საბრძოლველად.

◆ **თბ. მაუდის ფაბრიკა.** გერმანიიდან ბათომში მიღებულია თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის საჭირო მანქანების ნაწილი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—წერეთელს, ხონიდან—მაჭარაძეს, ქუთაისიდან—გრიგოლაშვილს, საგარეჯოდან—ბალაშვილს, ნოვოროსიისკიდან—აგარაძეს, წყალტუბოდან—სიდომონიძეს, ფინეთიდან—ჯაიანს, მახაჩკალიდან—ნარიაშვილს.

ჟურ. „ტეხნიკა და ცხოვრება“

გამოვიდა ინჟ.-ტეხნ. ცენტრალური ბიუროს და საქ. ტეხნიკური საზოგადოების ორგანო „ტეხნიკა და ცხოვრება“-ს მორიგი ნომერი.

შინაარსი: ინჟ. ბ. ჰეჟინაძე—აბაშის ჰიდროელსადგური, ინჟ. გ. ანდრონიკაშვილი—ელექტრო-მეურნეობის რაციონალური წარმოება, ინჟ. ნ. ხაჩატუროვი—სიფონის საგდები, ინჟ. მ. ჯამი—გუდრონების და ბიტუმების გამოყენების საკითხი გზატკეცილებზე, ე. ბიუსი—დედამიწის წიაღის გამოკვლევა თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდებით, ნ. ვოზნესენსკი—მარადი მოძრაობის მანქანების შესახებ, ინჟ. გ. ედიბერიძე—საქ. ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები და მისი მნიშვნელობა, ინჟ. დ. ბერეჟკეშვილი—ხის ქიმიური დამუშავება, ინჟ. ა. უდალოვი—ტეხნიკისა და მრეწველობის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ს. ჩომახიძე—აზოტმჟავას პაკის გამოხმობის მექანიზაცია, აგრ. შ. ჭანიშვილი—საქველა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი მეთოდის შესახებ, ინჟ. ვ. კაკაბაძე—თბ. ინდუსტრიალური ტეხნიკუმის 50 წლის თავზე და სხვ.

„ქართული მწერლობა“ № 5

გამოვიდა ჟურნ. „ქართული მწერლობა“ № 5 შემდეგი შინაარსით: გ. ტაბიძე—მოგონება გორკიზე. ლ. ა—ნი—ფაქტები მ. გორკის ცხოვრებიდან. ბ. რობაქიძე—მ. გორკი თბილისში. ვ. რუხაძე—პატარა მოგონება. ნ. ზომლეთელი—შევარდენს და ქარიშხალს. ვ. რუხაძე მ. გორკი. —ა. ქუთათელი—მაქსიმ გორკი ს. ასათიანი,—მ. გორკი და ლენინი ა. არსენიშვილი—დიადი ბრიდიგა. მ. ზანდუკელი—მ. გორკი საქართველოში. ბაბილინა—გორკისათვის. მხატვრული ლიტერატურა: ტიციან ტაბიძე—გემები ორპირში; ვახო გორგაძე—პირველ სტამბაში: ს. ჩიქოვანი—მორდუ. გრ. რობაქიძე—ფალესტრა (რომანი) ბიბლიოგრაფია და ლიტერატურის ქრონიკა.

ხელოვნება

ახალგაზრდა მხატვრები ძველი განცდებით

(ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის სურათების გამოფენა)

ევროპაში გარდაცვლილ მხატვრის შალვა ქიქოძის სურათების გამოფენის დახურვისთანავე გაიხსნა „ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის სურათების გამოფენა“.

ჯგუფი შესდგება სამხატვრო აკადემიის შვიდ მოწაფისაგან: **ლ. ხითარიშვილი, ხ. ქობულაძე, კ. სანაძე, ვ. თოფურიძე, ნ. ყაზბეგი, შ. მიქათაძე** და **რ. თავაძე**.

მათი ნამუშევრები წარმოადგენენ სამხატვრო აკადემიის მოღვაწეობის პრაქტიკულ შედეგს ფერითი წერის, ფანქრის და ქანდაკების დარგში. ამ შედეგის მიხედვით გაკვრით შევეხებით სამხატვრო აკადემიასაც, მით უფრო, რომ ჩვენს პრესაში უკვე დაისვა საკითხი სამხ. აკადემიის უფრო თანადროულ სამხ. ორგანიზაციად გარდაქმნის შესახებ.

ამ მიზნისათვის სარეცენზიო წერილი, ცხადია, არ კმარა, მაგრამ გამოფენის თვალის გადავლებაც საკმაოა, რომ ვიგრძნოთ ჩვენი აკადემიის სრული შეუსაბამობა ეხლანდელ სინამდვილესთან. დღეს ხელოვნების ყოველ დარგს მოეთხოვება თანადროულობა. გამონაკლის ამ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დღეს საჭიროა მხოლოდ ისეთი მხატვარი, რომელიც იგრძნობს ახალ საზოგადოებრიობას და აქტიურად შეუწყობს ხელს ახალი კულტურის აღმშენებლობას.

ამ მხრივ სრულ უნუგეშობას წარმოადგენს ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევარი. ცხადია, მოწაფეებიდან (თუმცა ისინი კურს დამთავრებულებიც არიან) არ მოვითხოვთ ახალ მხატვრულ მიღწევებს, მაგრამ არც ერთ სურათში არ არის ახალი სიუჟეტი; ეს კი უკვე შეუწყნარებელია. თემატიური მდგომარეობა აშკარავებს ახალგაზრდების მეტად ჩამორჩენილობას: „ქალის ტანი“, „მთიელი“, „ეკლესია“, „მხატვარის ატელიე“, „მომაკვდავი დედა“, „ძალადობის შემდეგ“, „კაფეში“ და მრავალი პორტრეტები ფოტოგრაფიული მანერით სრულიად არ ნიშნავს ჩვენი ეპოქის ახალ სტილს.

მოწაფეების ასეთი „აკადემიური“ აღზრდა გაგონებთ ძველი დროის ინსტიტუტელ ქალების კარიკატურობას. კარი თუ არ გაიღო, უნდა ჩამოვტეხოთ მაინც, რომ განთავისუფლებულ მოწაფეებს დავანახოთ სინამდვილე: ქარხნების, ელექტროფიკაციის, ახალი უბნების, შრომის გმირების, გარდაქმნილ და უძველესი გლეხობის, საერთოდ იმ ყოფის რომელსაც ჰქვია „ახალი ნატურა“.

„წმინდა ხელოვნების“ მოსაზრებით არ გამართლდება საბჭოთა სკოლის, თუნდაც აკადემიის, „წმინდა“ მოვალეობის დავიწყება, რომ არ გავამრავლოთ უსარგებლო ხალხი.

თუ მხატვარი არ გრძნობს თავის ეპოქას, ისე არ შეუძლია ემსახუროს საზოგადოებრივ ამოცანებს და ხშირად კარგი ტეხნიკური ცოდნის მხატვარი სრულ უნაყოფობამდის მიდის. ამის მაგალითად ევროპიდან დაბრუნებული მხატვრების მდგომარეობაც კმარა.

გამოფენილი სურათების და ქანდაკების ტეხნიკურ შესრულების განცდას მეტად ასუსტებს ზემოთ აღნიშნული სიუჟეტური სიძველე და აკადემიაში ერთფეროვანი შტამპი. მხატვრული ალღო მაინც მოსჩანს. განსაკუთრებით კ. სანაძის პატარა, მაგრამ ფერებით მეტყველ ტილოებში. ეს ეტიუდები ვარჯიშობაა მომავალ კარგი მხატვარის. სანაძის ფერები ლითონის სიმკვრივით მოქმედობს მაყურებელზე. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ დამაჯერებელ ძალას მაინც ქმნის ფერების ბრწყინვალე და სადა შეხამებაში. სურათის აშენებას აკლია გამაერთიანებელი კონსტრუქციული აზრი და სიუჟეტის რევოლუციონურ სინამდვილესთან დაკავშირება. თუ მხატვარი ამ მიმართულებით განავითარებს თავის ნიჭს, მოკლე დროში მისგან უნდა ველოდეთ მნიშვნელოვან მიღწევას. თითქმის ყველა სურათი სიყვარულით არის გაკეთებული. ფერების განსაკუთრებულ სიძლიერით აღსანიშნავია „ძალადობის შემდეგ“ და „ესკიზი“.

მხატვართა საზოგადოებაში ხშირად ისმის საყვედური, რომ ქართველი მხატვრები დიდ ტილოებს ერიდებიანო. **ხითარიშვილზე** ეს არ ითქმის, რადგან ის უმთავრესად ყურადღებას იქცევს დეკორატიული პანოთი. დიდი ტილოზე გადასვლა მოითხოვს კომპოზიციის დეტალურ და განსაკუთრებულ დამუშავებას, ფერების ძირითადი დონის მონახვას და მუქის ზომიერ განაწილებას. ხითარიშვილი ძალიან შორს არის ამ ამოცანის შესრულებისაგან, მაგრამ გაბედულება მაინც რჩება და ეს კიდევ უფრო ადასტურებს დეკორატიული განყოფილების საჭიროებას აკადემიაში. (ამჟამად არ არსებობს).

ხ. ქობულაძის მუყაოთად შესრულებულ ფანქრით ნამუშევრები (პორტრეტები) უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ხაზი ტუშში არ გადაეყვანა. ფოტო-აპარატთან შეჯიბრება ზედმეტია და დროს დაკარგვა.

აღსანიშნავია **ყაზბეგის** რამდენიმე ნახაზი.

გარდა სურათებისა, გამოფენილია ქანდაკებები **მიქათაძის** და **თავაძის**, აგრეთვე გამოფენილია **თოფურიძის** ესკიზები ქანდაკებისათვის. ესკიზები მიმბაძაა ძველი, რენესანსის ეპოქის რეპროდუქციების. ამ ნაკლიდან არც ერთი მონაწილე ახალგაზრდა არ არის თავისუფალი. ჩანს, რომ აკადემიის გეზი თანამედროვე მხატვრული კულტურისაკენ არ არის მიმართული.

ახალგაზრდების ეს გამოფენა გადაუდებლად აყენებს აკადემიის გარდაქმნის საკითხს.

ბ. გ.

საზაფხულო კლუბი ბორჯომში

ამ დღეებში ბორჯომში დამთავრდება საზაფხულო კლუბის შენობის აგება; კლუბის აგება დაიწყო 1-ლ მაისს. კლუბი გაიხსნება პირველ ივლისს პიესა „რღვევა“-თი, რომელსაც დადგამს საზაფხულო დრამატიული კოლექტივი.

კლუბის აგებას აფერხებდა თანხების უქონლობა. კლუბის აგება შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით. ასე მაგალითად, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველომ გაიღო 3.000 მანეთი, კოოპერატივის გამგეობამ 500 მანეთი, ბორჯომის ხე-ტყის ქარხანამ—6 კუბ. საჟ. სატყეო მასალა, ბორჯომის აღმასკომმა—400 მანეთი და გზატკეცილების სამმართველომ—120 მანეთი.

სასამართლო

„ისევ და ისევ ღვინითა“

— ისევ და ისევ ღვინითაა!—ამოიძლერა სასადილო „გემოდან“ ალექსანდრე ჯაფარიძემ და ხელი გადახვია ბარბაცით თავის ამხანაგს გიორგი ალავიძეს.

— იზვოზჩიკ!!—იმღერა იყვირა ჯაფარიძემ, რომ ერთი მძინარე მეეტლე კინაღამ გადმოვარდა ქვაფენილზე.

ჩაჯდენ ეტლში ჯაფარიძე და ალავიძე.

— გასწი ვერის დაღმართისაკენ!

— არა, წყნეთის ქუჩისაკენ!

ამხანაგები ვერ შეთანხმდნენ. მეეტლე დაიცდა არ იცის საით წავიდეს.

მეეტლემ შეატყო, რომ ალავიძე შედარებით უფრო ფხიზელი იყო და ვერის დაღმართისაკენ დაიწყო.

— შე შენ გიჩვენებ! როგორ ბედავ ჩემი სურვილის წინააღმდეგ წასვლას!—უყვირა ჯაფარიძემ მეეტლეს და ისკუპა ეტლიდან „ჟუპაკაცურად“.

გადამხტარმა ჯაფარიძემ ველარ შეიკავა თავი და გაიშხლართა ქვაფენილზე. ამან სულ გააფიწმატა ჯაფარიძე. წამოვარდა დედ-მამის გინებით. იშიშვლა რევოლვერი,—пристрелю, как собаку!—დაიყვირა ალექსანდრემ და რევოლვერი გაუსწორა მეეტლეს.

გავარდა რევოლვერი, ასცდა მეეტლეს და მოხვდა ტრამვაის ბოძთან მდგომ მეეზოვეს თვალში.

მეეზოვე ტუსუფიევი დაბრმავდა ცალი თვალით.

ჯაფარიძე ველარ მღერის „ისევ და ისევ ღვინითა“-ს. გამხდარა „მდგმური“.

საქმეს გაარჩევს პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

„აღდგომა“ მიულოცა

— რად მიიტოვე საგუშაგო?—ეკითხებიან მე-5-ე უბნის მილიციელ მიხეილ აკოფოვს.

— რა მექნა! ჩამაცივდა ერთი ებრაელი დღეს ჩვენი აღდგომაა და მომილოცეო. მე ხათრი ვერ გავუტეხე და წავედი.

რას არ გაიგონებს ყური! მილიციელი, რომლის ხელშია მოქალაქეების მშვიდობიანი მცხოვრების ბედი, სტოვებს საგუშაგოს იმისათვის, რომ ვინმე ებრაელს აღდგომა მიულოცოს!!

მიულოცა აკოფოვმა ებრაელს აღდგომა. საგუშაგო კი ამ დროს უპატრონოდ იყო მიტოვებული.

უნდა გენახათ, როგორ ბრუნდებოდა უკან „ხათრიანი“ აკოფოვი. ცალ ფეხს რომ ტროტუარზე დაადგამდა, მეორეთი უკვე გადასული იყო ქვაფენილზე.

ნახეს უფროსმა თანამშრომლებმა გალეშილი მილიციელი და უპატრონოდ მიტოვებული საგუშაგო.

ამბავი ხდება 6 მარტს.

დააპატიმრეს აკოფოვი და წაიყვანეს კომისარიატში.

ხათრი ვერ გაუტეხეთ, იძახოდა წამ და უწუმ აკოფოვი.

— რატომ დაითვერი? ხომ იცი, რომ საგუშაგოზე მთვრალი გამოსვლა არ შეიძლება?

— გეფიცები პატიოსნებას. ერთი ჭიქა არაყის მეტი პირში არაფერი გადამიშვია!

— რას ლაპარაკობ? გალეშილი ხარ ფეხზე ვერ მაგრდები!

— ერთმა ჭიქა არაყმა როგორ დამათრო. ალბად, კუჭი მაქვს სუსტი და მით აიხსნება,—განმარტა აკოფოვმა.

აკოფოვს არ უშველა ასეთმა „არგუმენტმა“ და მიეცა მიველინება გამსახლში.

აკოფოვს გასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო.

ზერ.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 26 ივნისი

დღეს, 26 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

ქუთაისის ხანძრისაგან გამოწვეული ზარალის ანაზღაურება—მოხსენება ქართულ ენაზე.

რას ეძებს ხალხი ჩრდილოეთ პოლუსზე—მოხს. რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

კოოპერაცია ჩვენში და ევროპაში—მოხს. რუსულ ენაზე.

გაზ. „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენების შუა—მუსიკალური ნომრები.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

გუშინ, დილით, თბილისის სისხლის სამართლის მილიციას და პროკურატურას აცნობეს, რომ ჯუღაშვილის ქუჩაზე (სახლი № 8) თავი მოიკლა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოლარემ ივანე ივანეს ძე კურიაკოვმა (44 წლისა).

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ: პროკურორი დარახველიძე, გამომძიებლები ლ. ვაჩნაძე და ნიკოლაიშვილი და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენელნი.

დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გვამი მოთავსებული იყო იატაკზე. მარჯვენა ხელში ეჭირა „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი. ოთახში ბლომად იყო სისხლის წვეთები, გვამი გახრწნილი იყო. როგორც გამოირკვა, კურიაკოვს თავი მოუკლავს შაბათს, 23 ივნისს, დაახლოვებით 1—2 საათზე.

საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ რევოლვერის ტყვია კურიაკოვს გაურტყამს შუბლში.

თუ რა მიზეზებით არის გამოწვეული თვითმკვლელობა, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, ხოლო წინასწარი გამოძიება ცხადჰყოფს, რომ თვითმკვლელობას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება:

შაბათს, 23 ივნისს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ბუხჰალტერმა კურიაკოვს მოსთხოვა ფული ინსპექციის საჭიროებისათვის. კურიაკოვმა უპასუხა, რომ სალაროს გასაღები მას დარჩა თავის ბინაზე. ის სწრაფად გამოვიდა ოთახიდან და თანაც ბუხჰალტერს უთხრა, რომ მიდის გასაღების მოსატანად. გავიდა ორი დღე და კურიაკოვი არ დაბრუნებულა სამსახურში.

კურიაკოვს ჰყვარებია ნადირობა და ყოველ შაბათობით დადიოდა სანადიროდ. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ის წასულია სანადიროდ.

გუშინ, დილით, მისმა ამხანაგებმა ფანჯრიდან ჩაიხედეს კურიაკოვის ოთახში, სადაც შეამჩნიეს მისი გვამი.

კურიაკოვის ოთახში იპოვნეს სანადირო თოფები და ვაზნები.

დღეს ექიმი-ექსპერტები მოახდენენ გვამის გაკვეთას. კვლევა-ძიება გრძელდება.

დაჯახება

კვირას, 24 ივნისს, დილით კოჯორის გზაზე, თბილისში მომავალი მსუბუქი ავტომობილი (№ 174), რომელსაც მართავდა შოფერი იასონ ბიჭაძე, დაეჯახა სოფ. ვაშლოვანის მცხოვრებ გლეხს განრუაშვილს და მსუბუქად დაშავა.

განრუაშვილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

შოფერი იასონ ბიჭაძე დაპატიმრებულია.

თავდასხმა

გუშინწინ, ღამის 11 საათზე, სოფ. კოდის (თბილისის მაზრა) მახლობლად, მწყემს სერგო საგატელოვს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ცლებით შეიარაღებული სამი უცნობი პირი. თავდამსხმელებმა საგატელოვს სიკვდილის მუქარით მოსტაცეს რამოდენიმე სული ცხვარი. ცოლით მიაყენეს მას რამოდენიმე ჭრილობა და მიიმალა. მილიციის მიერ მიღებულ ზომების წყალობით, ბოროტმოქმედნი დაპატიმრებულ. ისინი აღმოჩნდნენ: ალი იბრაგიმ ოღლი, აბდულ ისმაილ-ოღლი და იბრაგიმ ყურბან-ოღლი.

მწყემსმა საგატელოვმა, ბოროტმოქმედნი გამოიცნო.

თავის დახრჩობა

გუშინწინ, დილით, პირსახოცით თავის ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ნიკოლოზ გაბრიელის ძე სამოდუროვმა (მცხ. გოგოლის ქ. № 17). თავის ჩამოხრჩობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დილით, 4 წლის გიორგი აგამიროვი (მცხ. მარჯანისკის ქ. № 10) უცაბედათ ჩავარდა სპასკის ქ. № 2 მდებარე ჭაში და დაიხრჩო.

თავის მოწამვლა

გუშინ, საღამოს, თვითმკვლელობის მიზნით ნიშადურის სპირტი დალია გრიგოლ ვასილის ძე ციხისელმა (მცხ. შამხორის ქ. № 23) ციხისელი სიკვდილს გადაარჩინეს.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

ქურდობის ცდისათვის მილიციამ დააპატიმრა: ზაქარია დათას ძე ამერიძე, ჟორა ივანეს ძე ბოლთაევი და აკოფ იაკობის ძე მარქაროვი. ბოროტმოქმედთა შორის ყველაზე უფროსი 17 წლისაა.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

ჩემპიონატის გახსნა

შაბათს, 23 ივნისს, საღამოთი შესდგა ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა და მოშაშეთა 1-ლი ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სახელით მონაწილეთ მიესალმა ამხ. ტეხტელიძე, ხოლო ამხ. პეტრაკოვსკიმ მონაწილეთ გააცნო ჩემპიონატის ჩატარების პირობები და წესრიგი, რის შემდეგაც მოხდა წილის ყრა. ა.-კ. მოჭადრაკეთა ჩემპიონატში მონაწილეობას იღებენ: საქართველოდან—მაესტრო სმოროდსკი, ვ. გოგლიძე, ტალვიკი, სოროკინი, ებრალიძე და მალუნცევი. აზერბეიჯანიდან—მაესტრო ვ. მაკაგონოვი, იმენნიტოვი, ავეტისოვი, აბრამიანი, როსტოვცევი და ბადაი. სომხეთიდან—ტოტევიანი, კარჩიკიანი და მატეოსიანი. ლენინგრადიდან—მაესტრო ილინ-ჟენევსკი.

მოშაშეთა ჩემპიონატში მონაწილეობას იღებენ: საქართველოდან: **აგამალიანი, ხემერინი** და **ხოდორისკი**, აზერბეიჯანიდან: **შებედევი, გალიცკი, მახმუდოვი** და **მკრტუმოვი**. სომხეთიდან: **ხაჩინიანი**.

პირველი ტური

კვირას, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგა ამ.-კავკასიის მოჭადრაკეთა 1-ლი ჩემპიონატის პირველი ტური.

მაესტრო ილინ-ჟენევსკი პირველ ტურში შეხვდა თბილისის ჩემპიონს ტალვიკს, რომელმაც აირჩია ფილიდორის მძიმე დაცვა. მაესტრო გადავიდა იერიშზე, შეტევა მიაქვს მოწინააღმდეგის ფრონტზე და იღებს უფრო თავისუფალ მდგომარეობას. ტალვიკი თავდაცვას მიმართავს და იღებს საშუალებას გაუთანასწოროს თავისი პარტია მოწინააღმდეგეს, მაგრამ დაბოლოს თავდაცვით მოქანცული უშვებს შეცდომას, რაც ჟენევსკის აძლევს საშუალებას შეიჭრას ლაზიერის ფლანგზე. მაესტრო მდგომარეობით სარგებლობს, იღებს ძლიერ გამსვლელ პაიკს, რისთვისაც ტალვიკს დასჭირდება ეტლის მიცემა. პარტია გადადებულია ჟენევსკისთვის მოსაგებ მდგომარეობაში.

სოროკინი-გოგლიძე (სიცილიური). დებიუტიდანვე პარტია ვითარდებოდა თანაბრად, მაგრამ მე-25-ე სვლაზე სოროკინი მოხვდა ძლიერ ცეიტნოტში და მოუფიქრებელი სვლით გაამწვავა თავისი მდგომარეობა, მე-30 სვლაზე გოგლიძე ეტლით აკეთებს ემბაკუ სვლას პაიკების გაცვლის მიზნით. სოროკინი ებმება მახეში, რასაც შედეგათ მოსდევს მთელი რიგი ფიგურების გაცვლა. გოგლიძეს აქვს ერთი ზედმეტი პაიკი. პარტია გადადებულია ჟენევსკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

აბრამიანი—როსტოვცევი. პარტია დაიწყო ოთხივე მხედრის დებიუტით. მეოთხე სვლაზე როსტოვცევი იყენებს რუბინშტეინის საინტერესო სვლას. აბრამიანი ერიდება მდგომარეობის გამწვავებას და პარტიას ამთავრებს ყაიმით.

მალუნცევი—სმოროდსკი. პარტია იწყება ოთხივე მხედრის გამოსვლით. მალუნცევი ორიგინალურად თამაშობს დებიუტს, იღებს უპირატესობას, რაც აძლევს მას მოგების შანსებს. მაგრამ შიშით გაიმეორა რამოდენიმე სვლა და პარტია დაამთავრა ყაიმით.

კარჩიკიანი—ებრალიძე (ლაზიერის პაიკების დებიუტი). მეოცე სვლაზე ებრალიძემ მახეში გააბა თავისი მოწინააღმდეგე და მოიგო პაიკი. შემდეგში ვერ შესძლო ესარგებლა თავისი უპირატესობით, რასაც შედეგათ მოჰყვა პარტიის ყაიმით დამთავრება.

ტოტევიანი—მაკაგონოვი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). მე-23 სვლაზე ტოტევიანმა შეუმჩნევლად წააგო პაიკი, რაც საკმაო აღმოჩნდა მაესტროსათვის, რომ პარტია მოეგო.

ტერ-მოტევოსიანი—ბადაი (ფრანგული). მე-18-ე სვლაზე ტერ-მოტევოსიანმა მიმართა კრასივ კომბინაციას ფიგურის შეწირვით. ბადაი გადავიდა იერიშზე და მე-35 სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

ავეტისოვი—იმენნიტოვი (ინდური). ავეტისოვს მდგომარეობა დებიუტშივე შესუსტდა პაიკების გაორებით. იმენნიტოვი იგებს რამდენიმე პაიკს და დაბოლოს მოწინააღმდეგე უკეთებს შამთს.

მესამე ტური

დღეს, საღამოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში (კინო „სოლეი“-ს გვერდით) შესდგება ა.-კ. მოჭადრაკეთა ჩემპიონატის მესამე ტური. თამაშობენ: კარჩიკიანი—იმენნიტოვი, მატეოსიანი—ავეტისოვი, აბრამიანი—ებრალიძე, ილინ-ჟენევსკი—ბადაი, მალუნცევი—როსტოვცევი, სოროკინი—ტალვიკი, ტოტევიანი—სმოროდსკი და მაკაგონოვი—გოგლიძე.

მოშაშეთა ჩემპიონატი

ა.-კ. მოშაშეთა ჩემპიონატის პირველ ტურში შებედევმა მოიგო ხოროდორისკის, გალიცკიმ—ხაჩინიანს მკრტუმოვმა—ხემერინს, აგამალიანის პარტია მახმუდოვთან ყაიმით დამთავრდა.

ვ. გოგლიძე.

ვის ჩამოერთვა სახლები

ივანოვებს (გურამიშვილის ქ., 17), სუსანა მხითაროვას (გურამიშვილის ქ., 4), ზაქარია არაშევს (ჩერნიშევის ჩიხ., 1), მარიამ სირაძეს (მოსკოვის ქ.,—ადლერის შეს., 15—2), კაჭარავას და ჩოჩიას (გოგებაშვილის ქ., 1-23), ლონგინოზ სტაჟაძეს და ბარუჩევს (განჩარის ქ., 12), არუტინოვს და გოლაძეს (პლეხანოვის პრ., 137), იოსებ გრატიაშვილს (ცინცაძის ქ., 15), ე. შარიფოვს (გორკის შესახვევი 7), ივანე ანტონ და ეკატერინე გეგეჭკორებს (პანასევიჩის ქ., 34), მოწყუბნს (რიყის ქ., 71), ზაქარია ფამლიშვილს (განჩარის ქ., 41), ზაქარია მუსაილოვს (კალინინის მოედანი., 8), აკოპ ბაბეიანს (განჩარის ქ., 16), ტერ-აბრამოვს (განჩარის ქ., 13), გრიგოლ კირაკოსიანცს (ლენინგრადის და კამოს ქ., 13—63), გიორგი ნონიევს (დავითაშვილის ქ., 27), კარაპეტ ბარხუდაროვს (სუპ-კარაპეტის აღმართი 20), ფარადოვს და ჯილავდაროვს (პანასევიჩის ქ., 4), მალაქია გაგნიძეს (განჩარის ქ., 52), არსენ პუშნოვს და სხ. (პანასევიჩის ქ., 15), აპრიალოვს და გაიკ კაზაროვიჩს (სუპ-კარაპეტის აღმართი 21), ზინაიდა ჩერნიავსკაიას (განჩარის ქ., 9), პეტრე მანთაშაშვილს (განჩარის ქ., 43), გიორგი ლუარსაბოვს (კალინინის მოედანი 4), ტერეგულოვს (წყალსადენი ქ., 3), გიორგ სოგოიანცს (სუპ-კარაპეტის ქ., 9), ივანე ასატუროვს (განჩარის ქ., 7), მარიამ ვახტანგოვას (პანასევიჩის ქ., 6), აგაშიანცს და ლომთათიძეს (განჩარის ქ., 5), დოდაშვილს და იონვარდს (პეტრიწის ქ., 28), ოლღა ინჯიას (განჩარის ქ., 50), აეტიკ შარიფიანს (სუპ. კარაპეტის ქ., 16), ნ. მაღლაკელიძეს (ყუბანის ქ., 8), ბეზროზვანოვს (პეტრიწის ქ. 5), სარქის დავითიანცს (ციციანოვის ქ., 7), ანნა და მარიამ ტერ ოგანეზოვებს (ციციანოვის ქ., 3—5), ილია ნატროევს (ლისაგორსკის შეს., 12), ნინო ბოლგარსკაიას (კალინინის ქ., 83), ბასილიას, (დუმბაძის ქ., 24-ბ), იაკობ ვარტაპეტოვს (კალინინის ქ., 85), ელისაბედ იორდანოვს (ლისაგორსკის შესახვევი 14), პეტრე მარიშლევს (კურსანტების შესახვევი 13), გიორგი სმირნოვს (წერეთლის ქ., 20), მიკირტიჩ და სალომე მანუკოვებს (ალექსანდროვის ქ., 12), ეკატერინე კოსტანოვას (ველიამინოვის ქ., 26), ემანუილ ბურგატს (კალინინის ქ., 81), ბუნტორს (კვალის შეს., 7), თოფურიძეს და მიანიკოვს (ძნელაძის ქ., 29), მატრონე კორსკოვას (ტრამვაის ქ., 21), ჰოხონელიძეს, ვაშაკიძეს და ანტონოვებს გორის შეს., 10), გარეგინ ასლანოვს (ლაზარევის ქ., 75), ბაბამიანცს (ცეტკინის ქ., 94), პავლოვს (გოგორიძის ქ., 10), ე. ნეცუბსკაიას (ტრამვაის ქ. 19), ტერ-მარკარიანცს (სუპ.-კარაპეტის ქ., 3), აგაჯანოვს (გერშუნის ქ., 9), დაზმანიანს (არაგვის ქ., 12), პავლენოვს (საბჭოთა ქ., 25), ტერტეროვს (არაგვის ქ., 6), ნინო ეშაძეს (არაგვის ქ., 8), იაგორ პეტროვს (ბარნოვის ქ., 24), ა. ხანძიანცს (წყალსაწყევი ქ., 9), ტერპოლოსოვს (ლენინკანის ქ., 7), გალუსტ სტეპანიანცს (წყალსადენის ქ., 8), მელიძეს და ბასილაძეს (ტრამვაის ქ., 17—2), გ. ჯაბადარს (გონჩარის ქ., 32), მიხეილ თუმანოვს (წერეთლის ქ., 21), ჩოკაევს და ჯანდიერს (ოზმილოვის ქ., 27), ვ. იაშვილს (როსტოვის ქ., 25), მიკაელიანს (გონჩარის ქ., 36), ზაქარია ბერიძეს (გონჩარის ქ., 27), პეტრე ნოვოხელცევს (რიყის ქ., 24), ხანგანეზოვებს (კაჩუბეის ქ., 21), გ. დავითაშვილს (ბარნოვის ქ., 30), ა. აგასანდოვს (ზასულიჩის ქ., 2), შაშტიკიანს (კრასნაგორის ქ., 42), ლ. აგანეზოვს (სუპ.-კარაპეტის ქ., 7), არალოვს (ცეტკინის ქ., 50), ბაქრაძეს (არაგვის ქ., 5), ალექსანდრე ლაბაძეს (ლისაგორის ქ., 18), მაშადი არაშოვს (კალინინის ქ., 102), ჩანკაშვილს (კაჩუბეის ქ., 12—2), ა. ნოვიკოვს (ტეხნიკური ქ. 6), მართა პარტენოვს (პანასევიჩის ქ., 20), ხაჩატუროვებს (გონჩარის ქ., 29), გოგოლაძეს და ხახანაშვილს (ვასეთის ქ., 25).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ქუთაისში ჩატარებულ მოგებათა ოფიციალური ცხრილი *)

სერია № 51.—50 მანეთიანი მოგებანი

089.565	095.882	105.639	115.188	122.040	128.238	134.648	143.214	153.303	162.580
090.018	096.065	105.674	115.238	122.195	128.251	134.668	143.471	153.366	162.698
090.110	096.163	105.927	115.335	122.413	128.370	135.380	143.678	153.862	162.726
090.124	096.251	106.055	115.488	122.483	128.576	135.550	144.453	153.871	162.832
090.276	096.721	106.272	115.735	122.625	128.667	135.777	144.741	154.019	162.866
090.657	097.383	106.715	115.777	122.707	129.371	136.061	145.173	154.213	163.049
090.827	098.499	106.947	115.822	123.169	129.666	136.261	145.236	154.469	163.428
091.016	099.041	107.293	115.894	123.216	129.697	136.345	145.344	154.788	163.442
091.032	099.084	107.345	116.204	123.604	129.833	136.409	146.172	154.844	163.576
091.302	099.287	107.980	116.261	123.664	130.376	136.482	146.263	155.184	163.661
091.448	099.433	108.075	116.506	123.806	130.645	136.531	146.590	155.308	164.012
091.642	099.633	108.214	117.131	124.232	130.696	136.710	147.031	155.389	164.409
091.718	099.832	108.242	117.228	124.357	130.739	136.746	147.060	155.668	164.603
091.729	100.025	108.786	117.268	125.012	130.780	137.210	147.683	155.756	165.063
091.743	100.156	108.937	117.421	125.216	131.064	137.674	148.057	155.956	165.170
092.015	100.417	109.100	117.734	125.283	131.144	137.684	148.058	156.142	165.661
092.147	100.686	110.142	117.904	125.303	131.183	137.758	148.091	156.548	165.690
092.410	100.992	110.318	118.234	125.358	131.262	137.766	148.173	156.642	166.070
092.601	101.353	110.322	118.490	125.570	131.321	138.316	148.516	157.859	166.230
092.676	101.552	110.795	118.708	125.583	131.391	138.700	148.684	157.961	166.533
092.882	101.744	111.227	119.071	125.719	131.628	138.977	148.732	157.968	166.551
092.978	101.775	111.559	119.222	125.875	131.662	139.210	148.887	158.728	166.595
093.348	101.831	112.383	119.244	126.130	132.000	139.248	149.081	158.971	166.619
093.533	102.506	112.438	119.281	126.215	132.003	139.410	150.152	159.032	166.705
093.557	102.880	112.690	119.374	126.464	132.180	139.577	150.289	159.325	166.863
093.649	103.058	112.854	119.416	126.489	132.248	139.734	150.344	159.849	166.983
093.746	103.402	113.084	119.503	126.530	132.727	140.210	150.414	159.887	166.986
093.996	103.404	113.140	119.741	126.591	132.776	140.593	150.626	159.982	167.697
094.428	103.520	113.276	120.234	126.998	132.932	140. 611	150.652	160.209	168.072
094.892	103.896	113.754	120.522	127.185	133.559	141.158	150.832	160.255	168.466
094.982	104.667	113.991	120.632	127.223	133.571	141.825	150.878	160.573	168.906
095.004	104.871	114.718	121.116	127.308	133.631	141.953	151.055	161.607	169.258
095.027	105.116	114.728	121.262	127.544	133.689	142.928	151.566	161.865	169.716
095.300	105.124	114.759	121.699	127.599	133.886	143.047	152.355	161.992	169.845
095.805	105.358	114.988	121.866	127.807	134.278	143.113	152.381	162.236	170.005
095.863	105.527	115.136	122.028	128.055	134.327	143.197	153.240	162.324	170.110

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი“ № 145.

(გაგრძელება იქნება)

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 26 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: გრიგოლ კოტეტიშვილი, სტეფანე ზურდიანი, ვართან ტირანდუროვი და ხაჩატურ შაინოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: აბელ უნანაშვილი, იოსებ ტერ-ასატუროვი, ივანე საყვარელიძე, სერგო საბაშვილი, ლიუბა ლიპერტელიანი, ალექსანდრე ნაუმენკო, სოფიო ბაშიკიანი, ალექსი კაბაჩენკო, გურგა დომიანი, სილვა ნიკოგოსოვა, მარიამ ხუბულაშვილი, ანნა გრიგორიანი, ანნა კიკალიშვილი, ანნა კუსტოვა, ვანო ბაღდასაროვი, მარიამ ფოიმიანი, კლარა კოსტანოვსკაია, ოლღა ლეონევსკაია, ნიკოლოზ კიკვაძე და სერგო სამხარაძე.

საგარანტიო სექციიდან: სიმონ ორნანიშვილი, აბგარინ ზახნოიანი, პავლე არუთინოვი, ნადეჟდა ვადაჭკორია, მარიამ გვათუა, ივანე პოლიაკოვი, ვერა ელიავა, გრიგოლ ჩიქავა და ივანე გრიგოროვი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: პეტრე ნარსია, გრიგოლ სარქისოვი, ლენა გახოკია, პლატონ ჯავახიძე, ელენე ლიუბავეცკაია, ნინო ელერაშვილი და ამბერკი ენუქიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: აკაკი მესხიშვილი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

პეტრე გამსახურდიას (სოფელი აბაშა, სენაკის მაზრა)

კითხვა

სოფლის რამოდენიმე ღარიბ და ცოტაოდენ შეძლებულ გლეხებს საამხანაგოთ გაშენებული გვაქვს წყლის წისქვილები, რომლებიც ხშირად ძლიერი წყლის განმავლობაში ნახევრად გაჩერებულია ხან საფქვავის უქონლობის და ხან სტიქიურ მოვლენების გამო. ამიტომ ზოგიერთი წისქვილის შენობა დანგრეულია. წისქვილების შემოსავალი ყოველწლიურად შეტანილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადში, და ყოველწლიურად ვიხდით კიდეც ამ გადასახადს, რომელშიც მეტის გლეხს ყოველწლიური სხვა შემოსავალი. მიუხედავათ ამისა თემის აღმასკომი კიდევ ბეგრავს თავის მხრით წისქვილებს და აწერს ზედმეტ გადასახადს. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია თემაღმასკომის მოქმედება.

პასუხი

თუ წისქვილების შემოსავალი ნამდვილად მიღებულია ანგარიშში წისქვილების მეპატრონეების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაზღვრის დროს, წისქვილების კიდევ ცალკე გადასახადით დაბეგვრა უკანონოა.

კავშირის წიგნაკი № 3304

კითხვა

ვმსახურობ [illegible] „ქართული მარგანეცი“-ს ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც მაქვს საქმე ძლიერ მავნე გაზებთან (ბრომი, ეტერი, ქლორი, გოგირდის სიმჟავე და სხვა), რომლებიც ცუდად მოქმედებენ, როგორც ფილტვებზე და გულზე, აგრეთვე თვალებზე და კბილებზე, გთხოვთ მაცნობოთ: რამდენი თვის შვებულება მერგება წელიწადში, რამდენი საათი უნდა ვიმუშაო დღეში და მერგება თუ არა სპეცტანისამოსი.

პასუხი

კოლექტიური ხელშეკრულების მე-43-ე მუხლის თანახმად, თქვენ გერგებათ ერთი თვის შვებულება წელიწადში. თუ თქვენ ლაბორატორიას უშუალო დამოკიდებულება არა აქვს წარმოებასთან, თქვენ უნდა იმუშაოთ 6 ნახევარი საათი, ხოლო თუ წარმოებასთან აქვს კავშირი 8 საათი. სპეცტანისამოსი გერგებათ ის, რაც საზოგადოთ დაწესებულია ლაბორატორიებისათვის: „ხალათი კვირავი ჩითის ორი ცალი წელიწადში, ტყავის ფეხსაცმელი ერთი წყვილი წელიწადში, რეზინის თათი ერთი წყვილი თვეში, სათვალე, რესპირატორი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 305 და 306 მუხლების შევსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 305 და 306 მუხლებს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნები:

305 მუხ. შენიშვნა: უკეთუ მოვალის შეკრული ქონება იყიდება იმ ვადაგადაცილებული სესხის გადასახდევინებლად, რაც მოვალეს მიეცა სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობის მიერ, ამ ქონების აღწერის დღიდან გაყიდვამდე შეიძლება გაიაროს არა უმეტეს, ვიდრე შვიდ დღეზე უდიდესმა ხანმა.

306 მუხ. შენიშვნა: უკეთუ მოვალის ქონება იყიდება საჯარო ვაჭრობით იმ ვადაგადაცილებული სესხის გადასახდევინებლად, რაც მოვალეს მიეცა სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობის მიერ, სასამართლოს აღმასრულებელი ამ ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას გამოაცხადებს ერთი დღის შემდეგ იმ ვადის გასვლისას, რაც მოვალეს ნებაყოფლობით შესრულებისათვის მიეცა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**შ. მათიკაშვილი**

1928 წ. აპრილის 25.

თბილისი — სასახლე.

ცირკულიარი № 0116.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

„31“ მაისი 1928 წ.

„საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ ლატარიებში სპირტიანი სასმელების გათამაშების აკრძალვის შესახებ“

ვინაიდან ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებების, კომისიების და სხვ. მიერ საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ ლატარიებში გახშირდა სპირტიანი სასმელების გათამაშების შემთხვევები—ამიერიდან აიკრძალოს ლატარიებში გასათამაშებელ საგნებთა რიცხვში ყველა სახის სპირტიანი სასმელების შეტანა და არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გაცემული ნებართვა ასეთების გასათამაშებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბერია.**

შ. ს. ს. კ. ადმინ. სამმართველოს უფროსის, რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე **მაჭავარიანი.**

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 27 ივნისს, საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის შენობაში მოწვეულია ლენრაიონის დელეგატ ქალთა და დიასახლისთა საერთო კრება.

დღის წესრიგში: ქორწინება და ოჯახი.

—:—

დღეს, 26 ივნისს, საღამოს 5 ნახ. საათზე საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომის შენობაში შესდგება ლენრაიკომის რედდასის გაფართოებული პლენუმი. უჯრედების მდივნებისა და ბიუროების წევრებთან ერთად.

რედდასის უჯრედთა ბიუროს წევრებისა და რაიკომის წევრთა დასწრება აუცილებელია.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ბიურო კოლექტივი დღეს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე იწვევს თბილისში დარჩენილ კომკავშირელების კრებას. კრებაზე უნდა გამოცხადდენ ყველა კომკავშირელი, რომლებიც გატარებული არიან აღრიცხვაზე, ან აპირებენ ზაფხულის პერიოდში თბილისში დარჩენას.

დამწუხრებულნი შვილი ოლღა, შვილიშვილები: სუსანა და აბაზაძენი და დათა ელენე ლორთქიფანიძისა ქმრით კონსტანტინეთი და შვილით პატარა ნანათი აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი დედის და ბებიას

პელაგია გუნცაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს 26 ივნისს, 4 ნახ. საათზე, ნინოშვილის ქ. № 29.

2850

ტრაგიკულად გარდაცვალებულ სახ. უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორის

ექიმ სოსო დონჯაშვილის

ოჯახი მადლობას უძღვნის ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება და პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

2849

დამწუხრებულნი მშობლები: ელენე და დომენტი პატარა თეიმურაზით აუწყებენ ნათესავთ, რომ ივნისის 23-ს, გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

ნათელა ჩოჩუა

გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან ივნისის 26-ს, დღის 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

2853

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი შვილები: ექიმი ლიუდმილა (კინია), ნუცა მაჭარაძისა, სეფე და გრიშა თავიანთი ცოლ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა

მარიამ ივანე მხეიძის ასული თავზარაშვილისა

რომლის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 27 ივნისს, საღამოს 5 საათზე ბინიდან, რუსთაველის გამზირი № 18, ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე.

2—1 ნ. 1315

ვერიკა და ლევან აბდუშელიშვილები, ლიუბა და ექიმი მიხეილ ჩხენკელი განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 ივნისს გარდაიცვალა მათი ტკბილი დედა და საყვარელი სიდედრი

მარიამ ივანე მხეიძის ასული თავზარაშვილისა

2—1 ნ. 1315

ალექსანდრე ივანეს-ძე მხეიძე შვილებით: ნუცა, ბაბილინა, ვანიჩკა, მარო, სანდრო, გოგუცა; სიძეები და რძალი—მარიამ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული მხეიძისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ საყვარელ დის

მარიამ (მაშა) მხეიძის ასულ თავზარაშვილის

გარდაცვალებას.

2851

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი (ნაძალადევში)	ხატვრული ფილმი **ნილაბი ახდილია** (ბელვედერის ჩრდილები)
საზაფხულო ეთერი	გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ცხოვრებიდან **ბულატ ბატირ**
მინიონი	
საზაფხულო დარბაზი	უცხოეთის მხატვრული სურათი **მეამბოხე გადსალიუნა**
საზაფხულო პალასი	მეორე კვირა **თავზე ხელაღებული** 1 და 2 სერია ერთად
აპოლო	ამერიკის საყვარელი მსახიობი ჩარლზ რეი მხატვრულ სურათში **დარტყმა**
სოლეი	უკანასკნელად თბილისში მსოფლიო ფილმი **ვარიეტე**
პროლეტარი ავლაბარი	სოლნცევა, ილინსკი, წერეთელი ორიგინალური კომედიაში **აელიტა**

ანონსი: მალე უცხოეთის ახალი სურათი „მათხოვარი-მაჰანწალა“ 6. კოლინის მონაწ. 0—22

მუშათა ახალი კლუბი (კომინტერნის ქ 5)

დღეს, 26 ივნისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით. კამერულ თეატრის მომღერალ ქალის ე. ზაქის და მსახიობ ნ. შესტოვის მონაწილეობით

პირველად თბილისში გოეთე „ეგმონტ“ მუსიკა ბეთჰოვენის. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ბაღში კინო

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის

ხვალ, 27 ივნისს, კონცერტი საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კლუბში

ნ. 1312

რადიო

ფოსტა-ტელეგრაფის ამ.-კავკ. ოლქის სამმართველო

ა. წ. 26 ივნისს აწყობს ქალ. თბილისის ყველა კერძო რადიოსადგურების მასიურ გამოკვლევას. საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ რადიოსადგურებისა და სატრანსლიაციო დადგმულობათა შესახებ გამოცემულ დადგენილების (1928 წლის 14 მაისის თარიღით, ცაკის „იზვესტია“ 1 ივნ. № 126) 13, 14, 15 პარაგრაფების თანახმად სახლის პატრონები და სახლის სამმართველოები ვალდებული არიან ზემოდაღნიშნულ დღისათვის, შეადგინონ მათ სახლში არსებულ რადიოსადგურების მფლობელთა სიები და წარუდგინონ ეს სიები კონტროლიორებს უკანასკნელთა მოთხოვნილებისამებრ.

ყველა მოქალაქენი და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ რადიოსადგურები, ვალდებულნი არიან დაუშვან კონტროლიორები რადიოსადგურის გამოსაკვლევად და წარუდგინონ უკანასკნელთ რადიოსადგურის დადგმის ნებართვა.

რადიო-სადგურის მფლობელი, რომელიც უარს იტყვის ნებართვის წარდგენაზე, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველო სთხოვს რადიოსადგურების მფლობელთ და გამგეებს 1) ნებართვები იქონიონ თვალსაჩინო ადგილას მიმღებთან, 2) მოსთხოვონ კონტროლიორებს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მიერ მიცემული მანდატები.

ნ. 1311

შორაპნის მაზრაში

გაზეთ „კომუნისტი“-ს კონტრაგენტათ

1 ივნისიდან დანიშნულია

ვასილ ჯალაღანია

სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში

3—1 მთ. კანტორა.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20

25—4

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

2—15

ექიმი ჯალაღოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90

25—1

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრიოვი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 აათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

13—6

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. გ. კონტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჰორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16.

21—1



სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორად მორგება უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ

„სახმედვაჭრობა“

პლეხანოვის პროსპ. № 106

აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა.

25—1

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 403 სერგო მღვდელაძეს სახელზე, ჩ. გ.

2852

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 101167 სირანუშ სეროფიანის სახელზე, ჩ. გ.

2854

დაკარგა: ჩხოროწყუს თემის აღმასკომის მიერ გაცემული სამთვიანი მოწმობა № 470 ვარლამ გოგუას სახელზე, ჩ. გ.

2855

დაკარგა: სამხედრო მაგიდიდან აღებული პირადობის წიგნაკი № 56 და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 34014 გიორგი არტემის-ძე გიგაურის სახელზე, ჩ. გ.

2847

დაკარგა: პასპორტი № 838 ივანე ნიკოლოზის-ძე ისაევის სახელზე, ჩ. გ.

2848

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა